

# HELLO!
GEORGIA
#004 • ნოემბერი • 2016 • 4.00₾

BEAUTY Special
+510
სეზონური რჩევა

WORLD EXCLUSIVE
INTERVIEW + FAMILY PICTURES

# აპოლიტიკური რაკურსი
# ჰილარი კლინტონი
მეუღლე, დედა, ბებია

ISSUN 2449-2590
9 772449 259004

ექსკლუზივი

## ლელა მებურიშვილი
ახალი ცხოვრება ლილისთან ერთად


Mercedes-Benz FashionWeek
TBILISI
SPRING/SUMMER 2017
NOVEMBER 3-7 2016
#mbfashionweektbilisi







**ლიდერი ესპანეთში** დიზაინის, მშენებლობის, დეკორაციის მიმართულებით – **ახლა უკვე კავკასიაში**

grupolasrosasinternacional.com +995 577 122 208






Grupo Las Rosas
INTERNACIONAL

# რედაქტორის წერილი

*ყველაზე ფერადი თვეც დადგა, და ვიდრე ჩვენს მრავალფეროვან ნომერს გაგაცნობდეთ, მინდა პირადად გადაგიხადოთ მადლობა ყველა იმ გამოხმაურებისთვის, რომელიც ჩვენთვის არ დაიშურეთ.*



ნოემბრის ნომერს თავისუფლად შეგვიძლია „სამეფო ნომერი“ ვუწოდოთ. ჩვენი მთავარი გმირი **კეიტ მიდლტონია** – თავისი საკულტო ოჯახითა და ასეთივე საკულტო გარდერობით.

**HELLO!** ქართველი „მეფის“ ოჯახშიც გამოგზაურებთ – **ნოემბრის ნომრის საპატიო რესპონდენტები ჩარკვიანები არიან**. გელა და ქეთათო „მეფეზე“, ძველ და ახალ ცხოვრებაზე, მაქსიმესა და ნანაზე, ბედნიერებასა და სირთულეებზე გვესაუბრებიან.

**ლელა მებურიშვილის** ცხოვრებაში კი ახალი მთავარი გმირი გაჩნდა. ლილი მისი მეორე შვილია, რომელიც ჩიკაგოში გააჩინა და სულ ცოტა ხნის წინ საქართველოში ჩამოიყვანა. პატარა გოგონას ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან გაიცნობთ.

საქართველოს მსგავსად, საარჩევნო ციებ-ცხელებაა შეერთებულ შტატებშიც, სადაც გამარჯვებისთვის ორი კანდიდატი იბრძვის. **HELLO!**-ს ფურცლებზე სულ სხვა კუთხით გაიცნობთ **ჰილარი კლინტონს** – ახლადშემდგარ ბებიას, რომელიც ამერიკის ისტორიის შესაცვლელად ემზადება.

ნოემბერი, სხვა ყველაფერთან ერთად, იმითაცაა გამორჩეული, რომ 11-ში **ლეონარდო დიკაპრიოს** დაბადების დღეა. მის იუბილეს, რასაკვირველია **HELLO!**-ც „აღნიშნავს“. ასეთივე აღსანიშნავია მოგზაურობა **„როლს-როისის“** კოლექციონერთა ოჯახში. ისინი ჯადოსნური კოშკის კარს მხოლოდ ჩვენი მკითხველებისთვის შეხსნიან.

რაც შეეხება ჟურნალის ყველაზე გემრიელ – **Lifestyle**-ის ბლოკს – ჩვენს მკითხველს აქაც უამრავი საინტერესო სიახლე დახვდება. ნოემბრის მოდური ტენდენციებიდან გრძელი „მატრიცული“ ლაბადები, კორსეტები და ბალერინას სტილი გამოვარჩიეთ, ხოლო ტრენდულ ფერებში ნაცრისფერსა და ვარდისფერს განვიხილავთ. თავის მოვლის ნაწილს კი მთლიანად თმაზე ზრუნვასა და ანტიცელულიტურ პროცედურებს დავუთმობთ.

**დაბოლოს**, **HELLO!** იმაზეც იზრუნებს, რომ თქვენი ნოემბერი ძალიან გემრიელი იყოს – ნომერში ყველაზე ფერადი ტკბილეულის საიდუმლო რეცეპტები იმალება.

იმედია სუსხიან დღეებში ჩვენს ჟურნალს სიამოვნებით წაიკითხავთ. ტკბილ ნოემბერს გისურვებთ და ზამთრის პირველ დღეებამდე გემშვიდობებით.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 102



გვ. 118



გვ. 120



გვ. 94


Christian
BRETON
PARIS
LIFTOX
ლიფტოქსი
არა ნემსებს! არა ლოდინს ! თვალის გარშემო არეს მოვლა ინექციის გარეშე!
ლიფტოქსი არის პირველი თვალის მოვლის საშუალება გველის შხამის მსგავსი პეპტიდისა და ხიზილალას ბაზაზე, რომელიც ამცირებს ნაოჭებს, აქვს ლიფტინგის ეფექტი და თვალის გარშემო არეს მატებს ბზინვარე ელფერს. გამოხედვა ხდება მეტად ახალგაზრდული.
მხოლოდ 28 დღიანი კურსის შემდეგ, ნაოჭის ზომა მცირდება 52%-ით.
Christian BRETON
Liftox
ექსკლუზიურად მხოლოდ ჯიპისი GPC სააფთიაქო ქსელში

HELLO! GEORGIA
#004 • ნოემბერი • 2016

# სარჩევი





ჩარკვიანების სამი თაობა 20

94 ნოემბრის ტრენდები



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია 38

„როლს-როისის“ კოლექციონერები 10



## ვარსკვლავური ისტორიები

**10** **„როლს-როისის“** კოლექციონერების ჯადოსნური კოშკი **HELLO!**-ს ობიექტივში
**20** **ჩარკვიანების** „მეფური“ პორტრეტი
**30** **ლელა მებურიშვილი** – ორშვილიანი დედის ახალი ცხოვრება
**38** **ჰილარი კლინტონი** აპოლიტიკური რაკურსით
**52** **ლეონარდო დიკაპრიოს** ხუთი ელფერი
**56** **ცნობილი მშობლების** წარმატებული შვილები
**70** **კეიტ მიდლტონი** – კემბრიჯის ჰერცოგინიას სიყვარული, შვილები და „საერთაშორისო“ გარდერობი

## მუდმივი რუბრიკები

**18** **INSIDE STORY** ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან
**48** **PANORAMA** რომის პაპი საქართველოში
**50** **30 დღე** მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა
**62** **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!
**146** **HALF HOUR** კირა ნაიტლი

დასაწ. **93** გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
კულინარია




PROFLINE
COSMETICS
INSTAMATIC BY COLOR TOUCH
KOLESTON
BLONDOR
MULTI BLONDE
Color.id
WELLA
PROFESSIONALS
WELLA PROFESSIONAL-ისა და LONDA PROFESSIONAL-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიქსი
ვ. დოლიძის ქ. 46
032 229 58 00
facebook.com/WellaProfessionalsStudioGeo

# ლოიზაგას კოშკში დაცული „როლს-როისის“ უნიკალური კოლექცია

## და ოჯახი, რომელიც ჯადოსნურ სიმდიდრეს ინახავს

თუ ბასკების ქვეყანაში მოხვდებით და ბილბაოს მახლობლად თვალწარმტაც ხეივანს ჩაუყვებით, ლოიზაგას კოშკს მიადგებით. ის მნახველებს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აჯადოებდა თავისი დიდებულებითა და სილამაზით. სასახლე, რომელიც ყველა სტუმარს დროში ამოგზაურებს, ჯადოსნურ სიმდიდრეს ინახავს. აქ „როლს-როისის“ უძველესი კოლექციაა თავმოყრილი. მას შემდეგ, რაც საგანძურის მფლობელი მიგელ დე ლა ვია გარდაიცვალა, მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობა მისმა დისშვილებმა აიღეს.

„საჯესთან“ კი ერთ-ერთი მათგანი – მარია ლოპეს-ტაპია დე ლა ვია აღმოჩნდა და გადაწყვიტა, HELLO!-სთვის ბიძამისის ორი მთავარი სიყვარულის – მანქანების კოლექციისა და ამ დიდებული კოშკის შესახებ მოეყოლა. ▶






ლოიზაგას თვალწარმტაცი კოშკი ბილბაოს მახლობლად, ესპანეთის ჩრდილოეთში მდებარეობს. იქ „როლს-როისისა“ და ვინტაჟური მანქანების უნიკალური კოლექცია ინახება. საგანძური მიგელ დე ლა ვიას ეკუთვნის. მემკვიდრეობას მისი დისშვილი მარია (მარჯვნივ, მწვანე ბლუზით) და სხვა ნათესავები იცავენ. ფოტოზე ოჯახი „როლს-როისის“ ორ მოდელთან (Silver Ghosts) ერთად პოზირებს.





მიგელმა თავისი ორი დიდი სიყვარული გააერთიანა და ააშენა ოცნების სასახლე, რომელშიც უნიკალური კოლექცია მოათავსა. ზევით ნაჩვენებ ოთახში „როლს-როისის“ Phantom-ის 12 ნიმუშია განაწილებული. მარჯვნივ ნაჩვენებ ოთახში კი Silver Ghosts-ის 11 განსხვავებული ექსპონატია თავმოყრილი. მარცხნივ ლოიზაგას მუზეუმის მემკვიდრე – მარია პოზირებს.

**ზღაპარი მეგონა, როცა ამ მშვენიერ ტყეში ჩაფლული სასახლე დავინახე. რატომ გადაწყდა კოშკის აქ აშენება?**

მ.ლ. ეს იდეალური ადგილია. გალდამესის ხეობა ლას-ენკარტასიონესის რაიონში მდებარეობს. აქვე ცხოვრობდნენ ჩემი ბებია და ბაბუა – ლეონორი და ბენჯამინი. ბიძაჩემმა მთელი ბავშვობა ამ კოშკის ნანგრევებზე თამაშში გაატარა. ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო, ეს ადგილი ძვირფასი მოვლენების კერად ქცეულიყო.

**რამდენ მანქანას ინახავს ლოიზაგას კოშკი?**

მ.ლ. აქ ორი კოლექციაა. „როლს-როისის“ კოლექცია, რა თქმა უნდა, ყველაზე მდიდარია და 100 წლის განმავლობაში გამოშვებულ 45 მოდელს აერთიანებს. რაც შეეხება მეორე კოლექციას, ის 30 ვინტაჟურ, კლასიკურ და სპორტულ ექსპონატს მოიცავს. თქვენ წარმოიდგინეთ, უძველესი ინგლისური სახანძრო მანქანაც კი გვყავს, რომელიც ისტორიულ ჩვენებებზე გაგვყავს ხოლმე.

**როგორია თქვენი თვალით დანახული ლოიზაგა?**

მ.ლ. ერთ-ერთმა ინგლისელმა ისტორიკოსმა, რომელიც „როლს-როისის“ ექსპერტია, Silver Ghost-ის მანქანები საუკეთესო კოლექციად აღიარა და თქვა, რომ ამ ექსპონატების პირველად ნახვისას სუნთქვა გეკვრება და ავტოწარმოების ოქროს წლებში მოგზაურობ. ძველი მანქანების სუნი, ხის დეტალები, საწვავის ნარჩენები, განათებები – ეს ყველაფერი რეალობის შეგრძნებას გიკარგავს და დეტალურად გიხატავს იმ ჯადოსნურ წამებს, რომლე-



„როლს-როისის“ კოლექცია 100 წლის განმავლობაში შექმნილი 45 მოდელისგან შედგება. თითოეული მათგანი დღემდე ძველებურად მუშაობს






ბიც მფლობელებს ამ ავტომობილებში გაუტარებიათ. ყველა ამ ადამიანის ცხოვრება ერთ სივრცეში – ლოიზაგას კოშკშია თავმოყრილი, თანაც ზუსტად ისე, როგორც ბიძაჩემს სურდა. კოლექცია სათუთადაა შენახული და, გინდ დაიჯერეთ გინდ არა, თითოეული ექსპონატი ძველებურად მუშაობს!

**რომელი მანქანით დაიწყო ყველაფერი?**

**მ.ლ.** ბიძაჩემის პირველი „როლს-როისი“ თეთრი Silver Shadow იყო, რომელიც ამ ბრენდის ერთ-ერთ მთავარ მატიანედ მიიჩნევა. 1985 წელს, როცა ლოიზაგას კოშკზე მუშაობა დაიწყო, 1955 წლის Silver Wraith-ი შეიძინა. ეს მანქანა ბრიტანეთის სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. შემდეგი Silver Cloud I იყო. სწორედ მისი ყიდვისას გადაწყვიტა შეეგროვებინა „როლს-როისის“ ყველა ის მოდელი, რომელსაც ბრიტანეთში აწარმოებდნენ. ყველაზე განსაკუთრებული მაინც Silver Ghost-ია, რომელიც ჩვენთან 11 ნიმუშით არის წარმოდგენილი. ეს იმიტომ, რომ ამ მოდელს სულ სხვადასხვა დიზაინით უშვებდნენ და ბიძაჩემიც ცდილობდა, არცერთი მათგანი არ გამორჩენოდა. კოლექციის შეგრო- ▶

ვებასთან ერთად, კოშკის მშენებლობაზეც მუშაობდა. ნულიდან დაიწყო – მხოლოდ ფანქარი, მონახაზი და იდეა ჰქონდა, და არც იცოდა, რა გამოვიდოდა.

**როგორც ვიცით, ყველაზე ძვირფასი მოდელი მაინც Phantom IV-ია...**

**მ.ლ.** ბიძაჩემისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, ეს მანქანა ჰყოლოდა. მის გარეშე კოლექცია სრულყოფილი ვერ იქნებოდა. არადა, მსოფლიოში მხოლოდ 17 Phantom IV იყო დარჩენილი. ის 1950-იან წლებში, სპეციალურად სამეფო ოჯახისთვის შექმნეს. ჩვენი ექსპონატი ამ მოდელის უკანასკნელი ნიმუშია, რომელიც ქუვეითის ემირს ეკუთვნოდა.

**კიდევ რომელ მანქანას აქვს განსაკუთრებული ისტორია?**

**მ.ლ.** თითოეულს უნიკალური ისტორია აქვს, მაგრამ Silver Ghost-ის ლიმუზინი ბიძაჩემის ფავორიტად მიიჩნევა. ის 1912 წელს, ინგლისიდან მელბურნში გაგზავნეს ქალაქის მერისთვის. მას შემდეგ მთელი მსოფლიო მოიარა და ელეგანტურობისთვის ბევრი ჯილდოც მიიღო. ამ კოშკში პირდაპირ ავსტრალიიდან ჩამოვიდა. აქვეა მოდელები, რომლებიც სხვადასხვა ფილმში „იღებდნენ მონაწილეობას“. ყველაზე ძველი და ნელი კი 1898 წლის Allen Runabout-ია, რომელიც ბრიტანელ ავტომრბოლეელ სტირლინგ მოსს ეკუთვნოდა.

**როდის დაინტერესდა ბიძათქვენი მანქანებით?**

**მ.ლ.** როგორც მისი დები იხსენებენ, მიგელს ერთ ხელში მუდამ ფანქარი ეჭირა, მეორეში კი – სათამაშო მანქანა. ავტომობილის მართვა ჯერ კიდევ მაშინ ისწავლა, როცა ბავშვი იყო. მისი პირველი მანქანები სპორტული „იაგუარი“ და „ფერარი“ გახლდათ. შემდეგ „კადილაკსაც“ მართავდა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ვინტაჟური მანქანების ასეთ მდიდარ და უნიკალურ კოლექციას შეაგროვებდა. დღეს ლოიზაგას კოშკი ავტომობილებთან დაკავშირებულ ღონისძიებებსაც ხშირად მასპინძლობს, სადაც „იაგუარი“, „ფერარი“ და „პორშეც“ ჩნდებიან ხოლმე. ამ სასახლეს ასობით „ჰარლი-დევიდსონიც“ უნახავს.

**მიგელი, ბიზნესმენთან ერთად, შესანიშნავი მხატვარიც იყო და პიანინოზე დაკვრაც უყვარდა. ეს ნიჭი ოჯახის რომელიღაც წევრს ხომ არ გამოგყვათ?**

**მ.ლ.** მუსიკა და ხატვა ყველას გვიყვარს, მაგრამ ჩვენი ოჯახის მთავარი ხელოვანი მიგელის მეუღლეა. ბიძაჩემი და სოფია საათობით ხატავდნენ ხოლმე და ნამუშევრებს სხვადასხვა ოთახში ჰკიდებდნენ. სასახლეც ერთად გააფორმეს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი



**„ბიძაჩემმა მთელი ბავშვობა ამ კოშკის ნანგრევებზე თამაშში გაატარა. ნულიდან დაიწყო – მხოლოდ ფანქარი, მონახაზი და იდეა ჰქონდა, და არც იცოდა, რა გამოვიდოდა“**







მიგელმა, რომელიც 2009-ში გარდაიცვალა, და მისმა ცოლმა სოფიამ სასახლე ერთად გააფორმეს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი ნივთებით იზრუნეს იმაზე, რომ მყუდრო გარემო შეექმნათ. ორივე საძინებელ ოთახსა (ქვევით მარცხნივ) და სამზარეულოში (ქვევით) შუასაუკუნეების ატმოსფეროა.

ნივთებით იზრუნეს იმაზე, რომ მყუდრო ატმოსფერო შეექმნათ.

**თქვენ რამდენად გიყვართ მანქანები?**

მ.ლ. ბიძაჩემს ვერ შევედრები, მაგრამ მისი წყალობით ნამდვილად ვიცი, რამდენად დიდებულია მანქანების ისტორია. ავტომობილებზე მეტად იმ საქმიანობას ვეტრფი, რომელსაც მიგელი ემსახურებოდა და რომელიც ასე უყვარდა. მან უნიკალური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც ჩვენ უნდა დავიცვათ და შემდგომ თაობებს შემოვუნახოთ. ეს რაიონში ტურიზმის აყვავებასაც შეუწყობს ხელს.

**რა აქვს ამ სასახლეს ყველაზე განსაკუთრებული?**

მ.ლ. უზარმაზარი ისტორია და საოცარი არქიტექტურა. აქ შუა საუკუნეები ტექნოლოგიური განვითარების წლებს ხვდება და დამთვალიერებლებს ყველაზე მრავალფეროვან პერიოდში ამოგზაურებს. ვაპირებთ გამოვცეთ წიგნი, რომელიც ამ კოშკის მეორე სიცოცხლესა და ბიძაჩემის კოლექციაზე დეტალურ ინფორმაციას შეინახავს. სასახლის ყველა წერტილი მიგელის დიზაინითაა ▶





**„სასახლის ყველა წერტილი მიგელის დიზაინითაა აგებული. მისი გემოვნება და ჯადოსნური ხედვა ყველა დეტალში იგრძნობა“**

**Phantom IV სამეფო ოჯახებისთვის შეიქმნა. მისი უკანასკნელი ნიმუში (ზევით) ქუვეითის ემირს ეკუთვნოდა. ქვევით: 1912 წლის Silver Ghost-ის მდიდრული ინტერიერი. მარჯვნივ: მიგელის ოჯახის უმცროსი თაობა 1925 წლის Isotta Fraschini-სთან პოზირებს. ქვევით მარჯვნივ: ლოიზაგას კოშკი ტყითაა შემოსაზღვრული.**



აგებული. მისი გემოვნება და ჯადოსნური ხედვა ყველა დეტალში იგრძნობა.

**რა გიყვართ ამ სასახლეში ყველაზე მეტად?**

მ.ლ. ის ბიძაჩემის ახდენილი ოცნებაა. ყველაზე მეტად იმ სტუმრების აღტაცებული თვალები მიყვარს, რომლებიც კოლექციასა და კოშკს ათვალიერებენ და მიგელს „რენესანსის გულად“ მოიხსენიებენ. ისიც მახარებს, რომ ტურისტები ამ რაიონს უკეთ ეცნობიან და ბევრ საინტერესო აღმოჩენას აკეთებენ.

**დაბოლოს, რატომ დაარქვით ამ სასახლეს ლოიზაგას კოშკი?**

მ.ლ. ეს სასახლე მე-14 საუკუნეში ლოიზაგების ოჯახმა ააგო. არავინ იცის, როგორ გამოიყურებოდა მათი საცხოვრებელი, მაგრამ ერთ-ერთი მწერალი ამ ადგილს „თანამედროვეობის ფანტაზიად“ მოიხსენიებს. ბიძაჩემმა სწორედ ლოიზაგების სამყარო გააცოცხლა და სახელიც მათ პატივსაცემად დაარქვა.

**ტექსტი**: LOLA DELGADO
**ფოტო**: ANDREA SAVINI
**ვარცხნილობა**: PILAR DIAZ FOR MARCEL ARRANZ
**მაკიაჟი**: ANA VEGA FOR EDERLAN



„ბიძაჩემის წყალობით ნამდვილად ვიცი რამდენად დიდებულია მანქანების ისტორია. ავტომობილებზე მეტად იმ საქმიანობას ვეტრფი, რომელსაც მიგელი ემსახურებოდა და რომელიც ასე უყვარდა“







# ლილი კოლინსის მოგზაურობა საქართველოში







მსახიობისა და მოდელის, ბრიტანელ მუსიკოს **ფილ კოლინსის** ქალიშვილის – **ლილი კოლინსის** თბილისში ყოფნის შესახებ უმრავლესობამ მისი INSTAGRAM-ის გვერდიდან შეიტყო. ზოგიერთ გულშემატკივარს სხვაზე მეტად გაუმართლა და თავად დაინახა საყვარელი მსახიობი რომელიღაც რესტორნის ფანჯარაში ლიმონათით ხელში. ასევე მაღაზიის ვიტრინის მიღმა, ტანსაცმლის თვალიერებისას. კოლინსის თბილისში ჩამოსვლის მიზეზი **ენტონი ლუსეროს** ფილმის გადაღებები გახლდათ.

**ლუსერო** ამერიკელი პოეტია, რომელიც საქმიანობს ასევე როგორც რეჟისორი, მსახიობი და ჟურნალისტი. სწორედ მისი პოემის **THE CLOWN** მიხედვით შეიქმნა ფილმის სცენარი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2006 წელს ლუსერომ შექმნა ორგანიზაცია **CIRCUS REMEDY**, რომელიც მსოფლიოს გარშემო ბავშვთა საავადმყოფოებსა და თავშესაფრებს სტუმრობს. რაც შეეხება სიუჟეტს, ამბავი პატარა, მოგზაური ცირკის გარშემო ვითარდება. ფილმის მთავარი გმირები ჯამბაზი და მისი ხუთი წლის ქალიშვილი არიან. მათი ყოველდღიურობა სიყვარულის, ჯადოსნობისა და დანაკარგების მისტერიებით არის სავსე.

გადაღებები სექტემბერში დაიწყო და ოქტომბერში დასრულდა. ფილმის დიდი ნაწილის გადასაღებად შერჩეული ლოკაცია საქართველოა. ცნობილია ისიც, რომ მომუშავე ტექნიკური ჯგუფის უმრავლესობა ქართველია. უცხოელ კოლეგებთან ერთად, მსახიობების ჩამონათვალში არიან ნუცა კუხიანიძე და ქეთი მჭედლიშვილიც. სწორედ ქეთი განასახიერებს ჯამბაზის ქალიშვილის პერსონაჟს. ფილმისთვის მუსიკას სამხრეთაფრიკელ-ამერიკელი როკვარსკვლავი დეივ მეთიუსი ქმნის. კოსტიუმების დიზაინის ავტორი კი ყველასათვის ცნობილი სიმონ მაჩაბელია.

მოკლედ, ძალიან ბევრი მიზეზია იმისათვის, რომ ფილმის ეკრანებზე გამოსვლას დიდი ინტერესით დაველოდოთ. მანამდე შეგვიძლია იმით ვიყოთ კმაყოფილები, რომ ვარსკვლავური სტატუსის მქონე კიდევ ერთმა სტუმარმა ჩვენი ქვეყანა საქართველოზე შეყვარებულმა დატოვა. **ლილი კოლინსის** ძალიან ბევრმა გამომწერმა კი მასთან ერთად აღმოაჩინა თბილისი და ბათუმი. კოლინსის ინსტაგრამზე მოხვდნენ ზეზვა და მზია, მშვიდობის ხიდი, წარწერით – „უძველესიდან ულტრამოდერნამდე", ბათუმის სანაპირო და ფერადი კორპუსების ფოტო, სახელად – **ON THE BRIGHT SIDE**.

**დაბოლოს**: თბილისიდან აქტვირთული გამოსამშვიდობებელი ფოტოს სათაურში ლილი კოლინსი წერს: ***„სამწუხაროა, რომ ჩემი აქ ყოფნის დრო ასე სწრაფად ამოიწურა. გმადლობთ ამ საოცარი სილამაზისა და ჯადოსნობისთვის. რა არარეალური ადგილია. ეს ის გამოცდილებაა, რომელიც ცხოვრებას შეცვლის"***.

ტექსტი: მაკო მჭედლიშვილი. ფოტო: INSTAGRAM. GTRES.





# SOPHIE VILLY-სა და გოგი ძოძუაშვილის ერთობლივი პროექტი

ქართველი მუსიკოსი **Sophie Villy** ახალ ალბომზე მუშაობს, სადაც სოლოსიმღერების გარდა, მსმენელი რამდენიმე საინტერესო კოლაბორაციასაც მოუსმენს. ეს იქნება თანამშრომლობა ელექტრონული მუსიკის ისეთ შემსრულებლებთან, როგორებიც არიან **გოგი ძოძუაშვილი**, **ნიკა მაჩაიძე** და **Synoptic Music**. მომღერლის სიტყვებით, გოგის შემოქმედება ყოველთვის მოსწონდა. მათი კონტაქტი უჩვეულოდ შედგა: სოფიმ ნიკას ელექტრონული ფოსტის მისამართი გაიგო და გასაცნობად წერილი მისწერა, რამდენიმე დღეში კი პირადად შეხვდა და თავისი დისკიც აჩუქა.

***„გოგიმ შემომთავაზა ერთად გაგვეკეთებინა რაიმე სიმღერა. გავუგზავნე ძალიან მარტივად ჩაწერილი კომპოზიციის დემოვერსია და ზუსტად ერთ საათში მისგან დადებითი გამოხმაურება მივიღე. ასე დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა“***, – იხსენებს სოფი.

მიუხედავად იმისა, რომ სოფი და გოგი სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრებში მუშაობენ, მათი გემოვნება და ხედვა ერთმანეთს დაემთხვა. სიმღერა მრავალფეროვანი და ამავე დროს მარტივი გამოვიდა. გოგი ძოძუაშვილის დაინტერესება ამ სიმღერის არაორდინარულობამ გამოიწვია.

***„პირველად რომ მოვისმინე, მომხიბლა იმან, რომ ტრეკს სიმღერის განვითარება არ ჰქონდა. ის ერთგვარი სკეტჩი იყო და ჩემი მიზანიც საბოლოო პროდუქტში ამ მახასიათებლის შენარჩუნება გახდა. საინტერესო სამუშაო პროცესი გვქონდა“***, – ამბობს მუსიკოსი.

**Sophie Villy**-სა და **გოგი ძოძუაშვილის** ერთობლივი ნამუშევარი სახელწოდებით **Reflect** მომღერლის რიგით მესამე სტუდიურ ალბომში **Planet A** შევა, რომელიც 11 სიმღერას გააერთიანებს და 2017 წლის დასაწყისში გამოვა.

**ტექსტი:** ლელა კახიანი. **ფოტო:** ბაჩო თაბათაძე.



გელა: „მახსოვს, ირაკლი ქეთათოსთან ერთად შემოვიდა და მითხრა: მალე ბავშვი გვეყოლება და მე მინდა მას რეტროსახელი დავარქვა – ნანა“.

„ოჯახი საზოგადოების ერთეულია, რომელშიც სამ როლს ასრულებენ დედა, მამა და შვილი. თუ ყველა თავის როლს სწორად ასრულებს, მაშინ ოჯახი კარგ მდგომარეობაშია“



### მუსიკალური მეტაფორების მაძიებელი „მეფის“ ოჯახი

# გელა, ქეთათო, მაქსიმე და ნანა

**„ჩარკვიანები თანდათან „სამეფო დინასტიად“ ჩამოვყალიბდით. ჯერ იყო „მეფე“ კანდიდი, მერე „მეფე ირაკლი“. მე „მეფის“ შვილიც ვარ და „მეფის“ მამაც“**




„ბედნიერი ვარ, რომ ირაკლი ჩარკვიანის შვილი და გელას შვილიშვილი გახლავართ“

„შევეჩვიე და მსიამოვნებს ყურადღებას რომ მაქცევენ, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი ყურადღება მაკომპლექსებს“

გელა: „ირაკლისთან ხშირად ვკამათობდი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხელოვანი შინ და საჯაროდ. ირაკლი მიმტკიცებდა, რომ ხელოვანის ცხოვრება მუდამ საჯაროა“.

## „ირაკლი ჩემთვის ყველაფერი იყო: დედაც, მამაც, მეგობარიც, მასწავლებელიც, ქმარიც და საყვარელიც“

HELLO!-ს ფურცლებზე პირველად 1990-იან წლებში მოხვდა. თბილისში ევროკომისიის წევრებთან, სტუმრად უინძორების დინასტიის წარმომადგენელი ჩამოვიდა. მაშინ გელა ჩარკვიანი საგარეო ურთიერთობების საკითხებში ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი იყო და საგანგებოდ გამართულ ვახშამზე თამადობა მოუწია. ქართულ ტრადიციებს, სამზარეულოსა და სუფრაზე თამადის ნათქვამ სადღეგრძელოებს, ჟურნალის ბრიტანულმა გამოცემამ ერთი მოზრდილი წერილი და ათამდე ფოტო მიუძღვნა.

21 წლის იყო, როცა ჯერ კიდევ სტუდენტმა, მისი ერთადერთი სიყვარული – ნანა თოიძე ცოლად შეირთო. ოჯახის რჩენაში მშობლები ეხმარებოდნენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და იმისთვის, რომ საკუთარი ოჯახი თავად ერჩინა, მუსიკალური განათლება გაიხსენა და მაუდ-კამვოლის კომბინატის კლუბში ორკესტრი შექმნა, რომლისთვისაც პარტიტურების წერა დაიწყო. ამერიკელი მასწავლებლის წყალობით, ინგლისური ბავშვობიდან ძალიან კარგად იცოდა, ამიტომ უცხო ენაში მეზობლის ბავშვების მომზადება არ გაუჭირდა და დამატებითი შემოსავალიც გაუჩნდა. 22 წლის იყო, როცა 19 ნოემბერს პირველი შვილი – ირაკლი ჩარკვიანი გაუჩნდა და მამა გახდა. თვითონაც პატარა იყო, ამიტომ ახალი სიცოცხლის დაბადება და მამობის პასუხისმგებლობა კარგად ვერც აღიქვა და ვერც გააანალიზა.

ახალგაზრდა მშობლებმა ირაკლის დაბადებიდან პირველივე თვეს ბევრი სირთულე ნახეს. ჯერ იყო და რთულად, ექიმების დახმარებით დაიბადა, რამდენიმე დღის იყო, როცა დაბნეულ მშობლებს ბავშვი მაგიდიდან გადმოუვარდათ, ორი კვირისას კი ფილტვების ანთება დაემართა. დაახლოებით წლინახევრისამ პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა და მას შემდეგ მთელი ოჯახი მის ფეხდადგმულს დაჰყვებოდა. გელა მკაცრი მამა არასოდეს ყოფილა. ახალგაზრდობაში გარკვეული დოზით თავადაც მეამბოხე იყო. შვილს დასჯისა და სტიმულირების მეთოდით ზრდიდა. ირაკლი პატარაობიდან მოუსვენარი, უკომპრომისო, განსხვავებული, ზომაზე ცელქი და შემოქმედებითი ბავშვი იყო. მუდამ ახალ აღმოჩენებს აკეთებდა, მუდამ რაღაცას წერდა და იგონებდა. ბავშვობიდან მუსიკა იტაცებდა.

მამამ ირაკლის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე, გარკვეულწილად დიდი გავლენა იქონია. გელა მეგობრებთან ერთად წერდა სიმღერებს და მიუზიკლებს, რომლებსაც შინ დგამდა, რადგან მათი შინაარსი არა მარტო ცენზურისთვის, არამედ იმდროინდელი ფართო საზოგადოებისთვისაც მიუღებელი იქნებოდა. ასეთი სპექტაკლების დროს პატარა ირაკლის ბარმენის მოვალეობა ეკისრებოდა და სტუმრებს საინტერესო კოქტეილებს სთავაზობდა.

ინგლისურის კარგად ცოდნის გამო, გელას საზღვარგარეთ მოგზაურობაც ხშირად უწევდა, საიდანაც შვილებისთვის (ირაკლის და – თეონა ჩარკვიანი, ძმაზე 5 წლით უმცროსია) „ბროდვეის“ მიუზიკლები ჩამოჰქონდა, რადგან როგორც მიაჩნდა კარგი საფუძველი იქნებოდა იმისთვის, რომ შვილებს მუსიკასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდათ. ალბათ ყოველივე ამან უბიძგა ირაკლის, რომ თავადაც მუსიკა, ლექსები და პროზაული ნაწარმოებები შეექმნა. სკოლა არასოდეს უყვარდა, ყველა დირექტორსა და მასწავლებელს რაღაცას უწუნებდა. საბოლოო ჯამში ოთხი სკოლა ▶



ქეთათო: „ჩარკვიანების ოჯახში ყველა ინდივიდუალური, განსხვავებულია, და ერთმანეთს ავსებენ. მათზე ახლო არავინ მყავს და ეს ყველაფერი დიდი სიყვარულის შედეგია, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა”.

„ირაკლისნაირი ადამიანები ძალიან საინტერესო მთავარ ვექტორს გაძლევენ და მერე შენი შესაძლებლობების მიხედვით ვითარდები. მიძინებულ ემოციებს გიღვიძებენ და გეხმარებიან, რომ უფრო ფართოდ შეხედო სამყაროს, მეტი გრადაცია და ფერი დაინახო“



ქეთათო: „ნანას დაბადებამ ირაკლი რადიკალურად შეცვალა, მოწესრიგებული და მზრუნველი გახადა“.



გამოიცვალა, თუმცა იქ შეძენილი მეგობრები სიცოცხლის ბოლომდე ჰყავდა.

ბავშვობაში მუსიკალურ სკოლაში ფორტე-პიანოზე დაკვრას სწავლობდა. კარგი სმენა ჰქონდა, მაგრამ გამებისა და ეტიუდების დაკვრა ყოველთვის ეზარებოდა. გვერდით მიუდგებოდა და ყურადღებით უსმენდა ხოლმე მამას, როდესაც ჯაზს უკრავდა. ნელ-ნელა კლავიშებს დაუმეგობრდა და მათი დამოუკიდებლად ათვისება დაიწყო. მისი დებიუტი პროფესიულ მუსიკალურ ასპარეზზე ჯგუფ „არიშში“ შედგა.

რაც შეეხება ალტერნატიულ მუსიკასა და როკს, საქართველოში ის სწორედ ირაკლის ბავშვობის პერიოდში ვითარდებოდა. 12-13 წლის იყო, როცა ქვეყანაში რევოლუცია დაიწყო და შინაგანად მეამბოხე ირაკლი აკეთებდა იმას, რაც მშობლებს არ უნდოდათ. ხშირად იკარგებოდა შინიდან რამდენიმე



„თუ გინდა თავისუფალი დარჩე, სიკვდილს უნდა აჯობო. მისი არ უნდა გეშინოდეს“.

## „ირაკლისთან ცხოვრებისას მივხვდი, რომ დაბადება ღირდა. როცა ის ცოცხალი იყო, მის გარდა არავინ და არაფერი მახსოვდა დედამიწის ზურგზე“

თვით და მარტო ან მეგობრებთან ერთად მოგზაურობდა ისე, რომ მისი ადგილსამყოფელი მშობლებმა არ იცოდნენ. ისე დაიწყო რუსთავის ორკესტრში დაკვრა, რომ დედამ და მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. როცა გელამ მის შემოქმედებას მოუსმინა, მიხვდა, რომ ირაკლი კარგი მუსიკის დაწერას შეძლებდა და ცოტა დამშვიდდა. მშობლები განიცდიდნენ, თუმცა მიყვებოდნენ ირაკლის ნებას და შვილის შემოქმედებაც ნელ-ნელა უფრო სერიოზული ხდებოდა.

18 წლისამ ლექსების წერა დაიყო (გელას ახლაც მიაჩნია, რომ ირაკლის საუკეთესო ლექსები სწორედ ამ ასაკშია დაწერილი). ირგვლივ ყოველთვის შემოქმედებითი მეგობრები ჰყავდა: გეგა კობახიძე, გია მირზაშვილი და ლევან ღოღობერიძე. ბიჭები ერთმანეთის შემოქმედების პირველი შემფასებლები იყვნენ. ირაკლიმ ნელ-ნელა მოთხრობების წერაც დაიყო და ლიტერატურისკენ გადაიხარა. გელას ეგონა, რომ შვილი სწორედ ლიტერატურას გაჰყვებოდა, მაგრამ მუსიკის სიყვარულმა თავისი ქნა. საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა ავტორად, რომელიც ტექსტს, მუსიკასა და ვიზუალს, ანუ „არტ პროდუქტს“ თავად ქმნიდა.

უპირისპირდებოდა იმ რეალობას, რომელშიც იყო. გამუდმებით ფიქრობდა რაღაც ახალი შეექმნა და ამით იკვებებოდა. ძალიან თამამი იყო და შიშის გრძნობა არ ჰქონდა. მუდამ ზღვარზე დადიოდა და ყოველთვის რისკის წინაშე დგებოდა, თუმცა წინ დიდი ნაბიჯებით, გამართული მიიწევდა. უკომპრომისო და მოუსვენარი იყო მუსიკალური მეტაფორების მაძიებელი შემოქმედის ბუნება. კულტურა იყო მისი ასპარეზი და მუდამ კულტურულ ამბოხში მონაწილეობდა. აქ გამოვლინდა ყველაზე მეტად მისი ხასიათი და ნიჭი, რომლითაც არაერთი ტაბუ და სტერეოტიპი დაამსხვრია და გავლენა მოახდინა 1990-იანი და ადრეული 2000-იანი წლების ქართულ კულტურულ პროცესზე. რაც შეეხება ქართულ როკს, ის ჩვენი ეროვნული კულტურის ნაწილად აქცია. სწორედ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა განაპირობა ის, რომ მისი შემოქმედება მუდამ ახლებური, თავსებადი, ხელმისაწვდომი, უშუალო და რაც მთავარია – მარად ცოცხალია. ▶



**მაქსიმე: „ცხოვრებაში ისე ხდება, რომ ბევრ ძვირფას მომენტს კარგად არ უფრთხილდები. გგონია, რომ ისევ განმეორდება, რეალურად კი გონებიდან ქრება და ქარს მიაქვს. ჩვენ შორის არ არსებობდა მამა-შვილობის ზღვარი. ჩვენ ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ვიყავით. მთელი ჩემი ბედნიერება ირაკლიშია“.**

## „ჩემში შინაგანად მამაჩემიც არის და ბაბუაჩემიც, ეს ყველაფერი კი მაიძულებს მოვიკრიბო ენერგია და სხვისი ტვირთი თუ პასუხისმგებლობა საკუთარი მხრებით ვატარო“

უყვარდა ინტრიგა, ეპატაჟი. 43 წლის ასაკში ექსცენტრიკული, თამამი ნაბიჯი გადადგა – „მეფობა“ გადაწყვიტა და „გამეფდა“. 44 წლის ასაკში წავიდა ისე, რომ ყველაფრის თქმა ვერ მოასწრო, მაგრამ ბევრი თქვა. მისი ბიოგრაფია სიკვდილით ვერ დასრულდა – გრძელდება...

ქეთათო 16 წლის იყო, როცა ირაკლი გაიცნო. 17-ის იყო, როცა ერთად ცხოვრება დაიწყეს. ირაკლი მაშინ ქეთათოზე ორჯერ უფროსი, 34 წლის გახლდათ. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მასთან ასაკობრივი ბარიერი არასოდეს უგრძნია, ამის მიზეზი კი თავად ირაკლი გახლდათ, რომელიც ურთიერთობაში ძალიან გახსნილი და საინტერესო იყო. ძირითადად შინ იყვნენ. გარეთ იშვიათად – ძაღლის გასასეირნებლად გადიოდნენ. სვამდნენ მწვანე ჩაის, ლაპარაკობდნენ ფილოსოფიურ საკითხებზე, ბევრს უკრავდნენ და მღეროდნენ. ერთმანეთზე ზრუნავდნენ და პოზიტიურად ზემოქმედებდნენ.

მეფესთან ურთიერთობით ქეთათომ საკუთარ თავში ბევრი მიძინებული, კარგი თვისება აღმოაჩინა. მისგან სწორი ცხოვრება და ყველაზე მთავარი – სიყვარული ისწავლა. ირაკლის ბავშვი უნდოდა, მაგრამ ქეთათოს მისი ზედმეტი პასუხისმგებლობით დატვირთვა არ სურდა, ამიტომ ცდილობდა მისი სილაღე მაქსიმალურად დიდხანს შეენარჩუნებინა. პატარა ნანამ მამა ისე შეცვალა, რომ ქეთათო ვეღარ ცნობდა. ირაკლი ეხმარებოდა ბავშვის მოვლაში, კვებაში, და საფენსაც საკუთარი ხელით უცვლიდა. ქეთათოს მოსწონდა ეს ყველაფერი, მაგრამ ცოტა ეგოისტური დამოკიდებულება ჰქონდა და ერჩივნა ის პერიოდი, როდესაც ირაკლი მხოლოდ მისი იყო და მის სიყვარულში არავინ ეცილებოდა.

ერთად ცხოვრება მხოლოდ 10 წელი მოასწრეს. ირაკლის დაკარგვით მან საკუთარი თავიც დაკარგა. „მეფის“ გარდაცვალების შემდეგ, როცა მარტო დარჩა და ფაქტობრივად თავიდან მოუწია დაბადება და ცხოვრების სწავლა, ნანა ქეთათოს ერთადერთი ხსნა და სტიმული აღმოჩნდა.

ირაკლის გარდაცვალებისას ნანა ორწლინახევრის იყო. მამა ბუნდოვნად ახსოვს, ძველი ჩანაწერების ნახვისას კი კადრებად ახსენდება ირაკლისთან ურთიერთობის სხვადასხვა მომენტი. მეფის გარდაცვალების შემდეგ, „პატარა ნანა“-ზე (როგორც ბაბუა ეძახის) მზრუნველობა გელამ აიღო და დღეს ერთდროულად ბაბუის როლსაც ასრულებს და მამისასაც, ნანას საუკეთესო მეგობარიცაა და მასწავლებელიც. შაბათ-კვირას ბაბუა და შვილიშვილი ერთად ატარებენ და სხვადასხვა საგანს ინგლისურად მეცადინეობენ.

ირაკლის უფროსი შვილი მაქსიმე 20 წელია მოსკოვში დედასთან, რუსეთში მიუზიკლების ცნობილ მსახიობ ელენა ჩარკვიანთან ერთად ცხოვრობს. საბავშვო ბაღი და პირველი კლასი თბილისში დაამთავრა. 7 წლამდე საქართველოში ცხოვრობდა და ქართულ ენაზე მშვენივრად საუბრობს. ზაფხულის ცხელ თვეებსაც ბებია-ბაბუასთან ერთად, საქართველოში ატარებს ხოლმე.

მაქსიმემ უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა საქმიანობის გაგრძელება სხვა მიმართულებით გააგრძელა: მუშაობდა კინოსტუდიაში, ტელევიზიაში, ახლა კი სხვადასხვა კლიპისა და სარეკლამო რგოლის სცენარის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერია. როცა თავისუფალი დრო აქვს, ცდილობს საქართველოში ჩამოვიდეს და მონატრებულ ოჯახის წევრებთან რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს.

გელა ჩარკვიანს მიაჩნია, რომ დღეს აბსოლუტურად ბედნიერი იქნებოდა, მის ცხოვრებაში რომ არ ყოფილიყო ორი დიდი ტრაგედია – საყვარელი შვილისა და მეუღლის დაკარგვა. ყოველივე ამის შემდეგ, რეალობა აღარ ეჩვენება ნამდვილ რეალობად, თუმცა მოქმედებისთვის სტიმული სჭირდება, ეს კი პატარა ნანაა.

წლების განმავლობაში ბევრი რამ აკეთა: იყო პოლიტიკურ ასპარეზზე, სხვადასხვა მიმართულებით კითხულობდა ლექციებს, წერდა მუსიკას. ცხოვრების გზაზე იყო ბედნიერი მომენტებიც, ტრიუმფებიც და ჩავარდნებიც. ფიქრობს, რომ შესაძლოა ყოფილიყო რაღაც, რაც კიდევ უფრო წინ წაწევდა მის ცხოვრებას, მაგრამ მიაჩნია, რომ სერიოზული შეცდომა არასოდეს დაუშვია. საინტერესო ცხოვრებისთვის არ იცის ვის უთხრას მადლობა. საბოლოოდ კი, ყველა ტიტული მოიცილა. დარჩა ერთი – გელა ჩარკვიანი. H

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: ლექო ჭყონია
**მაქსიმეს ფოტოები**: კარინა ივანოვა


GEOX
RESPIRA
ჯეოქსი
geox.com
BREATHES
ფეხსაცმელი, რომელიც სუნთქავს
ვაჟა-ფშაველას გამზ. 26; ც. დადიანის 7 ს/ც "ქარვასლა";
www.icr.ge





როგორც უკვე იცით, ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის განქორწინებამ მსოფლიო აალაპარაკა. ფოტოზე ისინი კანში, Inglourious Basterds-ის პრემიერაზე პოზირებენ.

ბრანჯელინას შემდეგ...

# ვინ დაიმსახურებს მსოფლიოს საუკეთესო წყვილის ტიტულს?

ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი მსოფლიოს საუკეთესო წყვილის ტიტულს წლების განმავლობაში ინარჩუნებდნენ. ეს მათი მომხიბვლელობით, ქარიზმით, ნიჭიერებით, ერთმანეთისა და ბავშვებისადმი დამოკიდებულებით, საქველმოქმედო საქმიანობით, ფილმებითა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორით იყო განპირობებული. ყოველთვის, როდესაც ერთად ჩნდებოდნენ, ყველას ყურადღებას იპყრობდნენ და ნებისმიერი ღონისძიების მთავარი მოვლენა ხდებოდნენ. გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ ისინი განუყრელები იყვნენ. სწორედ ამიტომ, საყვარელ წყვილს ბრანჯელინა შეარქვეს. რამდენიმე კვირის წინ კი, იძულებულები გახდნენ ეს მოსაზრებაც და სახელი „განუყრელიც“ წარსულისთვის ჩაებარებინათ. სხვაგვარად რომ გითხრათ, მსოფლიოს საუკეთესო წყვილის ტიტული „ვაკანტური“ გახდა. და გაჩნდა შეკითხვა – ვინ დაიკავებს ბრანჯელინას ადგილს?

## კანდიდატები

პირველნი, ვინც ამ ტიტულს იმსახურებენ, ჯორჯ და ამალ კლუნები არიან. ბრედისა და ანჯელინას მსგავსად, ისინი საოცარი მომხიბვლელობით, ნიჭით, დახვეწილობითა და მისაბაძი დამოკიდებულებებით გამოირჩევიან. ამას ისიც ემატება, რომ კლუნი პიტის საუკეთესო მეგობარია. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, ჯორჯი – „ოსკაროსანი“ მსახიობი, პროდიუსერი და პოლიტიკური აქტივისტი, და ამალი – ადამიანის უფლებათა დამცველი და სტილის დედოფალი, იდეალურ ტანდემს ქმნიან იმისთვის, რომ ამქვეყნად არსებულ წყვილთა შორის საუკეთესოდ აღიარონ.

სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ წყვილი გაეროს ყრილობაზე გამოჩნდა. ამას მიზეზი ჰქონდა: ჯორჯ და ამალ კლუნებმა თავიანთი სახელობის საქველმოქმედო ფონდი წარადგინეს. 55 წლის მსახიობი, რომელსაც გვერდს 38 წლის მეუღლე და თავად ამერიკის პრეზიდენტი უმშვენებდნენ, გულმოდგინედ საუბრობდა ისეთ მწვავე პრობლემებზე, როგორებიცაა სირიელ ლტოლვილთა ყოფა და აკრძალული საქონლით ვაჭრობა. გარდა მსოფლიოს კეთილდღეობისა, კლუნები მოდის მოყვარულებზეც თავისებურად ზრუნავენ. მაგალითად ისიც

ჯორჯ კლუნი, თავისი გლამურული ამალით, კანის „წითელ ხალიჩაზე“ პოზირებს.

ფოტო: GETTY IMAGES; WIREIMAGE.







დევიდ და ვიქტორია ბექჰემები 2014 წლის Met Gala-ზე იწონებენ თავს. ცოლ-ქმარს აქვს შანსი, საუკეთესო წყვილის ტიტული მოიპოვოს და ბრანჯელინას განშორებით დატოვებული სიცარიელე შეავსოს.

კმარა, რომ ამალი, რომელიც ლონდონის იურიდიულ კომპანია Doughty Street Chambers-ში მუშაობს, ყოველთვის ცნობილი დიზაინერების ახალ-ახალი ტანსაცმლით იმოსება და გულშემატკივრებს სტილის საუკეთესო მაგალითს აძლევს.

ერთადერთი, ვინც ამ წყვილის კონკურენტად განიხილება, ბექჰემების ოჯახია. უკვე თითქმის ოცი წელია, ყოფილი Spice Girls-ელისა და მისი ფეხბურთელი მეუღლის თანაცხოვრება ყურადღების ცენტრშია. Posh and Becks, როგორც ამ წყვილს უწოდებენ, საერთაშორისო ბრენდადაა ქცეული. ამ „ბრენდს“ ოთხი არაჩვეულებრივი შვილი ჰყავს, რომელთა შესახებ HELLO! წინა ნომერშიც გესაუბრათ.

გარდა იმისა, რომ საკულტო სტილითაა ცნობილი, 42 წლის ვიქტორია გულშემატკივრებს საოცარი დიზაინითაც ანებივრებს. მისი ექსკლუზიური ნამუშევრებით თავს ისეთი ვარსკვლავები იწონებენ, როგორებიც ევა ლონგორია, ბიონსე და გვინეტ პელტროუ არიან. რაც შეეხება 41 წლის ყოფილ ფეხბურთელს, ის სამოდელო კამპანიებში მონაწილეობს და ხშირად შენიშნავთ სხვადასხვა ფილმის კადრებშიც. გარდა ამისა, დევიდი სამეფო ოჯახის ერთ-ერთი ფავორიტია და ბრიტანული იმპერიის ორდენიც აქვს დამსახურებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ის ბავშვებზეც განსაკუთრებულად ზრუნავს და სპეციალურად მათთვის დააარსა საქველმოქმედო ფონდი 7: The David Beckham Unicef Fund. მოკლედ, ბექჰემების ოჯახს ყველაფერი აქვს გაკეთებული იმისთვის, რომ საუკეთესო წყვილის ტიტული დამსახურებულად მოიპოვოს.

ჯორჯ და ამალ კლუნები თუ დევიდ და ვიქტორია ბექჰემები? – ამას დრო და მათი საქმიანობა გვიჩვენებს. ერთი რამ კი უეჭველია – საუკეთესო წყვილის „ვაკანტურ თანამდებობას“ სულ მალე ბრანჯელინას შემცვლელები დაიკავებენ. H

**ტექსტი**:
LAURA BENJAMIN & TRACY SCHAVERIEN

**დევიდ ბექჰემი სამეფო ოჯახის ერთ-ერთი ფავორიტია და ბრიტანული იმპერიის ორდენიც აქვს დამსახურებული. ის ბავშვებზეც განსაკუთრებულად ზრუნავს და სპეციალურად მათთვის საქველმოქმედო ფონდი დააარსა**





ალექსანდრე IKKS; ლელა AVTANDIL

# „მინდა ჩემი შვილები ბედნიერები იყვნენ“

# ლელა მებურიშვილი

## მეორედ გახდა დედა

მარჯანიშვილის თეატრის პოპულარულ მსახიობსა და ტელეწამყვან ლელა მებურიშვილს ცოტა ხნის წინ მეორე შვილი შეეძინა. პატარა ლილი ჩიკაგოს ერთ-ერთ სამშობიარო სახლში დაიბადა. დედა-შვილი უკვე თბილისში არიან. ქართული HELLO!-ს ერთგულ მკითხველს კი საშუალება აქვს ჩვენი ფურცლებიდან გაიგოს, როგორ შეხვდა ოჯახის ახალ წევრს ლელას უფროსი ვაჟი ალექსანდრე და რა მოლოდინი აქვს თავად მსახიობს.

**უკვე ორი შვილის დედა ხართ. როგორი შეგრძნებაა?**

**ლ.მ.** ეს ფრაზა ჩემი მისამართით ახლახან მომხვდა ყურში. ჯერჯერობით ცოტა მეხამუშება, თან ძალიან მეამაყება და მომწონს. სასიამოვნო შეგრძნებაა, და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც. მეორე შვილის გაჩენა რომ გადავწყვიტე, უკვე მაშინ ძალიან ვნერვიულობდი. ერთი შვილი ხომ როგორი საპასუხისმგებლოა, და ორი – მით უმეტეს.

**რატომ ნერვიულობდით?**

**ლ.მ.** ჯერ ერთი, მეშინოდა იმის, როგორ შეეწყობოდნენ ერთმანეთს ბავშვები. ალექსანდრეც ჯერ საკმაოდ პატარაა. ვფიქრობდი, არ იეჭვიანოს-მეთქი. ფეხმძიმობისას ალექსანდრესთან მოსამზადებელი ეტაპები გავიარეთ, თანდათან შევაჩვიეთ იმ აზრს, რომ პატარა გვეყოლებოდა. ის გამუდმებით მუცელზე მეფერებოდა და სიყვარულს ამით გამოხატავდა. მე და ჩემი მეუღლე ალექსანდრეს ლილის სახელით საჩუქრებს ვუგზავნიდით და კართან ვალაგებდით. შესაბამისად, ისიც ძალიან ელოდებოდა დაიკოს დაბადებას. ახლაც ყველა წვრილმანზე ვფიქრობ – არ მინდა ალექსანდრეს სითბო და ყურადღება მოაკლდეს.

**თავის დაიკოზე თუ ეჭვიანობს?**

**ლ.მ.** სხვათა შორის, არ ეჭვიანობს. ბევრს ეფერება და კოცნის. თუმცა დარწმუნებული ვარ შინაგანად რაღაცები შეეცვალა. სტუმრები რომ მოდიან, აქამდე თუ მთელი ყურადღება ალექსანდრეზე იყო, ახლა პატარაზე გადააქვთ და ამას, რასაკვირველია, გრძნობს.

**ლილიზე გვიამბეთ.**

**ლ.მ.** ლილი 11 სექტემბერს, ამერიკაში დაიბადა. ზუსტად ისეთივე წონის გაჩნდა, როგორც ალექსანდრე – 3 კგ და 500 გრ. სიგრძე – 50 სმ. ორივე კატასტროფული სიჩქარით იმატებს როგორც სიმაღლეში, ისე – წონაში. ერთ თვეში ლილიმ 2 კგ მოიმატა და უკვე საკმაოდ დამრგვალდა. ▶

„ალექსანდრე ჩემზეა „მოწებებული“. გამორჩეულად ჩემთან უყვარს ყოფნა. მაგალითად, როცა ძილის დრო აქვს და მე შინ ვარ, სხვას თავს არ დააძინებინებს. მართალია ბავშვების გაზრდაში ოჯახის წევრები მეხმარებიან, ძიძაც მყავს, მაგრამ დედა მისთვის პრიორიტეტია. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ორივეს ერთდროულად უნდოდა დედასთან ყოფნა. მეც ცალ ხელში ლილი მყავდა, მეორეში კი ალექსანდრე“.



ალექსანდრე და ლილი IKKS; ლელა EMPORIO ARMANI





ალექსანდრე და ლილი IKKS

„ლილის მოვლაში ალექსანდრეს თავისი როლი აქვს. მეხმარება პატარას დაბანაში, მოაქვს პირსახოცი, პამპერსი. თავიდან ბოლომდე ჩართულია დაიკოს აღზრდაში“

„ლილის დაბადების შემდეგ ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში ახალი ეტაპი დადგა“

# „ლილის ძალიან ბევრი მამსგავსებს. მამაჩემი ამბობს, რომ პატარაობაში ზუსტად ასეთი ვიყავი“



ალექსანდრე და ლილი IKKS; ლელა მაისური: DOTS; ქვედაბოლო: AVTANDIL; ბავშვის ეტლი CAM

**სახელი ვინმეს პატივსაცემად დაარქვით?**
**ლ.ძ.** ალექსანდრე რომ დაიბადა, მინდოდა რამე საერთაშორისო სახელი შემერჩია. ბევრი ვიფიქრეთ და ალექსანდრე ავარჩიეთ. რაც შეეხება ლილის, ეს ბაჩოს – ჩემი მეუღლის ბებიის სახელია და მის პატივსაცემად დავარქვით.

**ლილი, ისევე როგორც ალექსანდრე, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა...**
**ლ.ძ.** მართალია. ორივეზე ჩიგაკოში ვიმშობიარე. ფანტასტიკური ექიმი მყავს, რომელიც ასევე პედიატრია. თავიდანვე ისე მოხდა, რომ არჩევანი ჩიკაგოზე შევაჩერეთ, რადგან იქ ბევრი მეგობარი გვყავს და ეს ექიმიც მათ მირჩიეს. არაჩვეულებრივი ქალია, ისე გიმარტივებს ყველაფერს, რომ მშობიარობას ვერც იგებ. ორივე შვილი ძალიან სწრაფად და მარტივად გავაჩინე.

**ბავშვებს შორის მცირე სხვაობაა. არ გიჭირთ ემოციების სწორად გადანაწილება?**
**ლ.ძ.** ალექსანდრე ჩემზეა „მოწებებული“. გამორჩეულად ჩემთან უყვარს ყოფნა. ▶

ლელა მაისური DOTS, ქვედაბოლო AVTANDIL; ლილის ბოდი IKKS; სათამაშო CAM



**„ლილი 11 სექტემბერს დაიბადა. ზუსტად ისეთივე წონის გაჩნდა, როგორც ალექსანდრე - 3 კგ და 500 გრ. სიგრძე - 50 სმ. ორივე კატასტროფული სიჩქარით იმატებს სიმაღლეშიც და წონაშიც. ერთ თვეში ლილიმ 2 კგ მოიმატა და უკვე საკმაოდ დამრგვალდა“.**



**ლელას სიტყვებით, ლილის გაჩენის შემდეგ ფორმა მალევე დაიბრუნა, თუმცა მიაჩნია, რომ ვარჯიში ურიგო მაინც არ იქნება**

**„არ მინდა მოვდუნდე. პირიქით – აქტიურად უნდა ჩავერთო რეპეტიციებში, სპექტაკლებში“**

მაგალითად, როცა ძილის დრო აქვს და მე შინ ვარ, სხვას თავს არ დააძინებინებს. მართალია ბავშვების გაზრდაში ოჯახის წევრები მეხმარებიან, ძიძაც მყავს, მაგრამ დედა მისთვის პრიორიტეტია. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ორივეს ერთდროულად უნდოდა დედასთან ყოფნა. მეც ცალ ხელში ლილი მყავდა, მეორეში კი ალექსანდრე.

**რამდენად შეგეცვალათ რეჟიმი მეორე შვილის დაბადების შემდეგ?**

**ლ.მ.** ვინაიდან ლილი ბუნებრივ კვებაზე მყავს და სამ საათში ერთხელ ვაჭმევ, მის რეჟიმზე ვარ დამოკიდებული. შინიდან გასვლა რომ მიწევს, „ეკლებზე ვზივარ“, რადგან ნებისმიერ მომენტში შეიძლება დამირეკონ და სახლში გავარდნა მომიწიოს. ლილი ჯერ ძალიან პატარაა და ზუსტად სამსაათიან შუალედებს ვერ იცავს.

სხვათა შორის, ალესანდრესგან განსხვავებით, რომელსაც ამ ასაკში ძირითადად ეძინა, ლილი დღის მანძილზე აქტიურად ფხიზლობს ხოლმე. თვალები დაჭყეტილი აქვს და გარემოს აკვირდება. ხანდახან პრეტენზიასაც გამოხატავს და ხელში აყვანას ითხოვს.

რომ გავაჩინე, პედიატრმა მითხრა – ახლა ნახე განსხვავება ბიჭსა და გოგოს შორისო. და ამას უკვე მართლა ვგრძნობ. ლილის შეიძლება არც შიოდეს და არაფერი აწუხებდეს, მაგრამ ყურადღებას მაინც ითხოვდეს. უნდა რომ დიდი გოგოსავით ეკონტაქტო, ელაპარაკო და ეთამაშო.

**რამდენად ჩართულია ალექსანდრე დაიკოს მოვლაში, ზრუნავს მასზე?**

**ლ.მ.** ნამდვილად ასეა. ალექსანდრეს ჩართულობა ლილის მოვლაში იყო მასთან შეჩვევის პირველი ხერხი. ალექსანდრეს თავისი როლი აქვს. მეხმარება ლილის დაბანაში, მოაქვს პირსახოცი, პამპერსი. ერთი ჩვევა აქვს – წარამარა ქუდს ხდის და თავზე კოცნის. ვერ იტანს ქუდი რომ ახურავს.

„ალექსანდრეც ჯერ საკმაოდ პატარაა. ვფიქრობდი, არ იეჭვიანოს-მეთქი. ფეხმძიმობისას მასთან მოსამზადებელი ეტაპები გავიარეთ და თანდათან შევაჩვიეთ იმ აზრს, რომ პატარა გვეყოლებოდა. ალექსანდრე გამუდმებით მუცელზე მეფერებოდა და სიყვარულს ამით გამოხატავდა. მე და ჩემი მეუღლე მას ლილის სახელით საჩუქრებს ვუგზავნიდით და კართან ვალაგებდით. შესაბამისად, ისიც ძალიან ელოდებოდა დაიკოს დაბადებას“.

კაბა EMPORIO ARMANI

## როგორია ალექსანდრე?

**ლ.მ.** ძალიან მშვიდია, და ამავდროულად აქტიური. არასოდეს ჩერდება, მუდამ მოძრაობს, თამაშობს. თუმცა დამჯერი და დინჯიცაა. ყოველთვის მაქვს სურვილი ალექსანდრე ყველგან თან ვატარო, რადგან დისკომფორტს არ ქმნის. უყვარს Lego-თი თამაში. ყველა სათამაშოს თავისი სახელი აქვს. ახლა ახალი ჰობი გაუჩნდა – ზღაპრების ინსცენირება. ანაწილებს როლებს და სპექტაკლს დგამს.

## ალექსანდრე უფრო მამას ჰგავს, და ლილი?

**ლ.მ.** მე ერთმანეთს ვამსგავსებ. ხშირად ამბობენ, რომ ალექსანდრე მეც მგავს, განსაკუთრებით თვალებით. ლილის ძალიან ბევრი მამსგავსებს. მამაჩემი ამბობს, რომ პატარაობაში ზუსტად ასეთი ვიყავი. თუმცა ბაჩოსაც ამსგავსებენ. სხვათა შორის, ჩვილობის მერე ალექსანდრე გარეგნულად ძალიან შეიცვალა. ვნახოთ ლილი რას იზამს.

## მეუღლე გეხმარებათ?

**ლ.მ.** ბაჩო თავიდან ბოლომდე ჩართულია ორივე ბავშვის გაზრდაში. ღამე ლილის კარგად სძინავს. ძილში ვაჭმევ და ვუცვლი კიდეც. ამიტომ ბაჩოს დახმარება ღამით იმდენად არ მჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრესაც იმ მომენტში შეეღვიძება, მას ყურადღებას უკვე მამა აქცევს. ზოგადად, ბაჩო ყველაფერში მეხმარება.

## ფორმა მალევე დაიბრუნეთ. როგორ მოახერხეთ ეს?

**ლ.მ.** სხვათა შორის მიხარია, რომ არასოდეს დამჭირვებია დიეტის დაცვა. პირველ ბავშვზეც მალევე დავიკელი და ჩემს ჩვეულ წონას დავუბრუნდი. ლილიზეც ასე მოხდა. უბრალოდ ფორმები შემეცვალა და ეს აუცილებლად ვარჯიშით უნდა გამოვასწორო. ორსულობაში ბევრი არც მომიმატებია – 14 კგ. ▶

ფოტო AVTANDIL; ალექსანდრე IKKS





**ლელა საუკეთესო დედა და მეუღლეა. ბედნიერებას ასხივებს და სურს მის გარშემო ყველა მასავით ბედნიერი იყოს**





ფოტო IKKS; ბავშვის სავარძელი CAM

**„ლილი დღის მანძილზე აქტიურად ფხიზლობს. თვალები დაჭყეტილი აქვს და გარემოს აკვირდება. ხანდახან პრეტენზიასაც გამოხატავს და ხელში აყვანას ითხოვს“**

**ლელა, ორიოდე სიტყვით მოგვიყევით რა ეტაპზე ხართ კარიერის თვალსაზრისით. დაუბრუნდით სამუშაო რეჟიმს?**

ლ.მ. ორივე შვილის გაჩენის შემდეგ მქონდა შეგრძნება, რომ რაღაც ახალი მჭირდებოდა. არ მინდა მოვდუნდე, პირიქით – აქტიურად უნდა ჩავერთო რეპეტიციებში, სპექტაკლებში, იმის მიუხედავად, რომ აქეთ-იქით სირბილი და ყველაფრის ერთდროულად მოსწრება რთულია.

უკვე დავუბრუნდი „დღის შოუს“. მარჯანიშვილის თეატრშიც ახალი სეზონი გაიხსნა. ველოდები შემოთავაზებებს ახალ კინოროლებზე. დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება. მოლოდინი ყოველთვის ამართლებს!

**ტექსტი**: ლულუ კახიანი
**ფოტო**: ლეკო ჭყონია
**ლოკაცია**: MUSEUM HOTEL TBILISI



თავდაჯერებული
ქალბატონების
არჩევანი!
მაღაზია IXXS, ალ. ყაზბეგის გამზ. 24
SHOPING@AXIS, ტელ.: 032 231 25 33
IXXS

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი

# ჰილარი კლინტონი

## დედა, მეუღლე და ბებია, რომელიც ექსკლუზიურ ინტერვიუში ოჯახურ მოგონებებსა და შინაგან სამყაროზე გვესაუბრება

ჰილარი კლინტონის ბიოგრაფიაში ხშირად გვხვდება სიტყვა „პირველი“. ის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი პირველი ლედი იყო, რომელმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა გადაწყვიტა და ჯერ ნიუ-იორკის პირველი ქალი სენატორი, შემდეგ კი აშშ-ის პრეზიდენტობის პირველი ქალი კანდიდატი გახდა. მის წოდებათა ჩამონათვალს ორი წლის წინ ბებიობაც შეემატა

ფოტო: BARBARA KINNEY





„ვერ ვიჯერებ, რომ ჩელსი უკვე დედაა. ხშირად მისი საქციელი და ნათქვამი ჩემს თავს მაგონებს ხოლმე და ვიაზრებ, რომ ყველაფერი წრეზე ბრუნავს“

როგორც ჰილარი HELLO!-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნავს, შვილიშვილმა მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა. „მანამდე მსგავსი არაფერი მიგრძნია. ჩემი მეგობრები, რომლებსაც უკვე ჰყავდათ შვილიშვილები, ყოველთვის მიყვებოდნენ რას განიცდიდნენ ამ პატარა არსებების მიმართ. მათი ბოლომდე ვერასოდეს მესმოდა. შემდეგ კი, როცა საკუთარ თავზე გამოვცადე, ზუსტად მივხვდი, რასაც გულისხმობდნენ“, – გვიმხელს 2 წლის შარლოტასა და 4 თვის ეიდენის ბებია, რომელიც შვილიშვილებზე საუბრით არასოდეს იღლება, – „მუდმივად ვაკვირდები ყველა წვრილმანს და თითოეულ ცვლილებას, რომელსაც განიცდიან. შარლოტაც და ეიდენიც ძალიან მაგონებენ ჩელსის, რომელიც მათ ასაკში ზუსტად ასეთი იყო“.

შვილები ჩელსის ინვესტორი ბანკირის – მარკ მეზვინსკისგან ჰყავს. ჰილარის გული უჩუყდება, როცა უყურებს, როგორ ასრულებს მისი ქალიშვილი მშობლის მოვალეობებს. „ვერ ვიჯერებ, რომ ჩელსი უკვე დედაა. ხშირად მისი საქციელი და ნათქვამი ჩემს თავს მაგონებს ხოლმე და ვიაზრებ, რომ ყველაფერი წრეზე ბრუნავს. ბებიობამ კიდევ უფრო დამაფასებინა ის სიმდიდრე, რასაც ოჯახი ჰქვია“, – ამბობს პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც პატარა შარლოტას FaceTime-ით ყოველდღიურად ეკონტაქტება.

მანამდე, ვიდრე ოფიციალურ შეხვედრაზე, კონფერენციასა თუ დებატებზე წავა, სულმოუთქმელად ელის იმ ჯადოსნურ ვიდეოებს, რომლებსაც ბებიას ჩელსი და მარკი უგზავნიან. ჩანაწერებში შარლოტა ბებიას კეთილ სურვილებს უგზავნის ან რომელიღაც საკუთარი ნიჭის დემონსტრირებას ცდილობს. ზოგჯერ ლომივით ღრიალიც კი შეუძლია. ეს ყველაფერი საქმიანი ბებიის სულისკვეთებას ერთიორად ზრდის.

მოკლედ, თქვენ წინაშეა ბებია ჰილარი, როგორც არასაჯარო პირი – ქალი, რომელიც ბილ კლინტონთან ერთად დღემდე დადის პაემანზე და ფიქრობს, რომ ეს სიყვარულის ნაპერწკლებს კიდევ უფრო აღვივებს; ქალი, რომელსაც ძალიან უყვარს ძაღლების გასეირნება; რომელიც დღესაც დიდ სიამოვნებას იღებს მეგობრებთან ერთად ფილმის ნახვითა და ვახშმობით, შემდეგ კი – გვიანობამდე ძილით; და ქალი, რომელსაც სახლის დეკორაციებზე ზრუნვა უკვე ჰობად აქვს გადაქცეული.



თუ ჯერ კიდევ გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ამ ძლიერი პოლიტიკოსის მიღმა ჩვეულებრივი ადამიანი იმალება, მაშინ იმასაც გაგიმხელთ, რომ ჰილარი დიდი გულშემატკივარია შოუსი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და ძალიანაც ნერვიულობს ხოლმე თავისი ფავორიტების ბედ-იღბალზე. ისიც კარგად მოეხსენება, რომ ცივ და დისტანციურ პიროვნებად მოიაზრებენ. საქმე იმაშია, რომ დაუნდობელ პოლიტიკურ სამყაროში გადასარჩენად კლინტონი საკულტო ქალბატონის – ელეონორა რუზველტის რჩევას ითვალისწინებს: „ბავშვობიდან ვცდილობ, გავითვალისწინო მისი ნათქვამი – ქალებს, რომლებიც საჯარო პირები არიან, მარტორქასავით სქელი კანი უნდა ჰქონდეთ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტირილი, ემოციურობა და ქალური სისუსტის გამოვლენა გამოსავალი არ არის. გარდა ამისა, კლინტონის სისხლში იმ ქალის გენებია, რომელიც მუდმივად ებრძოდა სიღარიბესა და უსამართლობას: „დედაჩემმა პატარაობაშივე მასწავლა, რომ ცხოვრება არ არის ის, რაც შენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ცხოვრებაა ის, თუ როგორ იქცევი მაშინ, როცა ძირს ეცემი და მაშინაც, როცა წამოდგომას ცდილობ“.

## პირველი ნაბიჯები და ოცნებები

ჰილარი დაიან როდჰემ კლინტონი 1947 წელს დაიბადა, და ჩიკაგოში, საშუალო კლასის ოჯახში გაიზარდა. მის მშობლებს ყოველთვის სწამდათ, რომ შრომისმოყვარეობასა და თავდაჯერებულობას ყველაფერი შეეძლო. „როცა ▶



**„ხშირად აღმინიშნავს, რომ საჯარო საქმიანობა საუკეთესო საშუალებაა ადამიანური ბუნებისა და საკუთარი თავის შესასწავლად“**

1998 წელს პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ჰილარი კლინტონი და მათი ქალიშვილი პეკინს ესტუმრნენ და „აკრძალული ქალაქის“ ხედებით დატკბნენ. ოჯახი ადგილობრივ ეკლესიაში საკვირაო ლოცვასაც დაესწრო.





**ჩელსი კლინტონი ახალდაბადებულ ეიდენთან ერთად. პატარას გვერდს მამა – მარკ მეზვინსკი და გახარებული ბებია-ბაბუა – ჰილარი და ბილ კლინტონები უმშვენებენ. ფოტო ივნისის თვეში, ნიუ-იორკშია გადაღებული.**

მამაჩემი ომიდან დაბრუნდა, ქსოვილების პატარა ბიზნესი წამოიწყო. მე და ჩემი ძმები დაჩითვაში ვეხმარებოდით“, – იხსენებს ჰილარი. დედა მასწავლებელი იყო და უხაროდა, როცა საეკლესიო საქმიანობაში ჩართულ შვილებს ხედავდა. მისი რწმენა ერთ მთავარ მცნებას ემყარებოდა: „დაეხმარე იმდენს, რამდენსაც შეძლებ; ისე, როგორც შეძლებ და იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც შეძლებ“. სწორედ ამ რწმენით გაიზარდა ჰილარიც.

„დედაჩემი – დოროთი, ჩემი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. ის მშობლებმა მიატოვეს და 14 წლის ასაკში უკვე დიასახლისად მუშაობდა. უმძიმესი ბავშვობა ჰქონდა, მაგრამ სხვების სიკეთემ იხსნა. ერთხელ, როცა საჭმლის ფული არ ჰქონდა, სკოლის მასწავლებელმა შენიშნა და სადილზე დაპატიჟა. დედაჩემმა იგრძნო, რომ მარტო არ იყო და მიხვდა, რომ მისი ცხოვრების მთავარი მიზანი სხვების დახმარება და ფეხზე წამოყენება უნდა გამხდარიყო“, – წერს კლინტონი თავის წიგნში It Takes a Village, რომელშიც საზოგადოების ერთიანობაზე ამახვილებს ყურადღებას.



**1997 წელს ბილმა და ჰილარიმ ქალიშვილის სკოლის დამთავრება იზეიმეს. მაშინ პრეზიდენტმა Sidwell Friends Academy-ს სტუდენტებს საჯარო სიტყვითაც მიმართა.**

მისი პოლიტიკური ცნობიერება ორი „აღმსარებლობის“ მქონე ოჯახში ჩამოყალიბდა – მამა რესპუბლიკელების მხარდამჭერი იყო, დედა კი თავგამოდებით იცავდა დემოკრატებს და მათთან ერთად იბრძოდა საერთო ღირებულებებისთვის.

ყველაფერი მაინც 1960-იან წლებში გადაწყდა, როცა ჰილარი მასაჩუსეტსში მდებარე Wellesley College-ის სტუდენტი გახდა: „კოლეჯში სწავლა ▶





**ბილის თქმით, მისი პირველი შვილიშვილი საუკეთესოა მას შემდეგ, რაც დაჭრილი პური გამოიგონეს. რაც შეეხება ჰილარის, როგორც ჩელსი ამბობს, ის პატარა შარლოტაზე ყურებამდეა შეყვარებული**

რომ დავიწყე, ყველაფერი შეიცვალა. მაშინ სამოქალაქო უფლებებისთვის იბრძოდნენ და ვიეტნამის ომს აპროტესტებდნენ. სამყაროს სხვა თვალით შევხედე. ყველანაირ ადამიანს შევხვდი და ჩემი იდეები თანაკურსელებსა და პროფესორებს გავუზიარე“.

სწორედ ამ გარდამტეხ პერიოდში იმუშავა „ბავშვთა დაცვის ფონდშიც“ და ეს მისი საზოგადოებრივი საქმიანობის მთავარ საფუძვლად იქცა. ახლა, როცა ორი ბავშვის ბებიაა, ამ საკითხს კიდევ უფრო მძაფრად აღიქვამს და ბავშვთა კეთილდღეობისთვის ბრძოლა პირად მისიად მიაჩნია. „ბავშვებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვა ჩემი კარიერული გზის ამოსავალი წერტილია. ბებიის როლმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამ მიზნის მნიშვნელობაში. აუცილებლად განვაგრძობ ბრძოლას იმისთვის, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს ნათელი მომავალი, განათლების მიღებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება“, – აღნიშნავს ჰილარი, რომელმაც პირადად უზრუნველყო „ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის“ არსებობა და დღეს უკვე 8 მილიონ ბავშვზე ზრუნავს, – „მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ შარლოტა და ეიდენი მშვიდობიან და შესაძლებლობებით სავსე სამყაროში გაიზრდებიან; სამყაროში, სადაც თითოეულ ბავშვს ექნება ოცნებების ახდენის საშუალება. ჩემი მთავარი ამოცანაა, ყველა პატარამ ბედნიერად და ჯანმრთელად იცხოვროს“.

მისი მიზნები იმ ლათინურ ოჯახებსაც ეხება, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ, თავდაუზოგავად მუშაობენ და ოცნებობენ იმ ნათელ მომავალზე, რომელიც ამ ქვეყანაში ექნებათ. კლინტონს კარგად აქვს გააზრებული იმიგრანტთა არსებობის დადებითი მხარეები და საუბარში ხშირად ▶



„ჩემი მეგობრები, რომლებსაც უკვე ჰყავდათ შვილიშვილები, ყოველთვის მიყვებოდნენ ხოლმე, რას განიცდიდნენ ამ პატარა არსებების მიმართ. მათი ბოლომდე ვერასოდეს მესმოდა. შემდეგ კი, როცა საკუთარ თავზე გამოვცადე, ზუსტად მივხვდი, რასაც გულისხმობდნენ“



„ვისწავლე რამდენად მნიშვნელოვანია მოსმენისა და სხვათა გამოცდილების გათვალისწინების უნარი. ამან ჩემს ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა“

ფოტო: BARBARA KINNEY. CHIP SOMODEVILLA. GETTY IMAGES. MICHAEL DAVIDSON – HILLARY FOR AMERICA. MICHAEL DAVIDSON.



**„მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ შარლოტა და ეიდენი მშვიდობიან და შესაძლებლობებით სავსე სამყაროში გაიზრდებიან; სამყაროში, სადაც თითოეულ ბავშვს ექნება ოცნებების ახდენის საშუალება“**

აღნიშნავს: „ამერიკელი ერი ვერ იქნებოდა ის, რასაც დღეს წარმოადგენს, რომ არა იმიგრანტები, რომლებიც აქ უკეთესი მომავლის ასაშენებლად ჩამოვიდნენ. ისინი დიდ სამუშაო ძალას წარმოადგენენ და ჩვენს ეკონომიკაში გარდამტეხ როლს ასრულებენ. ძალიან გამიმართლა, რომ მქონდა საშუალება ბევრ ლათინოამერიკელთან ერთად მემუშავა და მათგან უამრავი რამ მესწავლა“.

## წინსვლა

კლინტონისთვის მთავარი გასაღები სწავლაა. სწორედ ეს აძლევს ბრძოლის ძალასა და იმის შესაძლებლობას, რომ თითოეულ ადამიანში განსაკუთრებული პოტენციალი აღმოაჩინოს.

„ხშირად აღმინიშნავს, რომ საჯარო საქმიანობა საუკეთესო საშუალებაა ადამიანური ბუნებისა და საკუთარი თავის შესასწავლად. როცა პირველი ლედი ვიყავი, თითოეული შტატის მოსახლეობას ვეცნობოდი. სახელმწიფო მდივნის რანგში კი 112 ქვეყანას ვესტუმრე. ყველგან შევხვდი ვიღაც ისეთს, ვინც ჩემი თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა და სამყარო ახალი კუთხით დამანახა“, – აღნიშნავს ჰილარი, – „ვისწავლე, რამდენად მნიშვნელოვანია მოსმენისა და სხვათა გამოცდილების გათვალისწინების უნარი. ამან ჩემს ცნობიერებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამიტომ მჯერა, რომ ჩემი ცოდნა დამეხმარება, უკეთესი პრეზიდენტი ვიყო“. **H**

---

**კოორდინატორი და ინტერვიუერი:**
RODOLFO VER A C A LDERÓN
**დამატებითი ტექსტი:**
G.B. HERNÁNDEZ







# რომის პაპ ფრანცისკე I-ის

## პირველი სტუმრობა თბილისში

***„მსურს გულწრფელად ვიმეგობრო თქვენს ქვეყანასა და მის ძვირფას ხალხთან, რომელიც არ ივიწყებს მიღებულ სიკეთეს და რომლის სტუმართმოყვარე ბუნება სრულად მიესადაგება იმედით აღსავსე ცხოვრების წესს“***

საქართველოს პრეზიდენტისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით, თბილისს მისი უწმინდესობა – **რომის პაპი ფრანცისკე I** ეწვია. 2-დღიანი ვიზიტის ფარგლებში პონტიფიკოსი საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, პრემიერმინისტრს, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, მრევლს შეხვდა და თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე წმინდა წირვა აღავლინა. შეხვედრისას საუბარი საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის მნიშვნელობას შეეხო, რომელსაც მომავალ წელს 25 წელი უსრულდება.

ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც უძველესი ქრისტიანული სახელმწიფოს, როლს, რომელიც ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგის პროცესში ყოველთვის განსაკუთრებულ მისიას ასრულებდა. ასევე განიხილეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ვიზიტის დასასრულს, რომის პაპმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და თანმხლებ პირებთან ერთად მცხეთაში სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მოინახულა, სადაც მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა.

საქართველომ უკვე მეორედ უმასპინძლა ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურს, რაც ჩვენს განსაკუთრებულ ურთიერთობებზე მიუთითებს.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, რომის პაპი ფრანცისკე თბილისიდან აზერბაიჯანში გაემგზავრა.

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი. **ფოტო:** ლელი ბლაგონრავოვა, ეთეკლე მამალაძე, დავით აბასიძე.

**ფინკა ბანკის ანაბრები - მიზნებისთვის, რომლებიც ქმნის ისტორიას**



FINCA® Bank
ფინკა ბანკი

ვადიანი ანაბარი
**₾ 11%**

შემნახველი ანაბარი
**₾ 7%**

საბავშვო ანაბარი
**₾ 11%**

ზრდადი ანაბარი
**₾ 10,5%**

**2 24 49 49; *4949 / www.FINCA.ge**

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა




**„ჩვენი კლასის წიგნი“** – ასე ჰქვია „ფინკა ბანკის“ ახალ ნამუშევარს, რომელიც სპეციალურად 7-დან 14 წლამდე მოსწავლეებისთვის შეიქმნა. გასართობ-შემეცნებით წიგნში მთავარი აქცენტი ფინანსურ განათლებასა და ბიზნესის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა გამახვილებული. სპეციალურადვეა შექმნილი სახალისო და მრავალფეროვანი ილუსტრაციები, რაც ბავშვებს ინფორმაციის სწრაფად აღქმაში ეხმარება. წიგნი შინაარსის მხრივ უპრეცედენტოა და ხელს უწყობს ფინანსური განათლების განვითარებასა და ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას.



**მამუკა გორგოძე** მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. „ის იმ უიშვიათეს მოთამაშეთა შორისაა, რომელთაც არაფრის შიში არ აქვთ. დიახ, სწორედ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ახალი ზელანდიის ნაკრების დამარცხება!“, – წერს The Guardian საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ტულონის“ მორაგბეზე. გორგოძე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ყველა შეხვედრაში საუკეთესო რაგბისტად აღიარეს და იმ გუნდის კაპიტნად დააყენეს, რომელიც ახალ ზელანდიასთან გამარჯვებას შეძლებდა.



**ჯოან როულინგი** „ჯადოსნური ცხოველებისთვის“ დამატებით სცენარებს დაწერს. „ჰარი პოტერამდელი“ ისტორია ხუთ ფილმში გადანაწილდება. ამის შესახებ თავად მწერალმა, Warner Brothers-მა და დევიდ იეტსმა განაცხადეს. როულინგის თქმით, ის მხოლოდ სცენარებზე იმუშავებს და გულშემატკივრები ახალ წიგნებს არ უნდა ელოდონ. „ჯადოსნური ცხოველების“ პირველი სიუჟეტი, ეკრანებზე 18 ნოემბერს გამოჩნდება.



**ირაკლი ალასანია** პოლიტიკიდან წავიდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა კამპანია შეაჩერა და განაცხადა, რომ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ვერ შეძლებს: „ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ვერ ვხედავ შესაძლებლობას გავლენა მოვახდინო პოლიტიკურ და პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე“. ირაკლი ალასანია დროებით რჩება თავმჯდომარედ, პარტია კი საქმიანობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.





**ხატია ბუნიათიშვილი** Echo Klassik-ის მუსიკალური ჯილდოს მფლობელი გახდა. ბერლინის ყველაზე პრესტიჟულ მუსიკალურ დაჯილდოებაზე პიანისტმა „საუკეთესო სოლოჩანაწერის“ ნომინაციაში გაიმარჯვა. ამის შესახებ აუდიტორიას Coldplay-ს სოლისტმა – კრის მარტინმა აცნობა. მანვე გადასცა პრიზი ქართველ პიანისტს, რომელსაც „პიანინოს ბიონსედ“ მოიხსენიებენ, და აღნიშნა, რომ ხატია მისი მასწავლებელია. შეგახსენებთ: სწორედ ბუნიათიშვილი უკრავს Coldplay-ს ახალი ალბომის ერთ-ერთ კომპოზიციაში.

**საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები** მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულია. ქართველმა მოჭადრაკეებმა ფინალში ჩინეთის გუნდს სძლიეს. ტურნირის განმავლობაში მათ ფრედ მხოლოდ რუსეთთან შეხვედრა დაასრულეს, დანარჩენ რვა თამაშში კი გაიმარჯვეს და ჩემპიონების ტიტულიც დაიმსახურეს. ჩვენი ქვეყნის სახელით ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, მერი არაბიძე და ლელა ჯავახიშვილი ასპარეზობდნენ.

**ფოტოები:** ელენე მარგალითაშვილი



# თბილისობა 2016
## მთავარი აქცენტები

თბილისობა 2016 დედაქალაქში 15 და 16 ოქტომბერს გაიმართა. მთავარი ღონისძიებები რიყეზე, ლეღვთახევ-სა და ახალ ტფილისში ჩატარდა. დღესასწაულის ფარგლებში, ევროპის მოედანზე 9-მეტრიანი სკულპტურა „სიცოცხლის ხე“ დადგეს, რომელიც მოქანდაკე დავით მონავარდისაშვილის ავტორობით ძველი თბილისის თემატიკაზე შეიქმნა. თბილისო-ბა 2016-მა ბევრ გამოფენას, თეატრალურ დადგმას, თბილი-სურ ბაზარს, დეგუსტაციას, სხვადასხვა ჟანრის კონცერტს, სპორტულ შეჯიბრს, მსვლელობას, კონკურსსა და იმიტირებულ მიზანსცენას უმასპინძლა.





**ბობ დილანი** ნობელის პრემიის მფლობელი გახდა. მან პრიზი ლიტერატურის დარგში მოიპოვა. კომიტეტის წევრების თქმით, „დილანმა, ამერიკულ სასიმღერო ტრადიციებთან ერთად, პოეზიის ახალი სახეც შექმნა“.

**ანტონიო გუტიერეში** გაეროს გენერალური მდივანი გახდა. ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა კომისარიატს 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, მანამდე კი პორტუგალიის პრემიერმინისტრი იყო. 66 წლის გუტიერეში საქმიანობას 1 იანვრიდან შეუდგება.



**მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი** ქალაქ თელავში 9-დან 15 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა. პროგრამა მეოცე საუკუნის ცნობილ მევიოლინეს – ოლეგ კაგანს ეძღვნებოდა. თელავის დრა-მატულ თეატრში ხუთი კონცერტი ჩატარდა, რომელშიც საერთაშორისო ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. დასკვნითი საღამოს მთავარი გმირი – ელისო ვირსალაძე იყო.

**მარიამ დალაქიშვილი** TENNIS EUROPE JUNIOR MASTERS-ის გამარჯვე-ბულია. 14 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა იტალიაში იასპარეზა, სადაც ერთმანეთს საუკეთესო რეიტინგის მქონე რვა ევროპელი სპორტსმენი დაუპირისპირდა. მარიამმა მე-3 ნომრით იბრძოლა და ნახევარფინალში რუს დანიელა მედვედევას სძლია (6-4; 6-4), ფინალში კი სერბ თამარა მალეშევიჩს შეხვდა და ანგარიშით 7-6; 6-3 მოუგო. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ყველაზე პრესტიჟულია 14 წლამდელთა შორის.



**„მე – ევროპელი“** დაიწყო. ღონისძიების ფარგლებში ნანკა კიკალიას პერსონალური ფოტოგამოფენა „საზღვარი“ მოეწყო. საჯარო ლექციების ციკლის პირველი შეხვედრა მწერალ გურამ ოდიშარიასთან გაიმართა, რომელმაც აფხაზეთში გატარე-ბული წლების შესახებ ისაუბრა. სოხუმში მცხოვრებმა ახალგაზრდამ კი, რომელიც თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა, სტუმრებს სოხუმელების ერთი ჩვეულებრივი დღის შესახებ უამბო. „მე – ევროპელი“ გრძელდება და შეხვედრები ორ კვირაში ერთხელაა დაგეგმილი.



ნანატრი „ოსკარის“ მფლობელი ლეონარდო განსაკუთრებულად იმითაა ცნობილი, რომ როლების შესრულებისას ბოლომდე იხარჯება. მსახიობობის გარდა, მას ბევრი სხვა ინტერესიც აქვს, — „მე ის ადამიანი ვარ, რომელთან ერთადაც თავგადასავლებს უნდა ერიდო. კატის ცხრა სიცოცხლის არ იყოს, მე მგონი მეც მაქვს რამდენიმე სიცოცხლე“.

## „მე მსოფლიოს მეფე ვარ!“

# ლეონარდო დიკაპრიო

## თანამედროვე „რომეოს“ ხუთი ელფერი



ROMEO + JULIET



TITANIC

დაუჯერებელიც კია, რომ თითქმის 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „ტიტანიკელი“ ჯეკი გემის წვერზე იდგა და მთელი სამყაროს გასაგონად ყვიროდა: „მე მსოფლიოს მეფე ვარ!“ მსოფლიოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჰოლივუდის მეფე ნამდვილად გახდა. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო გვირგვინით („ოსკარით“) სულ ცოტა ხნის წინ შეამკეს, ხალხმა მისი ნიჭიერება ჯერ კიდევ 1993 წელს აღიარა, როცა პირველად იხილა მის მიერ განსახიერებული როლი ფილმში What's Eating Gilbert Grape. 1996 წლის Romeo+Juliet-მა მსახიობის ოსტატობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. 1997 წელს კი, როცა ლეომ „ტიტანიკთან“ ერთად „ჩაძირვა“ გადაწყვიტა, ყველაფერი ნათელი გახდა – ის ახალი კინოეპოქის მთავარი გმირი იყო.

ის, რაც ნოემბრის იუბილარს სხვა მსახიობებისგან განასხვავებს, საოცარი თავდაჯერება და თითოეული პერსონაჟისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა. ის არასოდეს ეკარება იმ როლებს, რომლებიც თავგანწირვასა და ბევრ მუშაობას არ მოითხოვს: „მგონია, რომ სხვაგვარად ჩემს ნიჭს გავფლანგავ. მაშინ, როცა მივხვდი, რომ რაღაც გავლენა მქონდა, საკუთარ თავს შევფიცე, რომ მხოლოდ იმ რეჟისორებთან ვიმუშავებდი, რომლებიც მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებდნენ და ისტორიას ცვლიდნენ“.

მნიშვნელობა არ აქვს, საქმე სიყვარულს ეხება, შესრულებულ როლებს თუ გლობალურ პრობლემებს – ლეონარდო ყველა საკითხში მრავალფეროვანია. მის მიერ განსახიერებული პერსონაჟები კინოისტორიაში უკვდავის სტატუსით ეწერებიან და უფრო და უფრო მეტ გულშემატკივარს იძენენ.

„ოსკარს“ ბუნების დამცველებსაც რომ აძლევდნენ, დიკაპრიო უკვე მრავალგზის „ოსკაროსანი“ იქნებოდა, მაგრამ ის ჯერჯერობით მხოლოდ ერთ გამარჯვებას სჯერდება. როგორც ამბობს, მისი პიროვნული თვისებები და ღირებულებები ჰიპ მშობლებთან ერთად ცხოვრებამ განაპირობა. სწორედ მათ ასწავლეს, რომ სიმდიდრეზე გაცილებით მნიშვნელოვანია საინტერესოდ იცხოვრო და დიდი საქმეები აკეთო.

## დედისერთა ბიჭი

მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები ადრევე განქორწინდნენ, დედისერთა ლეონარდოს ოჯახის წევრებთან განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა აქვს. დედაც და მამაც ხშირად მოგზაურობენ შვილთან ერთად და ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტში გვერდით უდგანან. როგორც ამბობს, დედამისი, სახელად ირმელინი, ნამდვილი „ბუნების ►

**ლეოს სწორედ მშობლებმა ასწავლეს, რომ სიმდიდრეზე გაცილებით მნიშვნელოვანია საინტერესოდ იცხოვრო**



CATCH ME IF YOU CAN



THE WOLF OF WALL STREET




THE REVENANT





ლეო საყვარელ დედასთან ერთად. ოჯახის წევრების გარდა, მსახიობს დროის გატარება იმ მეგობრებთანაც უყვარს, რომლებიც ბავშვობიდან შემორჩა.

ვარსკვლავს, რომელსაც 11 ნოემბერს 42 წელი უსრულდება, ხმაურიანი ცხოვრება უყვარს და გოგონებთან გართობას არ იკლებს; თანაც ისეთებთან, როგორებიც ბარ რაფაელი, ჟიზელ ბიუნდჰენი (ქვევით), კელი რორბახი (მარჯვნივ) და ნინა აგდალი (ზევით) არიან.







ლეონარდო დიკაპრიო, რომელიც მუდმივად ზრუნავს მსოფლიოს გლობალურ პრობლემებზე, ისეთ გავლენიან ადამიანებს ხვდება ხოლმე, როგორიცაა, მაგალითად, რომის პაპი.

ძალაა“ და მსახიობ შვილს მუდმივად ფოტოებს უღებს, რის გამოც ლეომ მას „მამარაცი“ შეარქვა. დიკაპრიო აღიარებს, რომ ყველაზე დიდი ცოდნა მამამ მისცა: „ის ყველაზე მცოდნე ადამიანია, ვისაც ვიცნობ. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რომ ყველაზე დიდი განათლება მაშინ მივიღე, როცა ვიჯექი და მამაჩემს ვუსმენდი“.

## მექალთანე

ყველა, ვინც ლეოს ცხოვრებაში ყოფილა, აქტიურად ერთვებოდა გამწვანების პრობლემებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. მათ შორის ჟიზელ ბიუნდჰენი, ბარ რაფაელი და ბლეიკ ლაივლიც იყვნენ. ცნობილი ფაქტია, რომ დიკაპრიო თავს მხოლოდ მოდელებს „უყადრებს“ და უპირატესობას ქერა გოგონებს ანიჭებს. მის ბოლოდროინდელ შეყვარებულთა რიცხვში ამერიკელი კელი რორბახიც მოხვდა. ამჟამად კი მსახიობი დანიელ ნინა აგდალს ხვდება და თავს ბედნიერად გრძნობს. ჭორები მათი სამომავლო გეგმების შესახებაც ვრცელდება, მაგრამ არავინ იცის როდის გადაწყვეტს ლეო რომელიღაც სხვა ახალბედა მოდელის „შებმას“.

## ბუნების მცველი

ლეონარდო ბუნებისდამცველთა სიაში ჯერ კიდევ 18 წლის წინ ჩაეწერა, როცა საქველმოქმედო ფონდი დააარსა და 15 მილიონი დოლარი ზვიგენების, ვეფხვებისა და სპილოების იშვიათი ჯიშების გადასარჩენად გამოყო. როგორც ჩანს, ბუნების ასეთი სიყვარული ბავშვობაშივე ჩაენერგა, როცა „ბუნების ისტორიის მუზეუმს“, რომელიც მის სახლთან ახლოს მდებარეობდა, ძალიან ხშირად სტუმრობდა.

## ბიძია ლეო

აუცილებლად ხაზგასასმელი ფაქტია ის, რომ ლეოს დღემდე ჰყავს ახლო მეგობრები, რომლებიც ბავშვობაში შეიძინა. მათ სიაში, რასაკვირველია, მსახიობებიც არიან. ადრეული ასაკიდან მეგობრობს ტობი მაგუაირთან, მარკ უოლბერგთან, კევინ კონოლთან და ლუკ ჰაასთან. მათთან იმდენად ახლოსაა, რომ მეგობრების შვილები „ბიძია ლეოდ“ მოიხსენიებენ.

## თავგადასავლების მოყვარული

ლეოს ყველაფერი უყვარს – ლაშქრობაზე სიარული, ოკეანის პირას ნებივრობა, დაივინგი, ექსტრემალური გართობა... მას ბოლო მომენტამდე გაუხსნელი პარაშუტი და ძალიან ახლოს მყოფი ზვიგენიც კი არ აშინებს. „მეგობრებმა აღიარეს, რომ მე ის ადამიანი ვარ, რომელთან ერთადაც თავგადასავლებს უნდა ერიდო“, – გაამხილა დიკაპრიომ ერთ-ერთ ინტერვიუში, – „კატის ცხრა სიცოცხლის არ იყოს, მე მგონი მეც მაქვს რამდენიმე სიცოცხლე“.

ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.


OKTOPUS FITNESS CLUB
ოქტოპუს ფიტნეს კლუბი
კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/




# ახლა მათი ბრწყინვალების დროა

# ცნობილი მშობლების წარმატებული შვილები

## გაიცანით გოგონები ვარსკვლავური გენებით

**ისინი წარმატებისა და პოპულარობის გარემოცვაში იზრდებოდნენ. თუ საწყის ეტაპზე წარმატების მიღწევაში მათ საკუთარი გვარები დაეხმარათ, ახლაც რომ თამაშის მონაწილეები არიან, ეს უკვე მხოლოდ მათი ტალანტის დამსახურებაა. Hello! გიამბობთ ახალგაზრდებზე, რომლებიც ცნობილი მშობლების ჩრდილიდან გამოდიან.**

## კაია გერბერი

კაიას ბედი სათუო არასოდეს ყოფილა. სუპერმოდელ სინდი კროუფორდისა და მისი მეუღლის – ყოფილი მოდელის, ბიზნესმენ რენდი გერბერის ქალიშვილმა პირველ სამოდელო კონტრაქტს ხელი ცამეტი წლის ასაკში მოაწერა.

მაშინ დონატელა ვერსაჩემ თქვა: „ისევე როგორ დედამისს, კაიას ძვირფასი საჩუქარი აქვს. კამერას ის ნამდვილად ძალიან, ძალიან უყვარს“. მას შემდეგ თინეიჯერის კარიერა წინ მიიწევს. წლის დასაწყისში ალექსანდრ ვონგმა ის საკუთარი გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის კამპანიაში მიიწვია, აპრილში დედასთან ერთად Vogue Paris-ის ყდაზე გამოჩნდა, ახლა კი უკვე მისი სოლოგარეკანის დროა ჟურნალ POP-ისთვის.

როგორც კაია ამბობს, მოდელობა მუდამ მისი გატაცება იყო. „ეს არის ის, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი. მაგრამ არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა. ვერ ვიჯერებდი, სანამ მე და დედა ფრანგული VOGUE-ის გარეკანზე არ გამოვჩნდით“.

ყველაფერი საოცარი შემოდგომით დაგვირგვინდა. ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში Daily Front Row's Fashion Media Awards-მა ის ყველაზე წარმატებულ მოდელად აღიარა. ასევე დასახელდა მარკ ჯეიკობსის სილამაზის ხაზის სახედ. ლოს-ანჯელესში მცხოვრები თინეიჯერი მხოლოდ სამოდელო სფეროში არ საქმიანობს. მალე მაყურებელი მის სამსახიობო დებიუტს იხილავს სერიალში Sister Cities.

**დონატელა ვერსაჩე: „ისევე როგორც დედამისს, კაიას ძვირფასი საჩუქარი აქვს. კამერას ის ნამდვილად ძალიან, ძალიან უყვარს“**



ფოტო: GETTY IMAGES. INSTAGRAM. PRESS ASSOCIATION.



## აირის ლოუ



სულ რაღაც თხუთმეტი წლის ასაკში, მსახიობ ჯუდ ლოუს და მისი ყოფილი მეუღლის – მსახიობისა და მოდელის სეიდი ფროსტის ქალიშვილმა აირის ლოუმ, ფრანგულ მოდის სახლ CHANEL-თან კონტრაქტი გააფორმა. ლონდონში მცხოვრებ თინეიჯერთან დაახლოებული წყარო ამბობს, რომ აირისმა სოციალურ ქსელში ინფორმაცია უკვე განაახლა: „მან FACEBOOK-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ CHANEL-ისთვის მუშაობს“.

აირისმა, რომლის მშობლებიც ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ 2003 წელს გაშორდნენ, სამოდელო კამპანიის გადაღებაში მონაწილეობა პირველად გასულ წელს მიიღო. TEEN VOGUE-ის ამ თვის ნომერში ის ყვება, თუ როგორი გავლენა ჰქონდა მასზე დედას წლების განმავლობაში. „მომწონს დედაჩემის იმდროინდელი ფოტოების ნახვა, როდესაც ჩემხელა იყო. მისი მაკიაჟისა და პატარა კაბების თვალიერება. ყოველთვის მაინტერესებდა რა ეცვა მაშინ, როცა იზრდებოდა და ჩემთვის წარმოვიდგენდი, მე რას ჩავიცვამდი“.

აირისი მხოლოდ კამერის წინ მუშაობით არ არის დაკავებული. იგი ფოტოგრაფიითაცაა გატაცებული: „ფოტოებს ძირითადად მეგობრებს ვუღებ. შემდეგ ზეთით ვქმნი ნახატს. ჩემი მიზანია პიროვნების რეალური სახე ვაჩვენო და გადავიღო ისინი, როგორც ინდივიდები. განსაკუთრებით თვალებისა და კანქვეშა ვენების ხატვა მიყვარს“.

## ლილი-როუზ დეპი

კლასიკურ პატარა შავ კაბაში და გველის გამოსახულებიან Chanel-ის მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილი ლილი-როუზ დეპი ვენეციის კინოფესტივალის „წითელ ხალიჩაზე“ ისე წარდგა, თითქოს



ამისთვის იყო დაბადებული. სამოდელო დებიუტით, რომელიც გასულ წელს Chanel-ის მოდის სახლში შედგა, და სამსახიობო დებიუტით კომედიურ საშინელებათა ფილმში Yoga Hosers, ის საკუთარი მშობლების – ფრანგი მსახიობის, მომღერლისა და მოდელის ვანესა პარადისა და ჰოლივუდელი მსახიობის – ჯონი დეპის კვალს გაჰყვა.

Chanel-ის მაღალ ქუსლებზე სიარული თითქოს სისხლში აქვს. ერთ-ერთ ინტერვიუში ლილი-როუზმა თქვა: „როცა პატარა ვიყავი დედაჩემის Chanel-ის ფეხსაცმლით დავდიოდი. იმის თქმის შესაძლებლობა, რომ კარლ ლაგერფილდთან ერთად ვმუშაობ, ნიშნავს, რომ ჩემი ოცნება ასრულდა“. როგორც ლილი-როუზი ამბობს, მოდელობას მსახიობობა ურჩევნია. „შემიძლია ყოველდღე ვითამაშო, იმიტომ, რომ ეს მიყვარს და მათავისუფლებს“. სხვა ინტერვიუში კი ვკითხულობთ: „შეიძლება ეს იშვიათად ხდება, მაგრამ უდავოდ არის მომენტები, როდესაც საკუთარ თავს არ ჰგავხარ. საუკეთესო გრძნობაა, როცა თავიდან ბოლომდე შედიხარ როლში“.

ძირითადად პარიზში ან ლოს-ანჯელესშია, სადაც მისი მშობლები ცხოვრობენ. ისინი თოთხმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდნენ.

„კონკრეტული გეგმა არ მაქვს. რთულია იყო მოზარდი, აკეთო ყველაფერი ის, რასაც ამ ასაკში აკეთებენ და ეს ყველაფერი – მუდმივი ყურადღების ცენტრში. მაგრამ მადლობელი ვარ. ეს მცირე საფასურია იმისთვის, რისი კეთებაც მიყვარს. ძალიან ბედნიერი ვარ“.



**„როცა პატარა ვიყავი დედაჩემის Chanel-ის ფეხსაცმლით დავდიოდი. იმის თქმის შესაძლებლობა, რომ კარლ ლაგერფილდთან ერთად ვმუშაობ, ნიშნავს რომ ჩემი ოცნება ასრულდა“.**



„დედამ მასწავლა პოდიუმზე სიარული და ის, თუ როგორ უნდა გავხდე განსხვავებული ადამიანი სხვადასხვა სამოსში“

## სისტინ სტალონე



სილვესტერ სტალონესა და მისი მეუღლის – ყოფილი მოდელის ჯენიფერ ფლევინის მშვენიერი ქალიშვილი ვარსკვლავურ „ძალას“ ძალიან სწრაფად ავითარებს. 18 წლის მოდელი შუათანაა წყვილის სამ ქალიშვილს შორის. მშობლებთან ერთად ხშირად ჩანს „წითელ ხალიჩაზე“.

16 წლის იყო, როდესაც TEEN VOGUE-ის ფურცლებზე გამოჩნდა. ამავე გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში მადლობა გადაუხადა დედას: „დედა ჩემი მარჯვენა ხელია. მან დამანახა საკუთარი კარგი და ცუდი მხარეები, მასწავლა პოდიუმზე სიარული და ის, თუ როგორ უნდა გავხდე განსხვავებული ადამიანი სხვადასხვა სამოსში. მოდელობა არსებითად მსახიობობა და ხასიათის შეცვლის უნარია“. ამბობს, რომ მადლობას უხდის მშობლებს ყველა იმ შესაძლებლობისთვის, რომელიც მას მისცეს.

## ლურდეს ლეონი



მადონას ცხრამეტი წლის ქალიშვილი მიჩიგანის უნივერსიტეტში (სადაც გვიან სამოცდაათიანებში დედამისი სწავლობდა) სწავლას მოდელის წარმატებულ კარიერას უთავსებს. ამ ზაფხულს ლურდესმა, იგივე ლოლამ, რომლის მამა მადონას ყოფილი მეგობარი მამაკაცი, პირადი მწვრთნელი და შემდგომში მსახიობი კარლოს ლეონია, ზაფხულში სტელა მაკარტნის სუნამოს – POP-ის სარეკლამო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა.

დიზაინერი მადონას ახლო მეგობარია. სტელამ მის ახალ მუზას INSTAGRAM-ის გვერდზე მადლობა შემდეგი სიტყვებით გადაუხადა: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ლოლა გვყავდა POP-ის გუნდში. ლოლა, რომელსაც მთელი ცხოვრებაა ვიცნობ, არტისტის კარიერის დასაწყისშია. ის დამოუკიდებელი, შთამაგონებელი, თავისუფალი სულის ახალგაზრდა ქალია. მიუხედავად იმისა, რომ დაბადებიდან ყურადღების ცენტრშია, ყოველთვის მყარად იდგა მიწაზე“. მუსიკის, თეატრისა და ცეკვის სასწავლებლამდე, ლურდესი პრესტიჟულ ლა გუარდიას უნივერსიტეტში სწავლობდა. როგორც დედამისს, მასაც აინტერესებს მოდა. 2010 წელს მათ ერთად შექმნეს კოლექცია მოზარდებისთვის, პოპის დედოფლის 1984 წლის ჰიტის სათაურით – MATERIAL GIRL.



# ნატალი
# ანტი ეიჯ კლინიკა

## DEKA-ს ბრენდის ინოვაციური დერმატოლოგიური აპარატი

D-GLOW ყველა ასაკის პაციენტების სამკურნალოდ გამოიყენება, აკნეს პრევენციიდან დაწყებული მომწიფებული კანისთვის, ნაოჭების საწინააღმდეგო პროცედურებით დამთავრებული.

D-GLOW ააქტიურებს ბუნებრივი სტიმულირების მექანიზმს და ქსოვილების რეგენერაციას პირველივე პროცედურით, რის შედეგადაც ხდება დრენაჟის, ტექსტურის, ტონის, ელასტიურობისა და კანის ფერის გაუმჯობესება.







## პროცედურები:

- სახის ღრმა წმენდა (*სიწითლისა და გაღიზიანების გარეშე*)
- აკნეს მკურნალობა და პრევენცია
- ნაოჭების შემცირება




„ნატალი ჯგუფი"
DEKA-ს
ოფიციალური
წარმომადგენელი
საქართველოში

NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY
EST. 1995

DEKA
The Code of Excellence

**VOUCHER**

-30% D-GLOW-ს პროცედურაზე

ვაუჩერის გამოყენების ვადა
01 დეკემბერი 2016

**ნატალი ანტი ეიჯ კლინიკა**
კოსტავას ქ. 76, თბილისი, საქართველო
ტელ.: 995 322 10 00 05; მობ.: 995 577 50 80 15



„რამიშვილები - ეს არის პროექტი რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდი. ხშირად მიფიქრია ერთდროულად მაყურებლის და შემსრულებლის ადგილას ვყოფილიყავი. პრემიერაზე ისე ვღელავდი, როგორც არასოდეს“.



„მარიამმა ყველაფერში მაჯობა. უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგი ადამიანი, კარგი მეგობარია. მისით ვამაყობ. კონცერტებს ყოველთვის არ ვესწრები - არ შემიძლია დარბაზში ერთ ადგილას ვიჯდე და ვუყურო იმას, რაც სცენაზე ხდება“.

# მარიამ მათიაშვილი

ქართული ცეკვის ხსენებისას, პირველი რაც მახსენდება, არის სიტყვა, უფრო სწორად გვარი – სუხიშვილები. ხოლო ერთ-ერთი პირველი მოცეკვავე, ვისზეც „სუხიშვილების“ ხსენებისას ვფიქრობ, თეა დარჩიაა. თეა ანსამბლში თხუთმეტი წლიდან, მეოთხე შვილის – გაბრიელის დაბადებამდე ცეკვავდა. ოთხი შვილიდან ერთ-ერთი ცეკვა-ცეკვით გაჰყვა მის გზას. და ეს არაჩვეულებრივად გამოუვიდა. ექვსი წელია, რაც მარიამ მათიაშვილი „სუხიშვილების“ ძირითად შემადგენლობაშია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში თეა და მარიამი ანსამბლში ერთადაც ცეკვავდნენ.

თეა სცენაზე გასვლისას იმაზე ფიქრობდა, როგორ იცეკვებდა მარიამი. მარიამს კი როგორც არასოდეს. ფინალი დაუვიწყარი იყო. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. ფარდის დაშვებამდე ცრემლების შეკავება გამიჭირდა. ყველა ერთად ვტიროდით სიხარულისგან. ამ ყველაფერს ბევრი კრიტიკაც ახლდა, ამას ველოდით კიდეც. რთულია სიახლის მიღება. მთავარია სწორი შეფასების უნარი გქონდეს. ბედნიერი ადამიანი ვარ – ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მიყვარს. ყველას ვუსურვებ, ერთხელ მაინც იგრძნონ ის, რასაც მე სცენაზე დგომისას ვგრძნობ“.

დღეს ყველა შედარება აზრს კარგავს. როცა მარიამსა და თეაზე ვსაუბრობთ, ლაპარაკია ორ ძალიან ნიჭიერ მოცეკვავეზე. და თუ მაინც ვადარებთ, თეას ამ ყველაფერზე საკუთარი აზრი აქვს.

## ექვსი წელია რაც მარიამ მათიაშვილი „სუხიშვილების“ ძირითად შემადგენლობაშია

კარიერის დასაწყისში შესაძლოა ეფიქრა, რომ თეას ჩრდილიდან გამოსვლას ვერ მოახერხებდა. თავიდან გული სტკიოდა, როდესაც დედას ადარებდნენ. დღეს ეს მისთვის განვითარების სტიმულია. როგორი სტიმულიც უნდა გქონდეს, არსებობს გამოსვლები, როდესაც განსაკუთრებით ღელავ.

**მ.მ.** „რამიშვილები“ – ეს არის პროექტი, რომელზეც ვერც კი ვიოცნებებდი. ხშირად მიფიქრია, რომ ერთდროულად მაყურებლის და შემსრულებლის ადგილას ვყოფილიყავი. პრემიერაზე ისე ვღელავდი,

**თ.დ.** „მარიამმა ყველაფერში მაჯობა. უპირველეს ყოვლისა, ძალიან კარგი ადამიანი, კარგი მეგობარია. მისით ძალიან ვამაყობ. კონცერტებს ყოველთვის არ ვესწრები – არ შემიძლია დარბაზში ერთ ადგილას ვიჯდე და ვუყურო იმას, რაც სცენაზე ხდება“.

მნიშვნელობა არ აქვს, კონცერტის დროს თეა კულისებშია თუ სხვა ქალაქში – მისი ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა მარიამს ყოველთვის ახსოვს – სცენაზე დგომისას, უდიდესი სიამოვნება უპირველესად თვითონ უნდა მიიღოს.

**ტექსტი:** მაკო მჭედლიშვილი. **ფოტო:** ბაჩო თამამიძე.

## ლიზა ყენია

მაია ჯაბუამ მსმენელს თავი ჯერ კიდევ მაშინ შეაყვარა, როცა საბავშვო მუსიკალურ ანსამბლ „მზიურის“ წევრი იყო და მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს წარადგენდა. ალბათ, ამ მხრივ სიმბოლური და ემოციურია ის, რომ სცენაზე მისი ქალიშვილიც მცირე ასაკში დადგა. პირველად, ლიზა, როგორც ნიჭიერი პატარა მომღერალი, პროექტიდან „ანა-ბანა“ გაიცნეს და შეიყვარეს. მაიასთვის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მომენტი მაშინ დადგა, როდესაც ლიზას გამოსვლის შემდეგ ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ დაურეკა და უთხრა, რომ მისი ნამღერის მოსმენისას თვალები ცრემლებით აევსო.

მაიას შვილით სიამაყის მიზეზი კიდევ ბევრჯერ მიეცა. ლიზა მაყურებელმა სხვადასხვა სატელევიზიო პროექტში იხილა. შოუში „ერთი-ერთში“ გვაჩვენა, რომ სხვადასხვა მომღერლად გარდასახვა შეეძლო, ამის შემდეგ კი მონაწილეობა მიიღო მეგაპროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“, სადაც დაამტკიცა, რომ მრავალმხრივ ნიჭიერი იყო და სიმღერასთან ერთად ცეკვაც არაჩვეულებრივად გამოსდიოდა.

**მ.ჯ.** „პროექტებმა და კონკურსებმა ლიზას ახალი თვისებები აღმომაჩენინა. უკვე ვიცი – ძლიერი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან უსამართლო შეფასებას იღებდა, ეს მის ხასიათზე არ აისახა“.

ზოგი ადრე, ზოგი გვიან, მაგრამ ალბათ მაინც ყველა ვხვდებით, რომ ყველაზე კარგ რჩევებს დედები გვაძლევენ. როცა ირჩევ პროფესიას, რომელშიც შენი ოჯახის წევრი ძალიან წარმატებულია, ეს რჩევა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ფასეული ხდება.

**ლ.ყ.** „ძალიან კარგად მახსოვს მთავარი რჩევა, რომელიც დედამ მომცა. მან მითხრა, რომ სცენაზე გაბრაზებული არასოდეს გავსულიყავი. თუ რაღაცაზე გაღიზიანებული ხარ და მსმენელის წინ ამ განცდით გადიხარ, ეს აუცილებლად აისახება შენს ნამღერზე“.

კიდევ ერთი მიზანი, რომელსაც ლიზამ მიაღწია, გამოცდების წარმატებით ჩაბარებაა. დღეს ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლობს და აპირებს, საკუთარი ძალები ამ მიმართულებითაც მოსინჯოს.

**„ძალიან კარგად მახსოვს მთავარი რჩევა, რომელიც დედამ მომცა: არასოდეს გახვიდე სცენაზე გაბრაზებული. თუ რაღაცაზე გაღიზიანებული ხარ და მსმენელის წინ ამ განცდით გადიხარ, ეს აუცილებლად აისახება შენს ნამღერზე“**



„პროექტებმა და კონკურსებმა ლიზას ახალი თვისებები აღმომაჩენინა. უკვე ვიცი – ძლიერი ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან უსამართლო შეფასებას იღებდა, ეს მის ხასიათზე არ აისახა“.



კიდევ ერთი მიზანი, რომელსაც ლიზამ მიაღწია, გამოცდების წარმატებით ჩაბარებაა. დღეს ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლობს და აპირებს საკუთარი ძალები ამ მიმართულებითაც მოსინჯოს.





# „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ – მერაბ ნინიძის სამშობლოში დაბრუნების მიზეზი

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ – **ნანა ექვთიმიშვილისა** და **სიმონ გროსის** ახალი, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელიც თბილისში მცხოვრები რიგითი ქართული ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ფილმის მთავარი სიუჟეტური ხაზი ერთი ქალის, მისი ქმრისა და ოჯახის ურთიერთობის ისტორიაა. სამი ოჯახის წარმომადგენლები ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ერთი შეხედვით არაფერი აწუხებთ. ოჯახში ერთადერთი, რომელსაც სურს რაღაც შეცვალოს, 50 წელს გადაცილებული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა მხეიძეა. როგორი რეაქცია მოჰყვება მის სურვილს მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან და როგორ მიიღებს საზოგადოება ცვლილებებს, სიუჟეტის განვითარებიდან შეიტყობთ.

ფილმში სულ 100-მდე მსახიობი მონაწილეობს, რომელთა შერჩევა შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა გადაღებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს. დიდხნიანი კასტინგის შემდეგ მთავარ როლებზე **ია შუღლიაშვილი** და **მერაბ ნინიძე** დაამტკიცეს. ია შუღლიაშვილისთვის მანანას პერსონაჟი პირველი კინოროლია. რაც შეეხება მერაბ ნინიძეს, ფილმის პროდიუსერები მას ავსტრიაში დაუკავშირდნენ, სცენარი გააცნეს და მთავარი გმირის – სოსოს როლი შესთავაზეს. მერაბი დაინტერესდა და თბილისში სპეციალურად „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ გადაღებებისთვის ჩამოვიდა. ამ დროს ფილმის თითქმის ყველა მსახიობი როლზე უკვე დამტკიცებული ჰყავდათ. მერაბს ყველა თბილად შეხვდა და თვითონაც მალევე გადაიქცა ამ დიდი ოჯახის წევრად.

ფილმის გადაღება თბილისის სხვადასხვა უბანში, ორმოცდაექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. **ნანა ექვთიმიშვილისა** და **სიმონ გროსისთვის** ეს უკვე რიგით მეორე ერთობლივი ნამუშევარია. მანამდე მათი რეჟისორობით შეიქმნა ქართული მხატვრული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, რომლის სიუჟეტიც 90-იან წლებში ვითარდება.

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. იგი საქართველოს, გერმანიისა და საფრანგეთის ერთობლივი კინოპროდუქციაა და ეროვნული კინოცენტრის სუბსიდიით, ასევე გერმანიის ტელეარხ ZDF-ისა და „ევრიმაჟის“ ხელშეწყობით იქმნება. „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ კინოპრემიერა ქართველი და უცხოელი მაყურებლებისთვის 2017 წელს იგეგმება.



**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი. **ფოტო:** POLARE FILM.

# ლამაზი ფეხების საიდუმლო





**ირაკლი პაპასკუა**
ქირურგ-ფლებოლოგი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

**თუ თქვენ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე გაწუხებთ...**

- შეშუპება
- ვენური ბადე ფეხზე
- ვარიკოზული დაავადებები
- სიმძიმე და ტკივილი ფეხებში
- ქრონიკული ლიმფოვენური უკმარისობა
- ვენების თრომბოზი
- პოსტტრავმული ლიმფოსტაზი
- ქვედა კიდურების ათეროსკლეროზი

**...მაშინ მკურნალობის დროა!**

---

**TOTAL CHARM**-სა და **STUDIO ALEX**-ს, ნოემბერსა და დეკემბერში, სანკტ-პეტერბურგის საუკეთესო ქირურგ-ფლებოლოგი – **ირაკლი პაპასკუა** ეწვევა (*5-7 ნოემბერი, 26-28 დეკემბერი და 5-25 თებერვალი*)

## პირველი ხუთი ოპერაცია ჩატარდება უფასოდ!

კონსულტაციისთვის ჩაეწერეთ წინასწარ:
**032 218 18 14** (*Total Charm*)
**595 74 54 34** (*Studio Alex*)

---

**ირაკლი პაპასკუა სისხლძარღვოვანი ქირურგიის სფეროს საუკეთესო ექსპერტთა ათეულშია შესული*
*** ქირურგ-ფლებოლოგი იანვრის თვიდან „ტოტალ შარმში" მოგემსახურებათ.*



# როლისთვის გაღებული მსხვერპლი და გრიმში დაკარგული სახეები

ისინი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სახეები არიან. პერსონაჟებს ყოველთვის უნაკლოდ განასახიერებენ, თუმცა იმისთვის, რომ ესა თუ ის როლი უკეთ მოირგონ, ზოგჯერ დამხმარე საშუალებებსაც მიმართავენ. HELLO! წარმოგიდგენთ ჰოლივუდის იმ ვარსკვლავებს, რომლებმაც გრიმისა და სპეციალური ეფექტების წყალობით სახე იცვალეს და აბსოლუტურად სხვა ადამიანებს დაემსგავსნენ.

**იმისთვის, რომ ამა თუ იმ პერსონაჟს დაემსგავსონ, ჰოლივუდელ ვარსკვლავებს გრიმის ხანგრძლივი პროცესის ატანა უწევთ. შედეგის მისაღწევად, ხშირად სპეციალური ეფექტებიც გამოიყენება. ეს ყველაფერი კი მილიონობით დოლარი ჯდება**



## კეიტ ბლანშეტი

46 წლის „ოსკაროსანმა“ ქალბატონმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა, როცა გერმანელი არტისტის, იულიან როზეფელდტის ვიდეოპროექტში Manifesto ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სახეები მოირგო და უსახლკარო მამაკაცადაც კი გადაიქცა. მისმა ფოტოებმა ინტერნეტსივრცე დაიპყრო და კინომოყვარულები კიდევ ერთხელ დაარწმუნა კეიტ ბლანშეტის ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმში.







## ბრედ პიტი

კინოაკადემიის რიგით მე-80 დაჯილდოებაზე ბრედი საპატიო ნომინაციაზე წარადგინეს. მას შანსი ჰქონდა საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გამხდარიყო. ეს კი იმ ფილმის დამსახურება გახლდათ, რომელშიც კეიტ ბლანშეტთან ერთად ითამაშა. სურათში The Curious Case of Benjamin Button პიტმა მოხუცი ბენჯამინ ბატონი განასახიერა და სრულიად შეიცვალა ის სახე, რომელსაც ამდენი გულშემატკივარი ეტრფოდა.







## ჯონი დეპი

Black Mass-ის მთავარი გმირი – უაიტი ბალჯერი, რომელიც რეალური პერსონაჟია, საერთოდ არ ჰგავს ჯონი დეპს, რომელიც მომხიბვლელი და სექსუალური გარეგნობითაა ცნობილი. კრიმინალური დაჯგუფების ცნობილ ლიდერს რომ დამსგავსებოდა, მსახიობმა გრიმიორების ოსტატობა გამოიყენა და ულვაშებიც წარმატებით მოირგო.







## გვინეტ პელტროუ

ვერაფრით მიხვდებოდით, რომ 2001 წლის ფილმში Shallow Hal მთავარ როლს გვინეტი ასრულებდა. ის მსუქანი ქალბატონი, რომელიც ეკრანებზე ჩანდა, საერთოდ არ ჰგავდა სილამაზითა და გამხდარი ფიგურით ცნობილ ვარსკვლავს. იმისთვის, რომ როზმარის პერსონაჟი განესახიერებინა, მსახიობმა სიმსუქნე „ჩაიცვა“ და სპეციალური ეფექტებიც დაიხმარა.



## მეთიუ მაკკონაჰი

იმისთვის, რომ Dallas Buyers Club-ში რონ ვუდრუფის როლი მოერგო, მეთიუმ 23 კილოგრამი დაიკლო და საკუთარი სახე, ფაქტობრივად, დაკარგა. შიდსით დაავადებული პერსონაჟის განსახიერებისთვის მას „ოსკარიც“ გადასცეს. მაყურებლებს წინ კიდევ ერთი სიურპრიზი ელით – ამჯერად მაკკონაჰი მელოტ მამაკაცად გადაიქცევა და კინომოყვარულებს ფილმში Gold (2016) შესრულებული როლით გააოცებს.





**მეთიუ მაკკონაჰმა Dallas Buyers Club-ში ნამდვილი ისტორიის მთავარი გმირი – რონ ვუდრუფი განასახიერა და „ოსკარიც“ მიიღო**



## შარლიზ ტერონი

შარლიზმა, რომელიც სილამაზის ერთ-ერთ ეტალონად მიიჩნევა, გულშემატკივრები საგონებელში ჩააგდო, როცა ფილმში Monster სერიული მკვლელის როლი შეასრულა. იმისთვის, რომ ეილინ უორნოსს დამსგავსებოდა, მან თავადაც დიდი მსხვერპლი გაიღო, თუმცა არავინ იცის აიღებდა თუ არა „ოსკარს“, გრიმიორებს სასწაულები რომ არ ჩაედინათ.

**შარლიზ ტერონმა Monster-ში რეალური პერსონაჟის როლის შეუდარებელი ოსტატობით შესრულებისთვის „ოსკარი“ მოიპოვა**







## ტომ კრუზი

ტომ კრუზმა ლეს გროსმენის პერსონაჟით გაგვაოცა და მსუქან მელოტად გადაიქცა. მისი ცეკვა და ოსტატურად მორგებული როლი დღემდე ახსოვთ მსახიობის გულშემატკივრებსა და იმ გრიმიორებს, რომლებმაც ტომის სახეცვლილებისთვის ძალები არ დაიშურეს.



**ფილმში Tropic Thunder ბევრი ცნობილი მსახიობი მონაწილეობს. მათ შორის ტომ კრუზი და რობერტ დაუნი უმცროსიც არიან. რობერტი აფროამერიკელს განასახიერებს, ტომი კი მსუქან მელოტად გვევლინება**



## რობერტ დაუნი უმცროსი

რობერტმა Tropic Thunder-ში ხუთგზის „ოსკაროსანი“ კირკ ლაზარუსი განასახიერა. გარდა იმისა, რომ შავკანიანი მსახიობის სახე მოირგო, ის იძულებული გახდა, ჯარისკაცადაც გადაქცეულიყო და ერთ ფილმში, ფაქტობრივად, ორი როლი შეესრულებინა. რობერტ დაუნი უმცროსი „ოქროს გლობუსზე“ სწორედ ამ მონდომების გამო წარადგინეს.



ფოტო: SINEM KIN. ფოტო: GETTY IMAGES



# არგანის ზეთი

## 100% ნატურალური კომპონენტი

სიმსუბუქისა და სიამოვნების იდეალური კომბინაცია იმისათვის, რომ თქვენმა კანმა და თმამ ჯანსაღი ფერი დაიბრუნოს და არგანის ზეთის ყველა უპირატესობა შეიგრძნოს

არგანის უნიკალური თვისებების ზეთი მდიდარია ცხიმოვანი მჟავებითა და ვიტამინებით. LEOCREMA, MANTOVANI საუკეთესოა კანის, ფრჩხილებისა და თმის მოვლისათვის






ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

**GCC LTD**

ნიკო ბურის ქ. 16

**032 254 16 94**



„როცა კეიტს პირველად შევხვდი, ვიგრძენი, რომ მასში რაღაც ძალიან განსაკუთრებული იმალებოდა. იმისთვის, რომ მის შინაგან სამყაროს გავცნობოდი, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა. ერთად კარგ დროს ვატარებდით, ბევრი საერთო ინტერესი გვქონდა. მისმა იუმორის გრძნობამაც მომხიბლა – შავი იუმორი უყვარს და ეს ძალიან დამეხმარა ჩემი ხუმრობებიც თამამად გამეჟღერებინა. მოკლედ, ერთმანეთს კარგად გავუგეთ“, – იხსენებს პრინცი.

2010 წლის ნოემბერში კეიტის ხელზე ნიშნობის ბეჭედი გამოჩნდა. გაირკვა, რომ პრინცმა მას ცოლობა კენიაში დასვენების დროს სთხოვა, თანხმობის მიღების შემდეგ კი არათითზე პრინცესა დაიანას ბეჭედი მოარგო, რომელიც ბრილიანტებითა და ლურჯი საფირონით იყო მოჭედილი



### სამეფო კარის ახალი თაობა

# კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია

### HELLO!-ს ოჯახურ პორტრეტში



> **„მინდოდა, კეიტს კარგად გაეცნო ჩემი სამყარო და ენახა როგორი იყო ცხოვრება სამეფო კარს მიღმა. ვცდილობდი არაფერი დამეძალებინა და თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა მზად ასეთი ყოველდღიურობისა და პასუხისმგებლობისთვის“**



დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ მიდლტონმა პრინცის ყურადღება მოდების საქველმოქმედო ჩვენებაზე მიიპყრო, სადაც მომავალი ჰერცოგინია გამჭვირვალე კაბითა და შავი საცვლებით პოზირებდა. როგორც უილიამის მეგობრები იხსენებენ, გოგონას დანახვისას მას ერთადერთი რამ აღმოხდა: „ღმერთო ჩემო, რა სექსუალურია!“

სამეფო ოჯახები, ზოგადად, დიდი პოპულარობით სარგებლობენ. გულშემატკივრების ყურადღება მუდმივად მათკენაა ხოლმე მიმართული. თუმცა არავინ აინტერესებთ ისე გამორჩეულად, როგორც დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახი. ვიდრე პრინცი უილიამი ცხოვრების თანამგზავრს აირჩევდა, მისი ყველა ნაბიჯი პაპარაცების ობიექტივში ხვდებოდა. კეიტ მიდლტონის გამოჩენის შემდეგ კი ფოკუსმა მიმართულება შეიცვალა და ჯერ პრინცესასკენ, შემდეგ კი სამეფო ოჯახის ყველაზე პატარა წარმომადგენლებისკენ გადაინაცვლა...

## თანამედროვე ზღაპარი

კეიტს მეფური ბავშვობა ნამდვილად არ ჰქონია. მამამისი – მაიკლ მიდლტონი, თვითმფრინავის პილოტი იყო, დედა – კეროლი, ბორტგამცილებლის მოვალეობებს ითავსებდა. მათმა ოჯახურმა ბედნიერებამ, რომელიც 1980 წელს გამართული ქორწილით დაიწყო, პიკს მაშინ მიაღწია, როცა ბავშვებისთვის შექმნილმა ტანისამოსის ხაზმა

(Party Pieces) ცოლ-ქმარს საკმაოდ დიდი შემოსავალი მოუტანა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ კეიტს, რომელიც უმცროს და-ძმასთან ერთად იზრდებოდა, საშუალება მიეცა გამოცდ-ები პრესტიჟულ – სენტ-ენდრიუსის უნივერსი-ტეტში ჩაებარებინა და სრულყოფილი განა-თლება მიეღო.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, კეიტ მიდლტონმა შოტლანდიურ სასწავლებელში განათლებაზე გაცილებით უფრო მეტი მიიღო. მისი და უილიამის სიყვარული 2002 წელს, მეორე კურსზე მომწიფდა. დღეს ყველა დარწმუ-ნებულია, რომ მიდლტონმა პრინცის ყურადღება მოდების საქველმოქმედო ჩვენებაზე მიიპყრო, სადაც მომავალი ჰერცოგინია გამჭვირვალე კაბითა და შავი საცვლებით პოზირებდა. როგორც უილიამის მეგობრები იხსენებენ, გოგონას დანახვისას მას ერთადერთი რამ აღმოხდა: „ღმერთო ჩემო, რა სექსუალურია!“ თავად ჰერცოგი ამტკიცებს, რომ მეუღლეში ყველაზე მეტად მისმა იდუმალებამ და შინაგანი სამყაროს სიმდიდრემ მოხიბლა: „როცა კეიტს პირველად შევხვდი, ვიგრძენი, რომ მასში რაღაც ძალიან განსაკუთრებული იმალებოდა. მისი შინაგანი სამყაროს გასაცნობად საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა. ერთად კარგ დროს ვატარებდით, ბევრი საერთო ინტერესი გვქონ-და. მისმა იუმორის გრძნობამაც მომხიბლა – შავი იუმორი უყვარს და ეს ძალიან დამეხმარა ჩემი ხუმრობებიც თამამად გამეჟღერებინა. მოკლედ, ერთმანეთს კარგად გავუგეთ“.

მიუხედავად ამისა, კემბრიჯის ჰერცოგს თითქმის ცხრა წელიწადი დასჭირდა იმისთვის, რომ დაოჯახების გადაწყვეტილება მიეღო. ამის გამო ბრიტანულმა პრესამ მიდლტონს „მომლოდინე კეიტიც“ კი შეარქვა! უილიამი თავს დღემდე იმართლებს და ამბობს, რომ ერთადერთი, რაც სურდა, იყო ის, რომ კეიტს ბოლომდე გაეაზ-რებინა ის პასუხისმგებლობა და მოვალეობები, რომლებიც სამეფო ოჯახში შესვლის შემდეგ დაეკისრებოდა: „მინდოდა კარგად გაეცნო ჩემი სამყარო და ენახა, როგორი იყო ცხოვრება სამეფო კარს მიღმა. ვცდილობდი არაფერი დამეძალებინა და თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა მზად ასეთი ყოველდღიურობისა და პასუ-ხისმგებლობისთვის“.

2005 წელს წყვილმა უნივერსიტეტში სწავლა დაასრულა და ურთიერთობა შეძლებისდა-გვარად „ჩუმად“ განაგრძო. იმისათვის, რომ კეიტთან ერთად დაესვენა და ზედმეტი ჭორე-ბისგანაც თავი აერიდებინა, უილიამმა მთლიანი კურორტი დაიქირავა, რაც 32 000 დოლარამდე დაუჯდა! სასტუმროში მისული ბრიტანელი შეყვარებულები მარტინისა და როზმარინის სახელებით დარეგისტრირდნენ. მას შემდეგ ამ სახელებზე ხშირად ხუმრობენ ხოლმე.

როგორც იქნა, 2010 წლის ნოემბერში კეიტის ხელზე ნიშნობის ბეჭედიც გამოჩნდა. გაირკვა, რომ პრინცმა მას ცოლობა კენიაში დასვენების დროს სთხოვა, თანხმობის მიღების შემდეგ კი არათითზე პრინცესა დაიანას ბეჭედი მოარგო, რომელიც ბრილიანტებითა და ლურჯი საფი-რონით იყო მოჭედილი.

.

## ჭორჭის ეფექტი

მეფური თანაცხოვრება ამერიკული და კანა-დური ტურებით დაიწყო. 11-დღიანი მოგზაუ-რობის დროს კეიტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რამდენად შესაფერისი ქალბატონი გახლდათ ბრიტანული სამეფო ოჯახისთვის. ეს სხვა კულტურებისადმი გამოჩენილი პატი- ▶



კეიტს მეფური ბავშვობა ნამდვილად არ ჰქონია. მამამისი - მაიკლ მიდლტონი, თვითმფრინავის პილოტი იყო, დედა - კეროლი, ბორტგამცილებლის მოვალეობებს ითავსებდა.



„კემბრიჯის ჰერცოგს თითქმის ცხრა წელიწადი დასჭირდა იმისთვის, რომ დაოჯახების გადაწყვეტილება მიეღო. ამის გამო ბრიტანულმა პრესამ მიდლტონს „მომლოდინე კეიტიც“ კი შეარქვა“



ზღაპრული ქორწილი 2011 წლის 29 აპრილს გაიმართა. მას ორ მილიარდზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალყურს. კეიტი Alexander McQueen-ის ვინტაჟურ კაბაში იყო გამოწყობილი. მის შემხედვარე გოგონების გულში კი ბედნიერი დასასრულის რწმენა და სიყვარულის ჯადოსნური ნაპერწკლები ღვივდებოდა



**ვიდრე პრინცი უილიამი ცხოვრების თანამგზავრს აირჩევდა, მისი ყველა ნაბიჯი პაპარაცების ობიექტივში ხვდებოდა. კეიტ მიდლტონის გამოჩენის შემდეგ კი ფოკუსმა მიმართულება შეიცვალა.**

**ჰერცოგინიამ ორსული ქალების მოდაც განსაზღვრა და თითოეულ ფეხმძიმე ქალბატონს უჩვენა, როგორ შეიძლება გეცვას კომფორტულად და ამავდროულად დახვეწილად. ის უპირატესობას სადა დიზაინით შეკერილ სამოსს ანიჭებდა.**

ვისცემით მოახერხა. მაგალითად, კანადაში ყოფნისას ჰერცოგინია მხოლოდ კანადელი დიზაინერების მიერ შექმნილ სამოსს ირგებდა. ანალოგიურად იქცეოდა სხვა ქვეყნებში ვიზიტისასაც. დიდი დრო არ დასჭირვებია იმას, რომ მიდლტონი სტილის დედოფლად ქცეულიყო და მსოფლიოში მცხოვრები უამრავი ქალბატონის მისაბაძი მაგალითი გამხდარიყო. ამაზე ოდნავ მოგვიანებით. მანამდე კი სამეფო ოჯახის ყველაზე პატარა წევრებზე უნდა გესაუბროთ...

კეიტის ორსულობის შესახებ მსოფლიომ 2012 წლის 3 დეკემბერს შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ კეიტს არცთუ სასიამოვნო ორსულობა ჰქონდა და დილაობით ცუდი შეგრძნებები სტანჯავდა, ჰერცოგინია მაინც უნაკლოდ გამოიყურებოდა და არასოდეს ავიწყდებოდა, გარშემომყოფები თავისი საკულტო ღიმილითა და კეთილგანწყობით დაესაჩუქრებინა.

ჯორჯ ალექსანდერ ლუისი 2013 წლის 22 ივლისს დაიბადა და მსოფლიო მაშინვე მოხიბლა თავისი მეფური იერითა და წითელი, ფაფუკი ლოყებით. პირველად მოხდა ისე, რომ პატარა უფლისწულს სპეციალურად მისთვის დაწერილი „იავნანა“, სახელად Sleep On აჩუქეს. მისი კომპოზიტორი უელსელი პოლ მილორი გახლდათ, რომელმაც სამეფო ოჯახს საქორწილო სიმღერაც უსახსოვრა. მასთან ერთად კომპოზიციაზე ირლანდიელმა ბრენდან გრეჰემმა და ახალზელანდიელმა სოპრანომ – ჰეილი უესტენრამაც იმუშავეს.

დღეს ჯორჯი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბავშვია, გულშემატკივრების ყველაზე დიდი რაოდენობით. ალბათ სწორედ ამიტომ გაჩნდა ცნება „ჯორჯის ეფექტი“, რომელიც პატარა უფლისწულის დიდ გავლენაზე მიანიშნებს. ყველაფერი, რასაც პრინცი იცვამს, აკეთებს, ჭამს თუ სვამს, პირდაპირ აისახება ამა თუ იმ პროდუქტის გაყიდვებსა და ზოგად ტენდენციებზე. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ კეიტისა და უილიამის შვილი უკვე რამდენჯერმე დასახელდა საუკეთესოდ ჩაცმულ მამაკაცად. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პატარა ჯორჯი მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კი არა, საბავშვო მოდის უფლისწულიც გახლავთ.

## პრინცესას დღიურები

2014 წლის აგვისტოში კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი გავრცელდა – კეიტი მეორე შვილს ელოდებოდა. ორსულობა ისევ ტკბილმწარე იყო, შედეგი კი – საოცარი. ამ საოცრებას შარლოტა ელისაბედ დაიანა დაარქვეს და 2015 წლის 2 მაისს პრინცესას დღიურების პირველი ფურცელი შეავსეს. გოგონას დაბადების აღსანიშნავად, დიდი ბრიტანეთის ღირსშესანიშნაობები ვარდისფრად განათდა.

ჰერცოგი და ჰერცოგინია ოჯახის სრული შემადგენლობით პირველად სწორედ შარლოტას ნათლობაზე გამოჩნდნენ, რომელიც ნორფოლკის წმინდა მარიამ მაგდალინელის ეკლესიაში გაიმართა. აუდიტორია ყველაზე მეტად პატარა ჯორჯის ცნობისმოყვარე გამომეტყველებამ და უმცროსი დისადმი გამოვლენილმა მზრუნველობამ მოხიბლა. რაც შეეხება პირველ ოჯახურ პორტრეტს, ის 2015 წლის დეკემბერში გადაიღეს. „ჩვენ მთელი ცხოვრების ერთად გატარებას ვაპირებთ“, – აღნიშნა უილიამმა, – „საინტერესოა, რას მოგვიმზადებს მომავალი“.



როგორც ნამდვილ პრინცესას შეეფერება, შარლოტა ძალიან ნაზი, სათუთი და მშვიდია. „ის გაცილებით მარტივად გასაზრდელია, ვიდრე ჯორჯი იყო“, – აღიარებს ჰერცოგი, – „თუმცა ყველა მამა მეუბნება, ცოტა ხანს აცადე და ნახავ, რომ ისიც საოცრად გაცელქდებაო. როგორც ჩანს, წინ დიდი და ხმაურიანი თავგადასავალი გველის!“. იმასაც ყველა ამჩნევს, რომ დედოფალი ელისაბედი პატარა გოგონაზე უგონოდაა შეყვარებული.





## „მინდა, რომ ჩემმა შვილებმა უკეთეს სამყაროში იცხოვრონ“

**დღეს ჯორჯი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბავშვია, გულშემატკივრების ყველაზე დიდი რაოდენობით. ალბათ სწორედ ამიტომ გაჩნდა ცნება „ჯორჯის ეფექტი“, რომელიც პატარა უფლისწულის დიდ გავლენაზე მიანიშნებს. ყველაფერი, რასაც პრინცი იცვამს, აკეთებს, თამაშობს, ჭამს თუ სვამს, პირდაპირ აისახება ამა თუ იმ პროდუქტის გაყიდვებსა და ზოგად ტენდენციებზე. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ კეიტისა და უილიამის უფროსი შვილი უკვე რამდენჯერმე დასახელდა საუკეთესოდ ჩაცმულ მამაკაცად. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პატარა ჯორჯი მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კი არა, საბავშვო მოდის უფლისწულიც გახლავთ.**



როგორც ნამდვილ პრინცესას შეეფერება, შარლოტა ძალიან ნაზი, სათუთი და მშვიდია. „ის გაცილებით მარტივად გასაზრდელია, ვიდრე ჯორჯი იყო“, – აღიარებს ჰერცოგი, – „თუმცა ყველა მამა მეუბნება, ცოტა ხანს აცადე და ნახავ, რომ ისიც საოცრად გაცელქდებაო. როგორც ჩანს, წინ დიდი და ხმაურიანი თავგადასავალი გველის!“

შარლოტას სიმშვიდეს სამეფო კარის სტუმრებიც ადასტურებენ. ერთ-ერთმა მათგანმა HELLO!-ს გაუმხილა: „შვილიშვილებზე ვლაპარაკობდით, როცა დედოფალმა გვითხრა, რომ პრინცესას ძალიან კარგად სძინავს და ღამით არასოდეს იღვიძებს“. ზოგადად, ყველა ამჩნევს, რომ ელისაბედი პატარა გოგონაზე უგონოდაა შეყვარებული და მის ყველა ნაბიჯს გაფაციცებით აკვირდება. ჯორჯიცა და შარლოტაც ბებიას მოფერებით Gan Gan-ს ეძახიან. რაც შეეხება ბაბუას, პრინცი ჩარლზი იმედოვნებდა, რომ მეორე შვილიშვილი გოგონა იქნებოდა: „ძალიან მინდოდა, პრინცესა გაჩენილიყო – გოგონა, რომელიც ჩემზე იზრუნებდა, როცა დავბერდებოდი“.

კეიტი ამბობს ხოლმე, რომ პრინცესას დაბადებამ უილიამი უფრო ემოციური და მგრძნობიარე გახადა, რასაც თავად ჰერცოგიც ეთანხმება და აღიარებს: „ახლა უკვე მცირე წვრილმანებიც კი სხვანაირად მაღელვებს. განსაკუთრებულად ვნერვიულობ იმაზე, რაც მსოფლიოში ხდება. მინდა ჩემმა შვილებმა უკეთეს სამყაროში იცხოვრონ. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რამდენად ძვირფასია ცხოვრება ამ ორ საოცარ არსებასთან ერთად და სიკვდილიც უფრო მეტად მაშინებს“.

## ოჯახური პორტრეტი

სამეფო ოჯახი საოცარი ერთსულოვნებით გამოირჩევა. ისინი ერთად დადიან სასეირნოდ, ერთად თამაშობენ რაგბს, გოლფსა და სხვა თამაშებს. კეიტი და უილიამი ერთად გულშემატკივრობენ ხოლმე სპორტის ამა თუ იმ სახეობას. ეს გავლენას ოჯახის პატარა წევრებზეც ახდენს. მაგალითად, პოლოს სათამაშო მოედანზე პრინც ჯორჯს უკვე თავისი ადგილი აქვს და აღტაცებით უყურებს ხოლმე პრინც უილიამისა და პრინც ჰარის თამაშს, შემდეგ კი მათ მოძრაობებს პატარა ჯოხით იმეორებს. ის უკვე სპორტსმენ დედიკოსაც უწევს პარტნიორობას და ჩოგბურთის თამაშს ნორფოლკში მდებარე სახლის კორტებიდან გულშემატკივრობს. ყოფილმა ჩოგბურთელმა გრეგ რუსედსკიმ, რომელიც უიმბლდონის წლევანდელ ჩემპიონატზე კეიტ მიდლტონს ესაუბრა, აღნიშნა: „პატარა ჯორჯს უკვე აქვს თავისი ჩოგანი და არც თამაშზე ამბობს ხოლმე უარს“. მას სპორტულობით არც შარლოტა ჩამოუვარდება. როგორც უილიამი ამბობს, წლინახევრის პრინცესამ უკვე გამოავლინა ფეხბურთის ნიჭი: „მთავარია, ხელი ჩაჰკიდო და მინდორზე გაიყვანო. ბურთს თვითონ მიხედავს“.

ცნობილია, რომ პატარა პრინცს, კეიტის მსგავსად, ძალიან უყვარს ხატვა. მას ბაღში საქმიანობაც ხიბლავს და ბაბუასთან ერთად ხშირად უვლის ეზოში დარგულ მცენარეებს. პრინც ჩარლზის თქმით, ჯორჯს ბუნებასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. ბოლო პერიოდში კი, უფლისწულის საყვარელ საქმიანობად უმცროს დაიკოსთან თამაში იქცა.

რაც შეეხება შარლოტას, მას გამოკვეთილი ინტერესები ჯერ არ აქვს, მაგრამ უკვე ნათელია, რომ პატარა პრინცესა მსოფლიოზე დიდ გავლენას მოახდენს. H

**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES. INSTAGRAM. PRESS ASSOCIATION.




სალონი-მაღაზია **PROF BEAUTY**, ა. თვალჭრელიძის ქ. 2
სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ისთ ფოინთი“
facebook.com/professionalbeauty.ge

ოფიციალური წარმომადგენელი
**PROF BEAUTY**

# კეიტ მიდლტონი

## კემბრიჯის ჰერცოგინიას „საერთაშორისო“ გარდერობი



კეიტ მიდლტონის გავლენა, რომელიც „კეიტის ეფექტით“ არის ცნობილი, დიზაინერების თავსატეხად იქცა. ყველა ცდილობს ისეთი სამოსი შექმნას, როგორიც ჰერცოგინიას მოეწონება. ეს იმიტომ, რომ დიზაინი, რომელსაც მიდლტონი ირჩევს, მომენტალურად ტრენდული და მოდური ხდება, და შესაბამისად, ამა თუ იმ ბრენდის გაყიდვებზეც აისახება.

კეიტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კიდევ ერთი მისაბაძი ჩვევა აქვს – მოგზაურობისას ყოველთვის მასპინძელი ქვეყნის დიზაინერების სამოსს იცვამს. საუკეთესო მაგალითად ინდოეთში ვიზიტი გამოდგება. იქ ჰერცოგინიამ ცხოვრებაში პირველად მოირგო ბოჰოს სტილში გადაწყვეტილი გრძელი კაბა და ადგილობრივი მოსახლეობის გულიც სამუდამოდ მოიგო. ის არც ბრიტანეთში ივიწყებს სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერ დიზაინერებს და მათ შემოქმედებას ხშირად აქცევს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. HELLO! მიდლტონის გარდერობის საერთაშორისო ელფერს უფრო ახლოს გაგაცნობთ. H

### PRABAL GURUNG • სინგაპური

- 2012 წელს კეიტი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას ეწვია. ჰერცოგინიამ იასამნისფერ და თეთრ ფერებში გაწყობილი კაბა მოირგო, რომელსაც ყვავილებიანი პრინტი ამშვენებდა.
- ფერადი კაბა, რომელიც მოდის მიმდევრებმა გლამურულ და ორიგინალურ გადაწყვეტილებად შეაფასეს, სინგაპურის პრეზიდენტის პატივსაცემად შეიკერა.
- Prabal-ის „სინგაპურული“ კაბები ვებგვერდზე რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა და ერთ საათში მთლიანად გაიყიდა.



### ERDEM • კანადა

- კეიტს მისი თვალისმომჭრელი და ამავდროულად ძალიან დახვეწილი კაბა 2011 წელს, კანადაში ვიზიტისას ეცვა.
- Erdem-ის მაქმანებიანი კაბა გამოკვეთილი სილუეტებით გამოირჩეოდა.
- ჰერცოგინიას გადაწყვეტილებით, პირველმა ოფიციალურმა ტურმა სტილისტისა და დამხმარეების გარეშე ჩაიარა. ყველა მიიჩნევდა, რომ ეს გადაწყვეტილება სარისკო იყო, თუმცა კეიტმა ოტავაში ჩასვლისთანავე მოირგო კანადელი Erdem-ის სამოსი და დაამტკიცა, რომ თვითონაც იდეალურად შეეძლო სტილისა და ნაციონალური დეტალების გაერთიანება.



### ZIMMERMANN • ავსტრალია

- 2014 წელს, ავსტრალიაში სტუმრობისას, კეიტმა არჩევანი Zimmermann-ის კაბაზე შეაჩერა.
- ჰერცოგინიამ კრემისფერ, ნაქარგებიან კაბას შედარებით მუქი ფერის საზაფხულო ფეხსაცმელი და კლასიკური კლატჩი შეუხამა.
- თუ თქვენც გსურთ მისი შეძენა, მოცდა მოგიწევთ. ეს იმიტომ, რომ კეიტის ავსტრალიაში გამოჩენისთანავე Zimmermann-ის ყველა კაბა მომენტალურად გაიყიდა.



## LUISA SPAGNOLI • იტალია

- ძველებური სტილის მოყვარულმა ჰერცოგინიამ წითელი პიჯაკი და სწორი ქვედაბოლო ახალ ზელანდიაში ვიზიტისას მოირგო.
- ამით დაამტკიცა, რომ პიჯაკი, რომელიც ადრე შავ სვიტერთან, შარვალსა და ჩექმასთან ჰქონდა შეხამებული, სრულიად მარტივად შეიძლებოდა ელეგანტურ სამოსად გადაქცეულიყო.
- Luisa Spagnoli-ს მუქი წითელი კაბა-კოსტიუმი კეიტმა ლონდონის ერთ-ერთ ბუტიკში, Hollie de Keyser-ისგან შეიძინა.



## ANNA SUI • აშშ

- ინდოეთში, ბიჰუს ფესტივალზე სტუმრობისას, კეიტმა ამერიკელი Anna Sui-ს დიზაინი მოირგო.
- AW15-ის კოლექციიდან შერჩეული კაბა აბრეშუმისა და შიფონის ქსოვილებით იყო შეკერილი და ყვავილებიანი პრინტით გამოირჩეოდა.
- ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მიდლტონმა Anna Sui-ს სამოსი მოირგო. დიზაინერი ბოჰემური სტილითა და უცნაური პრინტებითაა ცნობილი.




## REBECCA TAYLOR ახალი ზელანდია

- 2014 წელს კეიტმა კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა ახალზელანდიური მოდის მიმართ და არჩევანი Rebecca Taylor-ის შემოქმედებაზე შეაჩერა.
- ლურჯ კაბას უსწორმასწორო ნაოჭები და შიფონით გაწყობილი საყელო ამშვენებდა.
- ჰერცოგინიამ ახალზელანდიურ დიზაინს ლურჯი საფირონისა და ბრილიანტის საყურეები შეუხამა. თითზე კი ამავე მასალისგან დამზადებული ნიშნობის ბეჭედი მოირგო, რომელიც მანამდე პრინცესა დაიანას ეკუთვნოდა.



## ROKSANDA ILLINCIC
## სერბეთი

- სერბი Roksanda Illincic-ის დიზაინი კეიტმა 2011 წელს, ლოს-ანჯელესში ვიზიტისას მოირგო.
- კემბრიჯის ჰერცოგინიას ძალიან უხდებოდა ღია ნაცრისფერი კაბა, რომელსაც ასიმეტრიული საყელო და ბუნებრივად გამოყვანილი ნაკეცები გამოარჩევდა.
- ვინაიდან მიდლტონს ძალიან უყვარს ძველი ტანსაცმლის „გადამღერება“, მას Roksanda Illincic-ის კაბა კიდევ ორჯერ ეცვა – ღონისძიებაზე, რომელიც 2012 წელს დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში გაიმართა, და 2016 წლის მაისში, როცა კეიტი Anna Freud Centre-ს სტუმრობდა.



## TORY BURCH • აშშ

- ეს გრძელი კაბა, რომელიც მწვანე, სტაფილოსფერი, ყავისფერი და თეთრი ყვავილებითაა გაფორმებული, მიდლტონს ბჰუტანის ადგილობრივი ტრადიციების პატივსაცემად ეცვა. სწორედ ამ სამოსით ისადილა აზიური სახელმწიფოს მეფესა და დედოფალთან ერთად.
- ამ კაბის ფორმა ბჰუტანის ეროვნული კოსტიუმების სილუეტს მოგვაგონებთ.
- დიზაინერმა HELLO!-ს გაუმხილა, რომ ის კეიტის დიდი ფანია და სიხარულისგან გადაირია, როდესაც ჰერცოგინიამ სწორედ მისი კაბის ჩაცმა გადაწყვიტა.



**კეიტს კიდევ ერთი მისაბაძი ჩვევა აქვს – მოგზაურობისას ყოველთვის მასპინძელი ქვეყნის დიზაინერების სამოსს იცვამს**

## SALONI LODHA • ინდოეთი

- ვიდრე ინდოეთსა და ბჰუტანში გაემგზავრებოდა, კეიტმა ინდოელი დიზაინერის კოპლებიანი კაბა მოირგო და ამით მომავალი მასპინძლებისადმი პატივისცემა გამოხატა.
- ამ გრძელ კაბას Mary Illusion Dot Dress ჰქვია. მას მჭიდრო ნაკეცებიანი საყელო, გრძელი სახელოები და გამოყვანილი წელი აქვს, რომელსაც ნაჭრის ქამარი ამშვენებს.
- ეს სამოსი წარმოაჩენს კეიტის უნარს, ჩაატაროს ექსპერიმენტები და მოსინჯოს ახალ-ახალი დიზაინის კაბები ისე, რომ ბოლომდე შეინარჩუნოს ჩვეული ელეგანტურობა და დახვეწილი იერი.





## ANITA DONGRE
## ინდოეთი

- ეს მრავალფეროვანი დაპრინტული კაბა კეიტს ინდოეთში ვიზიტისას ეცვა. მაშინ ჰერცოგინიამ ბედი კრიკეტის თამაშშიც მოსინჯა.
- თურმე მიდლტონი დაჟინებით ითხოვდა, მისი კაბა ადგილობრივ დიზაინერს შეეკერა.
- მუმბაიში მცხოვრებმა დიზაინერმა HELLO!-ს გაუმხილა: „გაოგნებული და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როცა კემბრიჯის ჰერცოგინია ჩემს კაბაში გამოწყობილი დავინახე. მის ელეგანტურობას, სტილსა და გემოვნებას ყოველთვის ვაღმერთებდი და ხშირად ჩემი შთაგონების წყაროც კი გახლდათ“.

## MALENE BIRGER • დანია

- კანადაში ვიზიტისას შერჩეული კრემისფერი კაბა კეიტის გემოვნების კლასიკური გამოვლინება იყო. დახვეწილი სილუეტებით, გრძელი სახელოებითა და გამოყვანილი წელით გამორჩეულ კაბას შედარებით მუქი ფერის ქამარი ჰქონდა მორგებული.
- ჰერცოგინიამ კაბას LK Bennett-ის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და Stuart Weitzman-ის კლატჩი შეუხამა.
- მართალია Malene Birger-ი კანადელი არ არის, მაგრამ ის მიშელ ობამასა და სამანტა კამერონის ფავორიტიც გახლავთ.



## DVF • აშშ

- წვეულებაზე, რომელიც ბრიტანელმა კონსულმა ლოს-ანჯელესში გამართა, კეიტი პოპულარული ამერიკელი დიზაინერის – დაიან ფონ ფურშტენბერგის კაბით გამოცხადდა.
- აბრეშუმის ქსოვილით შეკერილ მწვანე კაბას გველის ტყავის კლატჩი, კრემისფერი ფეხსაცმელი და სადა სამაჯური ჰქონდა შეხამებული.
- ზოგადად, კეიტს განსაკუთრებულად ხიბლავს DVF-ის ქალური სილუეტები და მკვეთრი ფერები. მის გარდეორობში ბევრ ამერიკელ დიზაინერს გადააწყდებით.

# კოსმოპოლიტი კეიტის გარდერობში მთელი მსოფლიო ერთიანდება



**კეიტი არც ბრიტანეთში ივიწყებს სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერ დიზაინერებს და მათ შემოქმედებას ხშირად აქცევს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში**

## ZARA

კეიტს იდეალურად გამოსდის სხვადასხვა ქვეყნის მოდური ტენდენციების შეხამება. მაგალითად ის შემთხვევაც კმარა, როცა ესპანური Zara-ს ბროლის ყელსაბამი ფრანგი Roland Mouret-ის კაბას მოარგო.



## EMILIA WICKSTEAD

მაშინ, როდესაც კეიტი ორსულად იყო, ახალზელანდიელი დიზაინერი მუდმივად ზრუნავდა, რომ ჰერცოგინიას შესაშური ფიზიკური ფორმა შეენარჩუნებინა.



## LE CHAMEAU

კეიტს განსაკუთრებულად უყვარს ფრანგული ბრენდის – Le Chameau-ს ხელით შეკერილი რეზინის ჩექმები, რომლებსაც უმეტესად ოჯახური აქტივობების დროს იყენებს.



## DANIELLA ISSA HELAYEL

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ლურჯი აბრეშუმის კაბა, რომელიც კეიტს უილიამზე ნიშნობის გამოცხადებისას ეცვა. მისი დიზაინი წარმოშობით ბრაზილიელ და ლონდონში მცხოვრებ დანიელას ეკუთვნოდა.



## MAX MARA

ეს მუქი მწვანე ლაბადა ერთ-ერთია იმ იტალიური ბრენდებიდან, რომლებსაც ჰერცოგინია ზამთრის სუსხიან ამინდებში იცვამს.

ტექსტი: MIRIAM FOLEY. ფოტო: GETTY IMAGES

Denk Nutrition

დამზადებულია გერმანიაში






დენკ

# იმუნ აქტივი

ძლიერი იმუნური სისტემისთვის

ფარმადეპო PHARMADEPOT

შეიძინეთ ფარმადეპოს აფთიაქებში

# რომელ ბრენდებს ირჩევენ პრინცი ჯორჯი & პრინცესა შარლოტა

## მეფური მოდის უმცროსი წარმომადგენლები



**სამეფო ოჯახმა პირველი აღფრთოვანება კანადაში ჩასვლისას დაიმსახურა, სადაც პატარა შარლოტა და ჯორჯი, დედ-მამასთან ერთად, ლურჯ ფერში გადაწყვეტილი სამოსით გამოჩნდნენ**

**LOOK 1**

**ჯორჯი:** მიუხედავად სუსხიანი ამინდისა, პრინცს თავისი საფირმო შორტი და გეტრები ეცვა. შარვალი Pepa & Co-ს შემოქმედება გახლდათ (***£36***), შავი გეტრები კი Amaia Kids-ის (***£7***). Pepa & Co-სვე ეკუთვნოდა ლურჯი ფერის სვიტერი (***£42***), რომელიც ჯორჯს იმავე ბრენდის პერანგთან ერთად ეცვა. რაც შეეხება ფეხსაცმელს, პრინცმა არჩევანი Start-Rite-ის შავ ფეხსაცმელზე (***£55***) შეაჩერა.

**შარლოტა:** შარლოტამ ლამაზი ყვავილებიანი კაბა მოირგო, რომელიც ღია ცისფერსა და პრინცესასთვის ჩვეულ სტილში იყო გადაწყვეტილი. სამწუხაროდ მისი დიზაინერის ვინაობა დღემდე არ გამჟღავნებულა. სამაგიეროდ, ვიცით, რომ ლამაზი ლურჯი ფეხსაცმელი (***£25.94***) ესპანურ ბრენდს – Doña Carmen-ს ეკუთვნოდა, ლამაზად გადმოკეცილი თეთრი წინდა კი Classical Child-ს (***£5***). აუცილებლად უნდა აღინიშნოს პატარა ბანტიც (***£2.50***), რომელიც პრინცესას ფავორიტ ბრენდს – Amaia-ს აქსესუარებს განეკუთვნება.



## LOOK 2

**მეორე საჯარო გასეირნება მაშინ მოეწყო, როცა პრინცი და პრინცესა მთავრობის სახლში გამართულ საბავშვო წვეულებას ესტუმრნენ. სამეფო ოჯახის უმცროს წარმომადგენლებს ისევ ლურჯ ფერში გადაწყვეტილი ტანისამოსი ამშვენებდათ**

**შარლოტა:** ლურჯ ფერთა გამა აირჩია შარლოტამაც, რომელსაც Pepa & Co-ს ცისფერი კაბა (***£74***) ამშვენებდა. სუსხიანი ამინდის გამო, პრინცესამ Amaia-ს ლურჯი ჟაკეტი მოიცვა, რომელიც როგორც აღმოჩნდა მანამდე უფროს ძამიკოს ეკუთვნოდა. 16 თვის შარლოტა Doña Carmen-ის ლურჯი ფეხსაცმლით (***£25.94***) დარბოდა და მასთან Classical Child-ის თეთრი წინდები (***£5***) ჰქონდა შეხამებული. რაღა თქმა უნდა, პრინცესას ვარცხნილობას Amaia-ს ცნობილი ბანტი (***£2.50***) ამშვენებდა.

**ჯორჯი:** სამი წლის პრინცს ისევ ლურჯი სვიტერი ეცვა, რომელიც ამჯერად Wild & Gorgeous-ის ბრენდს ეკუთვნოდა (***£65***) და ესპანურ ბრენდ Neck & Neck-ის კუბოკრულ პერანგთან (***£38.52***) იყო შეხამებული. ჯორჯის ჩაცმულობაში უცვლელ პოზიციას იკავებდა ბრიტანული Papouelli-ის ფეხსაცმელი (***£55***) და გეტრები (***£8.50***).



## LOOK 3

**სამეფო ოჯახი მესამედ მაშინ გამოჩნდა, როცა კანადური ტური უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ამჯერად ლურჯი ბორდოსფერმა ჩაანაცვლა.**

**ჯორჯი:** პატარა უფლისწულს კლასიკური სვიტერი და Pepa & Co-ს პერანგი ეცვა (***£40***). ჯორჯის ბორდოსფერი შორტი ამჯერად Doña Carmen-ის შემოქმედება იყო, შავი გეტრები (***£7***) კი – Amaia Kids-ის. მის ჩაცმულობას Start-Rite-ის ფეხსაცმელი (***£55***) აგვირგვინებდა.

**შარლოტა:** სამეფო ოჯახის ყველაზე პატარა წარმომადგენელი უცნობი დიზაინერის ყვავილებიანი კაბით იწონებდა თავს. პრინცესას ძალიან უხდებოდა ბურგუნდიული სტილის ჟაკეტი, რომელიც იდეალურად იყო შეხამებული Doña Carmen-ის ბორდოსფერ ფეხსაცმელთან (***€30***). ამავე ფერის იყო შარლოტას განუყრელი თმის სამაგრიც (***£2.50***), რომელიც ისევ და ისევ Amaia-ს აქსესუარებს განეკუთვნებოდა.

ტექსტი: ელენე მარგალიტაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

# გამორჩეულად გემოვნებიანი გოგონები ვარსკვლავური ოჯახებიდან



ბიონსე და ბლუ აივი ხშირად ჩნდებიან ერთნაირი ტანისამოსით. ჰარპერ ბექჰემი კი ზოგჯერ დედამისსაც ჩრდილავს.



კიმ კარდაშიანი და ნორთ უესტი ნიუ-იორკის ქუჩებში ერთნაირად ჩაცმულები გამოჩნდნენ. დედიკოს Vetements-ის კაბა ამშვენებდა, შვილს კი სპეციალურად შეკერილი იმავე სტილის სამოსი.



ცნობილი ადამიანების შვილები ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევიან ხოლმე. ყველაფერი კიდევ უფრო საინტერესო ხდება, როდესაც ბავშვის ორივე მშობელი მსოფლიო ვარსკვლავია. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითები კიმის, ვიქტორიასა და ბიონსეს გოგონები არიან.

3 წლის ნორთი, რომელიც კანიე უესტისა და კიმ კარდაშიანის პირველი შვილია, ხშირად ჩნდება ამა თუ იმ ჩვენებაზე. ის რასაკვირველია რეპერი და დიზაინერი მამის შემოქმედებას ამზეურებს და არც სხვა ბრენდებზე ამბობს უარს. მაგალითად, მან და კიმმა სულ ახლახან გაისეირნეს ნიუ-იორკის ქუჩებში და პაპარაცების ყურადღება ერთნაირი სტილის ტანისამოსით მიიპყრეს. კარდაშიანს ფრანგული Vetements-ის კაბა ეცვა, რომლის ღირებულება 9740 გირვანქა სტერლინგი იყო. პატარა ქალბატონს კი დედამისის კაბის სტილში შეკერილი ვერცხლისფერი სამოსი ამშვენებდა და ფეხზე მუქი ლურჯი ფერის კედები ჰქონდა მორგებული. კიმი ამტკიცებს, რომ ნორთი ყოველთვის თავად ირჩევს სასურველ სამოსს და დიზაინის შექმნაშიც უშუალოდ მონაწილეობს.

რაც შეეხება ჰარპერ ბექჰემს, ის მოდის კვირეულების ხშირი სტუმარია და ვიქტორიას კოლექციებს ყოველთვის მოწინავე რიგებიდან გულშემატკივრობს. დევიდისა და ყოფილი Spice Girls-ელის ქალიშვილი მუდმივად ყურადღების ცენტრშია და ეს, გარკვეულწილად, მშობლების დამსახურებაც გახლავთ. ისინი ძალიან ხშირად აქვეყნებენ ჰარპერის ფოტოებს, რომლებითაც მის სტილსა და სილამაზეს უსვამენ ხაზს და ყველას არწმუნებენ, რომ უმცროსმა ბექჰემმა დამსახურებულად მოიპოვა „მსოფლიოს ყველაზე გემოვნებიანი ბავშვის“ ტიტული. რასაკვირველია, ჰარპერის სამოსის დიზაინს დედიკო არჩევს. მისივე გადაწყვეტილებაა გოგონას სადა ვარცხნილობა და „ომბრეში“ გადაწყვეტილი თმის ფერი.

არანაკლები გემოვნებით გამოირჩევა ბლუ აივიც, რომელიც განსაკუთრებულად ხშირად ირგებს მშობლების მსგავს ტანისამოსს. ჯერ მხოლოდ სამი წლის იყო, როდესაც თავს Dior-ის კაბით იწონებდა და „გრემის“ დაჯილდოებაზე ვარსკვლავ დედ-მამას გულშემატკივრობდა. ბიონსესა და ჯეი-ზის შვილის გარდერობში GUCCI-სა და სხვა დიზაინერთა უახლესი კაბები, შარვლები, ქურთუკები და ფეხსაცმელი შეგხვდებათ. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ბლუ აივი კარტერი ერთნაირი წარმატებით ირგებს როგორც სპორტულ, ისე კლასიკურ სტილს და ყველანაირი ტიპის ღონისძიებაზე შესაშურად გამოიყურება. H

ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES. INSTAGRAM.



www.zinio.com
HELLO! GEORGIA
შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია
HELLO! GEORGIA
#004 • ნოემბერი • 2016 • 4.00₾
BEAUTY Special
+510
WORLD EXCLUSIVE
INTERVIEW + FAMILY PICTURES
აპოლიტიკური რაკურსი
ჰილარი კლინტონი
ISSUN 2449-2590
ექსკლუზივი
იკითხეთ
HELLO!
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე
ZINIO
TOP WOMEN'S MAGAZINES
ჩამოტვირთეთ ქართული HELLO! მსოფლიოს უმსხვილესი დახლიდან ZINIO
Google play
App Store
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge



# თვის დღიური










## JYSK GROUP თბილისშია

თბილისში ცნობილი სკანდინავიური ბრენდის პირველი მაღაზია გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს საქართველოს პირველი ვიცეპრემიერი – დიმიტრი ქუმსიშვილიც დაესწრო. „იუსკ-გრუპი“ (JYSK GROUP) მომხმარებელს მრავალფეროვან საყოფაცხოვრებო პროდუქციას შესთავაზებს და 2017-2018 წლებში საქართველოს კიდევ ოთხ ობიექტს შემატებს. ცნობისთვის, JYSK-ი გლობალური სავაჭრო ქსელია, რომელიც მსოფლიოს 44 ქვეყანაში 2300-ზე მეტი მაღაზიითაა წარმოდგენილი. მისი მთავარი ლოზუნგია „იუსკი ყველას სახლში“.


















Available on the App Store

Get it on Google play

Download with Windows Store



# თვის დღიური









## პაოლო ტერენციმ თბილისელებს ორი ახალი სუნამო წარუდგინა





პაოლო ტერენციმ, რომელიც Tiziana Terenzi-ს ბრენდის პრეზიდენტია, Niche Boutique Aromatique-ში მისულ სტუმრებს ორი ახალი ნამუშევარი წარუდგინა. Andromeda საოცრად ბუნებრივ სურნელს აფრქვევს და სხვადასხვა მცენარის ჯადოსნური არომატითაა გაზავებული. Cassiopea კი უფრო „ყვავილოვანი“ და მსუბუქია. ორივე სუნამო Tiziana Terenzi-ს ახალი კოლექციის – Luna-ს ფარგლებში შეიქმნა. თბილისელებს მათი შეძენა უკვე შეუძლიათ.










www.facebook.com/ioverdegeo

ვერტიკალური
ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO
VERDE

სიურპრიზი HELLO!-სგან

# პირველი 30 გამომწერი

საჩუქრად მიიღებს სეზონის ყველაზე ტრენდულ

ყელსაბამს PARFOIS-ისგან

HELLO! GEORGIA



## გამოიწერეთ ფასდაკლებით

38₾ ერთი წლით / 21₾ ექვსი თვით

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით

HELLO!

თქვენს ოჯახებს ყოველ თვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 032 298 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ **დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**



ტექსტი: თათია ლაშაური. ფოტო: GETTY IMAGES.

ერინი ლონდონის მოდის კვირეულის ფარგლებში გამართულ Topshop-ის ჩვენებას თავიდან ფეხებამდე ამ ბრენდის სამოსში გამოწყობილი დაესწრო.




SHOPPING

# GET THE LOOK!

**ერინ ო'კონორმა** ერთ LOOK-ში სეზონის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრენდი გააერთიანა – **ვარდისფერი, ბალერინას სტილი, ხავერდი და STATEMENT ლაბადა**. საკმაოდ საინტერესო იყო ფერთა შეხამებაც – ცისფერი დახურული ფეხსაცმელი, ვარდისფერი სადა კაბა და ჟოლოსფერი კლატჩი. მკვეთრი ფერების გამოყენების გამო, მოდელმა უარი თქვა დამატებით სამკაულებსა თუ აქსესუარებზე და მხოლოდ მზის სათვალეს დასჯერდა. რაც შეეხება მაკიაჟს, ერინმა აქაც მინიმალიზმი არჩია – **NUDE ტონი სახეზე, მკვეთრი წითელი ტუჩსაცხი და სადად შეკრული თმა**.

**1.** სათვალე **BURBERRY** 566₾ **johnlewis.com; 2.** ლაბადა **TOPSHOP** 276₾ **topshop.com; 3.** კაბა **A. F. VANDEVORST** 1407₾ **farfetch.com; 4. MAC** ტუჩის ფანქარი 50₾; **5.** კლატჩი **JIMMY CHOO** 3250₾ **farfetch.com; 6.** ფეხსაცმელი **TOPSHOP** 133₾ **topshop.com**



ZARA
ლაბადა
181₾
zara.com



DOTS
კაბა
265₾



DESA COLLECTION
ლაბადა
1185₾
net-a-porter.com



LAKO BUKIA F/W 16/17

LANVIN F/W 16/17

ATELIER KIKALA F/W 16/17

TAMUNA INGOROKVA F/W 16/17

TAMUNA INGOROKVA F/W 16/17

ISABEL MARANT F/W 16/17

*FASHION*

# *MATRIX*

## ტყავისა და ლაქის ფაქტურის მუხლამდე ქურთუკებმა და გრძელმა ლაბადებმა ვირტუალური რეალობიდან ჯერ პოდიუმზე, შემდეგ კი ჩვენს გარდერობებში გადმოინაცვლა

ტყავისა და ლაქის ფაქტურის მუხლამდე ქურთუკებმა და გრძელმა ლაბადებმა ვირტუალური რეალობიდან ჯერ პოდიუმზე, შემდეგ კი ჩვენს გარდერობებში გადმოინაცვლა. ნოემბრის სუსხისგან თავის დასაცავად დიზაინერები „მატრიცას“ საკულტო ტრილოგიის გარდერობით შთაგონებულ სამოსს გვთავაზობენ. **Lanvin**-მა კერი-ენ მოსის გმირის – ტრინიტის საფირმო მკაცრი ლაბადის უფრო რომანტიკული ვარიანტი წარმოგვიდგინა, შიფონის ელემენტებითა და სქელი სარტყლით. ცისფრის გარდამავალ ფერებზე და გრძელ საყელოზე გაამახვილა აქცენტი **Celine**-მა, **Isabel Marant**-მა კი ლაქს **Animal Print**-ი შეუხამა. განსაკუთრებით დახვეწილი იყო **Versace**-სეული ლაბადები – **სექსუალური, წელში გამოყვანილი სილუეტით** და **ჯაჭვის ქამრით**.



SHRIMPS
ლაბადა
1548₾
mytheresa.com

DOTS
ლაბადა
235₾

ELOSHI
ლაბადა
450₾

VETEMENTS
ლაბადა
9500₾
net-a-porter.com

ALEXANDER MCQUEEN
F/W 16/17

CELINE
F/W 16/17

MARIAM GVASALIA
F/W 16/17

ELOSHI
F/W 16/17

ALEXANDER WANG
F/W 16/17



**VIVIENNE WESTWOOD**
კარდიგანი
654₾
net-a-porter.com



**ANOUKI**
მაისური
45₾
anouki.com



**ANOUKI**
ქვედაბოლო
270₾
anouki.com



**RICK OWENS**
პიჯაკი
2667₾
net-a-porter.com



**BNG**
ტუნიკი და შარვალი
595₾
fb.com/IXXSS



JUST CAVALLI F/W 16/17

SIMONE ROCHA F/W 16/17

VERSACE F/W 16/17

BLUMARINE F/W 16/17

GUCCI F/W 16/17



**AKA NANITA**
ჟილეტი
450₾

**AKA NANITA**
შარვალი
300₾



**AKA NANITA**
კაბა
420₾



**YVES SALOMON**
ლაბადა
5320₾
**net-a-porter.com**



**ANOUKI**
ფეხსაცმელი
390₾
**anouki.com**



**VERSACE**
კლატჩი
1682₾
**farfetch.com**



**ANOUKI**
ფეხსაცმელი
690g
**anouki.com**



**GIANVITO ROSSI**
ჩექმა
2259₾
**net-a-porter.com**



BALMAIN F/W 16/17

CHLOE F/W 16/17

# Pink Panther VS Grey Gardens

არსებობს ფერთა შეხამების რამდენიმე ოქროს წესი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ეფექტურია. ოქროსფერი და ფირუზისფერი, წითელი და ჟოლოსფერი, და ვარდისფერი და ნაცრისფერი – ეს კომბინაციები ყველა შემთხვევაში მოდურს გახდის მთელ LOOK-ს

ფერთა თამამი კომბინაციების მოყვარულებს ამ სეზონზე მოდური ექსპერიმენტების საუკეთესო საშუალება ეძლევათ – **თბილი ვარდისფრისა და ცივი ნაცრისფრის კონტრასტული სინთეზი შემოდგომის Top-ტრენდია**. შეუხამეთ **GUCCI**-ს ან **JUST CAVALLI**-ის მსგავს ვარდისფერ ბეწვის ქურქს მხრებმოშიშვლებული შიფონის კაბა **VALENTINO**-ს სტილში. **SIMONE ROCHA**-ს ვინტაჟურ ფართომხრებიან ლაბადას კი ძალიან მოუხდება **CHLOE**-ს მინიმალისტური ნაქსოვი კაბა თამამი დეკოლტეთი.



VALENTINO F/W 16/17

LITKOVSKAYA F/W 16/17

LOUIS VUITTON F/W 16/17

LOEWE F/W 16/17

PRADA F/W 16/17

ALEXANDER ARUTYNOV F/W 16/17



**ANNA SUI**
ქამარი
401₾
**net-a-porter.com**



**ALEXANDER MCQUEEN**
ქამარი
1401₾
**net-a-porter.com**



**TOPSHOP**
კორსეტი
128₾
**topshop.com**



**ANOUKI**
კაბა
820₾
**anouki.com**

FASHION

# LAYERS

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, კორსეტებს ქალბატონები სამოსის შიგნით, სხეულის კონტურების გამოსაკვეთად და წელის დასაწვრილებლად იყენებდნენ, წელს კი ეს ტენდენცია თავდაყირა დადგა და სულ სხვაგვარი დანიშნულება შეიძინა

ამ სეზონზე კორსეტის ტარება კაბისა და თუ პერანგის გარედანაა მოდური. ქალურ და დახვეწილ სილუეტებთან ერთად, რომლებსაც **Balmain** და **Louis Vuitton** გვთავაზობენ, უფრო Casual კორსეტებიც საკმაოდ აქტუალურია, ასეთებს კი **Vera Wang**-ისა და **Loewe**-ის კოლექციებში შეხვდებით. კორსეტების მსგავსად, ძალზე მოდურია მკლავიანი მაისურის ზემოდან ტოპის, ან სვიტერის გარეთ ბრეტელიანი კაბის ჩაცმა. **Chanel, Valentino, Mulberry, Louis Vuitton, Dries Van Noten** – მოდის სახლების უმეტესობა 2016 წლის შემოდგომისთვის Layering-ის პრინციპით შექმნილ სამოსს გვთავაზობს.



**ZARA**
ტოპი
72₾
zara.com

**DOTS**
მაისური
55₾

**STRADIVARIUS**
მაისური
35₾
stradivarius.com

**DOTS**
მაისური
135₾

**STRADIVARIUS**
კაბა
55₾
stradivarius.com

**ZARA**
პერანგი
87₾
zara.com

**LOEWE**
კორსეტი
2901₾
net-a-porter.com

**BESSARION F/W 16/17**

**BALMAIN F/W 16/17**

**MARIAM GVASALIA F/W 16/17**

**BALMAIN F/W 16/17**

**LALO CARDIGANS F/W 16/17**

*თუ საზაფხულო კაბებს ჯერ კიდევ ვერ ელევით, ჩაიცვით იგი თბილი, ყელიანი სვიტერების ზემოდან*



GVANTSA JANASHIA
კაბა
500₾

ZARA
პუანტები
58₾
zara.com

STRADIVARIUS
ბოდე
55₾
stradivarius.com

ZARA
პუანტები
58₾
zara.com

STRADIVARIUS
ბოდე
55₾
stradivarius.com

KETI CHKHIKVADZE
ბლუზი
300₾

TOPSHOP
ქვედაბოლო
114₾
topshop.com

KETI CHKHIKVADZE
ქვედაბოლო
1000₾

STRADIVARIUS
ქვედაბოლო
55₾
stradivarius.com



ALEXANDER MCQUEEN F/W 16/17

ACNE STUDIOS F/W 16/17

ALEXANDER MCQUEEN F/W 16/17

VALENTINO F/W 16/17

FASHION

# Ballet FEVER

## მოდის სამყაროს „დიდ სცენაზე“ საბალეტო სამოსის „პრემიერაა“

**MIU MIU**-ს გასული სეზონის ჰიტის – პუანტების შემდეგ, დიზაინერებმა ეს ტრენდი ელვის სისწრაფით აიტაცეს და შემოდგომისთვის ყველა Fashionista-ს შეუძლია TUTU-ს ქვედაბოლოების, ბოდეებისა და ლენტიანი ფეხსაცმლის დახმარებით ნამდვილ ბალერინად გარდაისახოს. **მოდურ ტონალობებში თეთრი, კრემისფერი, ვარდისფერი და ბეჟი გამოირჩევა, ფაქტურებში კი ხავერდი, ტიული, შიფონი და აბრეშუმი.**



**STRADIVARIUS**
ქვედაბოლო
69₾
**stradivarius.com**

**TAMUNA INGOROKVA**
კაბა
1350₾

**ZARA**
ქვედაბოლო
58₾
**zara.com**

**VALENTINO F/W 16/17**

**STELLA MCCARTNEY F/W 16/17**

**AKA NANITA**
ბლუზი
420₾

**CAROLINA HERRERA F/W 16/17**

**VALENTINO F/W 16/17**

**ELOSHI**
ქვედაბოლო
250₾

**ZARA**
პუანტები
113₾
**zara.com**

***ბალერინას სტილი გამორჩეულად ქალური, რაფინირებული და დახვეწილია. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ შესაბამისი სამკაულისა თუ აქსესუარების შესარჩევად. ეცადეთ არ გადააჭარბოთ – ნუ შეურევთ ამ სტილს მკვეთრ ტონებსა და ფერად ფაქტურებს***

**TOPSHOP**
ბალეტკები
84₾
**topshop.com**

**HERMES F/W 16/17**

**VALENTINO F/W 16/17**



FASHION

# MODERN BALLERINA

ამ სეზონზე მაღალი მოდა და ბალეტი ერთმანეთს იმდენად მჭიდროდ შეერწყა, რომ პარიზისა და ნიუ-იორკის ქუჩის მოდის LOOK-ებში პუანტებთან ერთად ბალერინას TUTU-ქვედაბოლოებიც ვიხილეთ. HELLO!-მ ტრადიციული საბალეტო სამოსის Casual-ტრენდად ქცევას თამამად აუწყო ფეხი. ჩვენი მთავარი ინსპირაცია საქართველოს სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრი გახდა – საკუთარი ისტორიითა და არქიტექტურით



# N
# INA

ხავერდის ტოპი
**MISS SELFRIDGE**

ბადე კოლგოტი და გამაშები
**CALZEDONIA**

თვლებიანი გულსაკიდი
**SWAROVSKI**



მაღალწელიანი ტრუსი
CALZEDONIA

კოლგოტი და გამაშები
CALZEDONIA



გვერდებზე ჩახსნილი
კრემისფერი სვიტერი
**TOPSHOP**

ტყავის ბოტფორდები
თამუნა ინგოროყვა

საყურე
**SWAROVSKI**



ყელიანი სვიტერი
MISS SELFRIDGE

კედები
CONVERSE ALL STAR



ბოდე შიფონის
გრძელი
გადასაცმელით
MISS SELFRIDGE



თეთრი ბლუზი მარგალიტებითა და მაქმანებით
**AKA NANITA**

საყურე
**SWAROVSKI**


სამაჯური
SWAROVSKI
**ფოტო**: იკა პირველი
**მოდელი**: ნათია ბუნტური
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
თათია ლაშაური
მეგი ჯაში
**ვიზაჟი**: ნათია რაზმაძე
**ლოკაცია**: საქართველოს
სახელმწიფო ოპერის თეატრი

FASHION

# NEW YORK FASHION WEEK





ზევით: ჯიჯი ჰადიდი და კენდალ ჯენერი Marc Jacobs-ის ჩვენებაზე პოზირებენ. ქვევით: სიენა მილერი და ემილი ბლანტი Michael Kors-ის შოუს საპატიო სტუმრები არიან.



ბელა ჰადიდი Marc Jacobs-ის ჩვენებაზე ჭრელი პლატფორმებითა და ცისარტყელის ფერებში გაფორმებული პიჯაკით გამოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ბელამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი Michael Kors-ის შოუზეც ექსტრავაგანტულად წარმოაჩინა.

MARC JACOBS



**Ralph Lauren-ის შოუს მაყურებელთა შორის როუზი ჰანტინგტონ-უაიტლი და მსახიობი ანაბელ უოლისი ბრწყინავდნენ.**

მეტალის ელვარება, ფერად-ფერადი ვარიაციები, ცეხინებით გაფორმებული კარდიგანები, მაღალი პლატფორმები და ცისარტყელას ფერებში შეღებილი დრედები – ასეთი დეტალებით გამოირჩეოდა **Marc Jacobs**-ის გახმაურებული ჩვენება, რომელმაც ნიუ-იორკის მოდის კვირეული დახურა. შოუს მთავარი გმირები **კენდალ ჯენერი** და **ჯიჯი და ბელა ჰადიდები** იყვნენ. მათმა ტრიომ აუდიტორია 1970-იანი წლების ნიუ-იორკულ კლუბებში ამოგზაურა. 19 წლის ბელამ მოდის მიმდევრები თითქმის გამჭვირვალე, მაქმანებიანი კაბებითა და ჭრელი პლატფორმებით გააოცა. მისი 21 წლის და კი ამასობაში ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი ლაბადით იწონებდა თავს.

მათზე არანაკლებ მომხიბვლელი იყო კარდაშიანების ოჯახის წარმომადგენელი **კენდალიც**, რომელიც პოდიუმზე ჩვეული თავდაჯერებულობითა და დაბალანსებული ნაბიჯებით გამოჩნდა. მას დიდი ზომის ყვავილებიანი კაბა, უზარმაზარი საყურეები და ჭრელი პლატფორმები ამშვენებდა.

რაც შეეხება კვირეულში მონაწილე სხვა დიზაინერებს, **Ralph Lauren**-ის ელეგანტური და დახვეწილი კოლექცია უმეტესად შავთეთრ ფერებში იყო გადაწყვეტილი. **Michael Kors**-ის შემოქმედება კი 1940-იანი და 1980-იანი წლების მოდას მოგაგონებდათ. მისი მთავარი აქცენტი ქალური სილუეტები და ქამრით გამოკვეთილი წელი იყო.

**Marchesa**-მ, რომელიც „წითელი ხალიჩის“ ფავორიტად მიიჩნევა, წელს უპირატესობა პასტელის ფერებს მიანიჭა და ბროლის თვლებით გაწყობილი კაბები ბუმბულებითა და ყვავილებით გააფორმა.

საბოლოო ჯამში, ნიუ-იორკის კვირეულმა მოდის ისტორიაში საოცრად ფერადი, კაშკაშა კვალი დატოვა და ასპარეზი ლონდონში გამართულ ჩვენებებს დაუთმო...




**Anna Sui-ს ჩვენებაზე ჯიჯი ჰადიდი აბრეშუმისა და მაქმანების იდეალური კომბინაციით გამოჩნდა.**



## JULIEN MACDONALD

გამორჩეული იყო Julien Macdonald-ის „აფრიკული“ ჩვენება, რომელიც მოვერცხლილი ტყავითა და მეტალის დეტალებით პოზიციონირებდა.



## MARY KATRANTZOU

ვერცხლისფერი ციმციმებდა Mary Katrantzou-ის ცეხინებში.

FASHION

# LONDON FASHION WEEK



ანა ვინტური **Roksanda**-ს ჩვენებას წინა რიგებიდან აკვირდებოდა.

მდიდრული ვერცხლისფერი და მეტალის ფერთა იდეალური ვარიაციები – ასეთი იყო მთავარი აქცენტები ლონდონის მოდის კვირეულზე, რომელმაც აუდიტორია გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის მოამზადა.

თითქმის ყველა დიზაინერის კოლექციაში დომინირებდა ბრჭყვიალა და პრიალა ქსოვილები. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩეოდა **Julien Macdonald**-ის „აფრიკული“ ჩვენება, რომელიც მოვერცხლილი ტყავითა და მეტალის დეტალებით პოზიციონირებდა. ვერცხლისფერივე ციმციმებდა **Temperley London**-ის პრინტში, **Mary Katrantzou**-ს ცეხინებსა და **Christopher Kane**-ის საღამოს კაბებში.

საბედნიეროდ, მომდევნო წლის ზაფხულამდე ლოდინი საჭირო არ არის – **Burberry**-მ და **Topshop Unique**-მა პოდიუმზე ის ნამუშევრები გამოიტანეს, რომლებიც უკვე იყიდება ბრენდის მაღაზიებში. როგორც აღინიშნა, ეს მათი ახალი მარკეტინგული სტრატეგიის ნაწი-



TEMPERLEY LONDON




Burberry-ს შოუზე სამხედრო თემატიკა და დეტალების სიმრავლე შეიმჩნეოდა. შოუ Makers House-ში გაიმართა. პოდიუმზე წარმოდგენილი ნამუშევრების შეძენა მოდის მიმდევრებს მომენტალურად – ბრენდის მაღაზიებსა და ოფიციალურ ვებგვერდზე შეეძლოთ.




Belstaff X Liv Tyler-ის შემოქმედებითი ჯგუფი ლონდონის მოდის კვირეულს დაესწრო და ლივ ტაილერისა და დელფინ ნინოსის ერთობლივი ნამუშევრები წარადგინა.



ტანია ბარი და ოლივია პალერმო ლონდონის მოდის კვირეულზე OSMAN-ის ჩვენებას დაესწრნენ.

ლია. წინა რიგებში მსხდომ **კარა დელევინს**, **ჯორდან დანსა** და **ლილი ჯეიმსს** უკვე ეტყობოდათ, რომ ერთი სული ჰქონდათ **Burberry**-ის ლონდონურ მაღაზიას სწვეოდნენ და ფავორიტი სამოსი შეეძინათ.

## გენდერული მრავალფეროვნება

**Christopher Bailey**-მ ქალთა და მამაკაცთა შორის არსებული მკვეთრი საზღვრები გააფერმკრთალა. მან მოდის მიმდევრებს საბრძოლო თემატიკის ჟაკეტები, აბრეშუმის დაპრინტული საღამურები, დათბილული ქურთუკები და ხალათის სტილში შეკერილი კაბები წარუდგინა. დიზაინერის შთაგონების წყარო ვირჯინია ვულფის „ორლანდო“ გახლდათ, რომელიც დროში ხან მამაკაცის, ხან კი ქალის სახით მოგზაურობდა. კოლექციაში მრავლად იყო სამხედრო თემატიკის ნამუშევრებიც.

გენდერული აქცენტები წაიშალა **JW Anderson**-ის ჟაკეტებშიც, რომელიც ტიუდორებისთვის დამახასიათებელ სტილში იყო გადაწყვეტილი.

ანალოგიური ტრენდებით გამოირჩეოდა **Simone Rocha**-ს კარდიგანები და **Anya Hindmarch**-ის აქსესუარები, რომელთა თემატიკა 1960-იანი წლების სამეცნიერო





ალექსა ჩანგი Burberry-ს ჩვენებაზე.



ერინ ოკონორი Burberry-ს ჩვენებაზე.



ბელა ჰადიდი შინაგან ძალას Donatella Versace-ს კოლექციაში ავლენს. “ცუდი გოგონა, რომელიც ყველა წესს არღვევს” – ასე აღწერა დიზაინერმა თავისი შთაგონების წყარო.



ERDEM



ჩვენებებს წინა რიგებიდან გულშემატკივრობდნენ ჯორდან დანი, ვინი ჰარლოუ და იმი უოტერჰაუსი.

ფანტასტიკის ჟანრს მოგაგონებდათ. **Donatella Versace**-ს კოლექციის მთავარი გმირიც უხეში ტყავის ქურთუკში გამოწყობილი ძლიერი ქალი იყო.

რაც შეეხება კაბებს, სეზონის მთავარი ტრენდები ქალური მანჟეტები, შიფონის სარჩულები, ყვავილებიანი პრინტები და ნაქარგებია. ეს ყველაზე კარგად **Simone Rocha**-ს შთამბეჭდავ შოუზე გამოჩნდა. მოდაშია მოკრძალებული სიგრძეც, რაც **Erdem**-ის კოლექციაში მე-17 საუკუნის ფრანგული სტილით გამოიხატა.

როგორც ჩანს, მომავალ წელს შარვლები უკანა პლანზე გადაინაცვლებს. ყოველ შემთხვევაში, ლონდონის მოდის კვირეულზე მათი დეფიციტი შეინიშნებოდა.

**ERDEM-ის შოუ ისტორიაში მოგზაურობას ჰგავდა. ის ბაფთებით, უსწორმასწორო მანჟეტებით, შიფონის მდიდრული დეტალებითა და მრავალფეროვანი ფორმებით გამოირჩეოდა.**



ANYA HINDMARCH











## სად იცხოვრებდით?

## #1 გერმანია






| | |
|---|---|
| გერმანია | 83,1 |
| დანია | 83 |
| ფინეთი | 82 |
| ნორვეგია | 81,7 |
| შვედეთი | 81,6 |
| ისლანდია | 81,6 |
| ირლანდია | 81 |
| ავსტრია | 81 |
| საფრანგეთი | 80,9 |
| შვეიცარია | 80,7 |

მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მქონე აშშ 26–ე ადგილზე აღმოჩნდა. ამერიკელები არავის უშვებენ თავიანთ ტერიტორიაზე რთული პროცედურების გავლის გარეშე.





FASHION

# ნოემბრის *TRENDY* აქსესუარები





დიდი დოზით ფერადი ტონები, მასიური სამკაულები და STATEMENT-კლატჩები შემოდგომასაც ისევე უხდება, როგორც საზაფხულო გარდეროზს

შეიტანეთ მხიარულება თქვენს ყოველდღიურ ჩაცმულობაში – შეუხამეთ „მატრიცულ“ ლაბადებსა და თბილ ქურთუკებს პოპარტით ინსპირირებული თვალშისაცემი აქსესუარები.

ნოემბერში HELLO!-ს მთავარი რედაქტორის რჩეული **ალექსა ჩანგისა** და **სიენა მილერის** საყვარელი სამკაულების ბრენდი – **Patricia Nicolas** გახდა **(www.patricianicolas.com)**.





aro
mate
que
niche boutique

LUTECIA GROUP

NICHE BOUTIQUE
Address 17 Shavteli str.
0105 Tbilisi, Georgia
Hotel Ambassadori



DECOR

# HELLO! LOVES

## სულ მალე ახალი სეზონი დაიწყება და განახლება არც თქვენს ოთახებს აწყენს

მყუდროდ და კომფორტულად მოწყობილი გარემო ყველაზე მეტად სწორედ ცივ და სუსხიან ამინდებს უხდება. ყველაფერი კი უფრო მომხიბვლელია მაშინ, როცა ინტერიერი თანამედროვე, ტრენდული დიზაინითაა გაფორმებული. თუ გსურთ სახლს ახალი სიცოცხლე შესძინოთ, HELLO!-ს რჩევები გაითვალისწინეთ და არჩევანი ვერცხლისფრის, შავისა და თეთრის ვარიაციებზე შეაჩერეთ...



სარკე
79₾
JYSK

საათი
BOCA DO LOBO



შანდალი
129₾
JYSK



ოთახის სანათი
285₾
LABORATORY MY HOME



მაგიდა
BOCA DO LOBO



სკამი
119₾
JYSK



სკამი
KOKET



დეკორატიული ბალიში
24,9₾
JYSK



ლარნაკი
35,9₾
JYSK



სავარძელი
1250₾
LABORATORY MY HOME

JYSK

ყველას სახლში!




მარშალ გელოვანის გამზ. 36
ტელ: **032 224 04 14**



Multi-Active

მიზანმიმართულად მოქმედებს წვრილ ხაზებზე, აღადგენს და ასხივოსნებს კანს.

# 30 წლიდან თქვენ ისევ აქტიური ხართ!

(და ასევე თქვენი კანიც)

Multi-Active დღის & ღამის ასაკსაწინააღმდეგო საშუალებები გამდიდრებულია თიზელის მცენარეული ექსტრაქტით, რომელიც მოთავსებულია კაფსულაში და მიზნობრივად უზრუნველყოფს კანის აღდგენასა და მის ანტიოქსიდანტურ მოქმედებას. ბუნების და მეცნიერების კავშირით შექმნილი საუკეთესო პროდუქტი ამცირებს წვრილ ხაზებს და სტრესის ნიშნებს, ამავე დროს, აცოცხლებს დაღლილ კანს. თქვენი კანი უნდა იყოს ისეთივე ბრწყინვალე და შრომისუნარიანი, როგორც თქვენ.

თიზელის ექსტრაქტი
ანტიოქსიდანტური და
აღმდგენი თვისებებით.




It's all about you.

CLARINS

# beauty



## BODY & FACE

ლამაზი სხეული · მოხდენილი ფორმები · ჯანსახი სახის კანი & თმა



BEAUTY

# Million Dollar Body

- ლამაზი ფორმები
- სხეულის მოდელირება
- სილუეტის გამოკვეთა
- მბზინვარე და გლუვი კანი

## TOP-პროცედურა
სექსუალური ფორმებისა და აწეული დუნდულებისთვის

ლოკალური ცხიმი, ცელულიტი და მოშვებული კანი დუნდულების მიდამოს ყველაზე დიდი მტერია. **მკვრივი ფორმების აღდგენისა და სილუეტის მოდელირებისთვის ყველაზე ეფექტური და სწრაფი საშუალება A.W.T. იგივე აკუსტიკური ტალღების თერაპიაა**. რადიოსიხშირის ტალღები კანის დაჭიმვასა და ცელულიტის გაქრობას უწყობს ხელს, თანაც – ძალიან მოკლე დროში. სულ რაღაც 7-10 სრულიად კომფორტული და უმტკივნეულო პროცედურის შემდეგ თქვენი სხეულის ფორმები საგრძნობლად მკვრივი გახდება.

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
**cellulite.ge**
*წინანდლის ქ. 9*
*თბილისი*



## ფეხების მოდელირების საიდუმლო

მოხდენილი, თხელი ფეხები, გლუვი კანი და არანაირი ცელულიტი – ყველა ქალბატონის ოცნება არცთუ რთულად მისაღწევი რეალობაა, რომლის განხორციელება ყველაზე ეფექტურად R.F.-ის დახმარებითაა შესაძლებელი. **ინფრაწითელი სხივებისა და რადიოსიხშირის კომბინაციის წყალობით, პროცედურა მინიმალურად ინვაზიურია, თუმცა მაქსიმალურ ეფექტს იძლევა**.

**NATALI ANTI AGE CLINIC**
*გ. სააკაძის მოედანი 76*
*თბილისი*

*თქვენი ფეხები შესამჩნევად დათხელებული, მკვრივი და ცელულიტისგან თავისუფალი სულ რაღაც 8-10 პროცედურის შემდეგ გახდება*



# მოიშორეთ ცხიმი
## ყველაზე მიუდგომელი ადგილებიდან!

მუცლის მიდამო, მუხლები და გვერდები თითქმის ყველა ქალბატონისთვის პრობლემური ზონებია. ზედმეტი ცხიმი და მოშვებული კანი მთელი წლის განმავლობაში გვიქმნის დისკომფორტს. **იდეალური პრესი, თხელი ფეხები და ლამაზი სილუეტი,  ძალზე მარტივი პროცედურის დახმარებით, საკმაოდ რეალური და მარტივად მისაღწევი მიზანია**.

**კრიოლიპოლიზი** ცხიმს სრულიად ახალი ტექნოლოგიით, კერძოდ – მოყინვის საშუალებით ებრძვის. აპარატი, რომელსაც „სხეულის სკულპტორის“ სახელით იცნობენ, ცხიმს ყველაზე პრობლემური უბნებიდან აშორებს. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, კრიოლიპოლიზი ლიპოსაქციის არაოპერაციული ალტერნატივაა.

**ცხიმოვანი ფენის კონტროლირებადი მოყინვის მეთოდი იდეალურია ადამიანებისთვის**, რომლებიც არ არიან მზად პლასტიკური ოპერაციებისთვის, ან ფიზიკური დატვირთვის მიუხედავად, ვერ ახერხებენ შეამცირონ სხეულის კონკრეტული ნაწილის გარშემოწერილობა.

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
**ლოტუსი**
*ტელ: 322 90 38 03*
*www.lotus.ge*
*facebook.com/LotusMedCenter*

*კრიოლიპოლიზის მეშვეობით, ყველაზე პრობლემური და მიუდგომელი ადგილებიდან ცხიმის 40%-ის მოცილება სულ რაღაც 3 პროცედურითაა შესაძლებელი*



## იყავი საკუთარი სხეულის „არქიტექტორი“

ნებისმიერი ანტიცელულიტური თუ სხეულის გამაჯანსაღებელი პროცედურის ეფექტი უფრო მეტხანს გაგყვებათ, თუ ფიზიკურ აქტივობას გაცილებით მეტ ყურადღებას დაუთმობთ.

ჯანსაღი ცხოვრების სტილი და ვარჯიში არა მხოლოდ კარგი ფორმების, არამედ შესანიშნავი განწყობის შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ. **ესტუმრეთ თბილისში საუკეთესო ფიტნესცენტრ Oktopus-ს და ცელულიტისა და მოშვებული ფორმების პრობლემა აღარასოდეს შეგაწუხებთ.**

*ფიტნესცენტრი* **OKTOPUS**
*სანდრო ეულის ქ. 7*
*თბილისი*

სხეულის კონტურების გამოკვეთისა და გამკვრივების პროცესს საგრძნობლად აჩქარებს შინ მოხმარების პროდუქცია. სხეულის მოდელირებისთვის განკუთვნილი სამმაგი მოქმედების კრემი კანს მაქსიმალურად ამკვრივებს, ხდის უფრო გლუვსა და მბზინვარეს. წაისვით დღეში ორჯერ პრობლემატურ ადგილებზე და შედეგს დაუყოვნებლივ შეამჩნევთ.

**GERMAINE DE CAPUCCINI PERFECT FORMS LIFT DESIGNER**
**NATALI ANTI AGE CLINIC**







ცელულიტს შეგიძლიათ ებრძოლოთ მაშინაც, როდესაც გძინავთ. ინოვაციური ფორმულის წყალობით, თქვენი სხეული ფორმას მთელი ღამის მანძილზე იცვლის. ანტიცელულიტური კრემი, რომელიც ყველაზე ღრმად ჩამჯდარ, ჯიუტ ცელულიტსაც კი აქრობს, განსაკუთრებით ეფექტურია ფეხებისა და დუნდულების მიდამოებში.

**GERMAINE DE CAPUCCINI PERFECT FORMS SLIM STARTER NIGHT**
**NATALI ANTI AGE CLINIC**





BEAUTY

# შეაჩერეთ დრო!

## კანის ლაზერული გაახალგაზრდავება

კანის დაბერების ბუნებრივი პროცესები, რომელთაც ულტრაიისფერი გამოსხივება და დაბინძურებული ჰაერი ახლავს, კანის ფუნქციისა და სტრუქტურის თანდათანობითი გაუარესების მიზეზია. იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ 10 პრობლემა სულ რაღაც 1 პროცედურით, გირჩევთ **ოქროს სტანდარტად აღიარებული Asclepion-ის ფირმის ერბიუმის ბოლო თაობის ლაზერის სასწაულმოქმედი ეფექტი** საკუთარ თავზე გამოსცადოთ.

### კანის ფრაქციულ-აბლაციური ლაზერით ათი პრობლემა ერთი პროცედურით გადაიჭრება

- **წვრილი ნაოჭები**
- **ლაქები** (*პიგმენტური ლაქები*)
- **ნაწიბურები** (*ნაიარევის კორექცია, აკნეს შემდგომი ნაწიბურები*)
- **უსიცოცხლო კანი**
- **მელაზმა**
- **აკნე**
- **გაფართოებული ფორები**
- **დაკარგული ელასტიკურობა**
- **სტრიები**
- **კანის დაბერების ნიშნები**

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
**SOLO PER TE**
*ი. ჭავჭავაძის გამზ. 62, თბილისი*
*ტელ: 322 43 49 94*



## ჯადოსნური ძაფების
## გასაოცარი ეფექტი

ოვალისა და ყვრიმალების მოდელირებისა თუ წარბის კუთხის აწევისთვის, მეზოძაფების კომპლექსური პროცედურა ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული ანტიეიჯ თერაპიებს შორის. ამ ინოვაციური გამაახალგაზრდავებელი პროცედურის დაუჯერებელი ეფექტი კი საკუთარ თავზე თბილისში, **კლინიკა MEDI-ში შეგიძლიათ გამოსცადოთ, სადაც უახლეს ტექნოლოგიებთან ერთად საუკეთესო სპეციალისტებიც დაგხვდებიან**.

კანის სტრუქტურის გაახალგაზრდავების გარდა, პროცედურა ერთგვარ საბაზისო კარკასს ქმნის, რომლის დახმარებით კუნთისა და ქსოვილის ერთ დონეზე აწევა და ფიქსაციაა შესაძლებელი.

მეზოძაფები 3 ძირითად პროცედურად იყოფა: **3D ძაფები თქვენი კანის ლიფტინგსა და ელასტიკურობაზე იზრუნებს.** მონოძაფები სახის ოვალის მოდელირებისთვის, ხოლო ოქროს ძაფები კანის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და გამკვრივებისთვისაა საუკეთესო.

3 განსხვავებული დანიშნულების მქონე მეზოძაფების პროცედურა, ცხადია კომპლექსურადაც გამოიყენება – გასაოცარი სამმაგი ეფექტისთვის.

მეზოძაფები ფაქტობრივად ქირურგიის თანამედროვე ალტერნატივაა, რომლის დახმარებით არა მხოლოდ სახის სტრუქტურის გაუმჯობესება და დაფიქსირება, არამედ ღრმა ლიფტინგიცაა შესაძლებელი.

სახის სრული მოდელირების ეფექტთან ერთად, პროცედურა განსაკუთრებით **შედეგიანია თვალის ირგვლივ და ყელზე მოდუნებული, მოშვებული კანის გამოსაცოცხლებლად**.

*კლინიკა* **MEDI**
*კოსტავას ქ. 52, თბილისი*



## RADIANT SKIN

# აღადგინეთ კანის ბუნებრივი ბალანსი

კანზე არასასურველი ასაკობრივი ნიშნების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კანის შიდა შრეებში კოლაგენისა და ელასტინის ნაკლებობა გახლავთ. აღნიშნული ნივთიერებები, რომლებსაც ჩვენი კანი ბუნებრივად შეიცავს, ასაკის მატებასთან ერთად ეტაპობრივად იკლებს და საჭირო ხდება იმ მექანიზმების გააქტიურება, რომლებიც ბუნებრივი ბალანსის აღდგენას შეუწყობს ხელს.

**RADIESSE** (*„რედიესი“*) **გახლავთ ბიოლოგიურად შეთავსებადი, სრულფასოვნად ბიოდეგრადირებადი გელი – კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი**, რომლის მეშვობით ჩატარებული პროცედურა TOP-ანტიეიჯ პროცედურებს მიეკუთვნება. აღნიშნული პრეპარატი კანს თვითრეგენერაციაში ეხმარება – **ხელს უწყობს საკუთარი კოლაგენისა და ელასტინის გამომუშავებასა და ხანგრძლივი, სტაბილური ეფექტის მიღწევაში**.

გლუვი და ელასტიკური კანი ერთიდან ორ წლამდე ინარჩუნებს მიღწეულ შედეგს.

*დერმატო-კოსმეტოლოგი*
თამარ ციციშვილი
**ფარმადეპოს** *აფთიაქი,*
*ესთეტიკური კაბინეტი*
*აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: 322 14 50 00*
*მობ.: 577 47 79 03*




*პროცედურის კიდევ ერთი უპირატესობა, დაუყოვნებლივ შედეგთან ერთად, ხანგრძლივი ეფექტიცაა – გლუვი და ელასტიკური კანი წელიწადზე მეტხანს ინარჩუნებს ფორმას*



*ცხვირის მსგავსად, ამ მეთოდით ტუჩის ფორმის კორექცია ან მოცულობის გაზრდა საკმაოდ მარტივად და უსაფრთხოდ შეგიძლიათ*

## გამოძერწეთ საკუთარი ნაკვთები!

თუ თქვენი  ნაკვთების ბუნებრივი ფორმებით ხართ უკმაყოფილო და პლასტიკური ქირურგიის გეშინიათ, მაშინ სახის შემავსებელი ფილერები სწორედ თქვენთვისაა (*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „**ლოტუსი**“*). ჰიალურონის მჟავის ინექციების დახმარებით, საკმაოდ მარტივი პროცედურით შეგიძლიათ სრულიად გარდაისახოთ.

ფილერის ჯადოსნური მოქმედების წყალობით, **ცხვირისა და ტუჩების ფორმისა თუ ზომის შეცვლა სულ რაღაც 15-წუთიანი პროცედურითაა შესაძლებელი**. თანამედროვე ესთეტიკურ მედიცინაში, ფილერმა ცხვირის პლასტიკური ქირურგია წარმატებულად ჩაანაცვლა.

**ჰიალურონის მჟავის ინექციის წყალობით, 15 წუთშია შესაძლებელი ცხვირის დათხელება, კეხის მოშორება და ცხვირის წვერის აწევა**. პროცედურა ადგილობრივი ანესთეზიით ტარდება, არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება, ასაკობრივი შეზღუდვა და არ საჭიროებს შემდგომ სარეაბილიტაციო პერიოდს.

**ფილერი შეუცვლელია ტუჩის ფორმის შეცვლის, ასიმეტრიის გამოსწორებისა და სასურველი მოცულობისთვის**. საოცრად ბუნებრივი, სავსე ტუჩები და მომხიბვლელი ფორმა სწორედ ჰიალურონის მჟავის ინექციის წყალობით მიიღწევა.

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
**ლოტუსი**
*ტელ: 322 90 38 03*
*www.lotus.ge*
*facebook.com/LotusMedCenter*



> ლამაზი, მოხდენილი ფეხები გარეგნული სილამაზის კიდევ ერთი დასტურია.



Victoria's Secret-ის მოდელების სავიზიტო ბარათი სწორედ იდეალური ფეხებია.

ტექსტი: თათია ლაშაური.
ფოტო: GETTY IMAGES.

# „ვარსკვლავური“ ფეხები

ლამაზი ფეხები ყველა ქალის ოცნებაა. როგორც ცნობილია, მამაკაცი ქალის გაცნობისას უპირველესად ფეხებს აქცევს ყურადღებას.



ყველაზე ლამაზ ფეხებსაც კი არ შეიძლება ეწოდოს ლამაზი, თუ ისინი მთლიანადაა დაფარული ლურჯი, ვენური ბადეებით. ალბათ ნებისმიერმა ქალმა იცის როგორ გამოიყურება ვარიკოზი, და ეშინია მისი, როგორც ყველაზე საშინელი კოშმარის.

**ვარიკოზული დაავადება** 21-ე საუკუნის სენია, გამომწვევი მიზეზი კი სხვადასხვაა. თუმცა ძირითადი მაპროვოცირებელია მოუხერხებელი ან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და უმოძრაობა. ბევრისთვის კარგად ნაცნობია ისეთი პრობლემები, როგორებიცაა **შეშუპება** და ფეხებზე გაჩენილი **ვენური ბადეები**. პროცესები ხშირად დისკომფორტსა და გაუსაძლის ტკივილთან ერთად მიმდინარეობს. პრობლემას განსაკუთრებით „მტკივნეულად“ განიცდიან ქალბატონები, ვისთვისაც ლამაზი, მოხდენილი ფეხები გარეგნული სილამაზის კიდევ ერთი დასტურია. ამიტომ საჭიროა დროულად ჩაიტაროთ სწორი მკურნალობა ან იზრუნოთ დაავადების პრევენციაზე.

ვარიკოზული დაავადების საუკეთესო პრევენცია რეგულარული ვარჯიში, ფეხის კუნთების დატვირთვა და ისეთი სპორტით დაკავებაა, როგორიცაა სირბილი ან ცურვა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, განსაკუთრებით სასარგებლოა კიბეზე ფეხით ასვლა.



ქრონიკული ვენური უკმარისობის გაუმჯობესება საწყის სტადიაზე კოსმეტოლოგიურ პროცედურებსაც შეუძლია. ასეთ ეტაპზე **რეკომენდებულია ლიმფოდრენაჟული მასაჟი ციტრუსოვანი არომატული ზეთების გამოყენებით**, რომლებიც დიდი რაოდენობით C ვიტამინს შეიცავენ. ასევე ეფექტურია კონტრასტული პროცედურების ჩატარება.

ვარიკოზული დაავადებისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ჩივილის არსებობის შემთხვევაში, **კონსულტაცია აუცილებლად ექიმ-ფლებოლოგთან უნდა გაიაროთ**. ის დროულად შეგირჩევთ შესაბამის მკურნალობას, რაც შეანელებს დაავადების შემდგომ პროგრესირებას.




**ირაკლი პაპასკუა**

ქირურგ-ფლებოლოგი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

FASHION

# Beauty in NUMBERS






## 30

**ფრჩხილის ლაქის** გასაშრობად სრული 30 წუთია საჭირო. თუ ამდენი თავისუფალი დრო არ გაქვთ, გაიკეთეთ შილაკი – მანიკიური, რომელიც წამებში გაშრება და 2 კვირაზე მეტხანს არ დაკარგავს მბზინვარებას.

**CND SHELLAC, PROF BEAUTY**



## 1913

**პირველი ტუში** გასაყიდად 1913 წელს გამოჩნდა. მას შემდეგ ამ კოსმეტიკურმა საშუალებამ ფორმა მრავალჯერ იცვალა. ქალბატონების უმეტესობა ტუშს წამწამების მაქსიმალური მოცულობისა და ამ ეფექტის ხანგრძლივი შენარჩუნებისთვის იყენებს.

**IN EXTREME DIMENSION WATERPROOF MASCARA, MAC**

## 3

**თვალის გარშემო** შეშუპების პრობლემა 4-დან 3 ქალბატონს აწუხებს. კონსილერისა და ტონალური კრემის წასმამდე, აუცილებლად გამოიყენეთ თვალის გარშემო მიდამოს დამცავი კრემი, რომელიც თქვენს ქუთუთოებს შეშუპებისა და ჩაშავებისგან დაიცავს.

**OXYGENATING YOUTHFULNESS EYE CONTOUR CREAM, GERMAINE DE CAPPUCCINI, NATALI ANTI AGE CLINIC**






## 40

**ვარჯიშისას** ორგანიზმი ცხიმის წვას 40 წუთის შემდეგ იწყებს. მანამდე, ორგანიზმიდან მხოლოდ ნახშირწყლები ორთქლდება. იმისთვის, რომ ეს პროცესი მაქსიმალურად ეფექტური იყოს, აუცილებლად დაგჭირდებათ შესაბამისი სპორტული ფეხსაცმელი.

**NIKE, INC.**

# 1968




**იტალიური** პარფიუმერული ბრენდი Tiziana Terenzi, რომელიც 1968 წელს დაარსდა, ამჟამად 28 ექსკლუზიურ სუნამოს აწარმოებს, Kirke კი მათ შორის ყველაზე ახალია. მუშკის, ვანილისა და კენკრის არომატების სინთეზის წყალობით, სუნამოს საკმაოდ ეგზოტიკური სურნელი აქვს.

**TIZIANA TERENZI KIRKE, AROMATEQUE**

# 54




**ქალბატონების** 54% ნაოჭებისა და დაბერების ნიშნების პრევენციისთვის, ანტიეიჯ კრემების გამოყენებას საშუალოდ 25 წლიდან იწყებს. იმისთვის, რომ თქვენმა კანმა დიდი ხნით შეინარჩუნოს ახალგაზრდული იერი, გამოიყენეთ ისეთი პროდუქცია, რომელიც სახის კანს მაქსიმალურად გლუვსა და ელასტიკურს გახდის.

**GERMAINE DE CAPPUCCINI ANTI-AGING CLARIFYING CREAM SPF15, NATALI ANTI AGE CLINIC**






**დედამიწის მოსახლეობის** 98%-ს დასაშვებზე მეტად დაბინძურებულ გარემოში უწევს ცხოვრება. გამონაბოლქვმა თქვენს კანს ზიანი რომ ვერ მიაყენოს, გამოიყენეთ ძლიერი ანტიოქსიდანტი პროდუქცია.

**LIERAC HYDRAGENIST MOISTURIZING CREAM, GPC**

# 98

**კანიდან** ყოველდღიურად 450 მილიგრამი წყალი ორთქლდება. იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ დეჰიდრატაცია და აღიდგინოთ ორგანიზმის ბუნებრივი ბალანსი, გამოიყენეთ ინტენსიური დამატენიანებელი პროდუქცია.

**NUXE BEAUTIFYING SCENTED BODY LOTION, GPC**
**LIERAC HYDRA-BODY LAIT, GPC**

# 450





BEAUTY

# Iconic hair moments

სხვადასხვა ეპოქის ქალები ისტორიაში ბევრ მახასიათებელთან ერთად მათი განსაკუთრებული ვარცხნილობების გამოც რჩებიან. თმა რომ ქალის იმიჯის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხია, ამაზე ვარსკვლავების სტილისტები ერთხმად თანხმდებიან. **HELLO!** ინსპირაციად სამი განსხვავებული თაობის ქალბატონს წარმოგიდგენთ – განსხვავებული ხასიათითა და ვარცხნილობით. ჩვენი სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტები კი იმ პროდუქციას გაგაცნობენ, რომლებიც ზუსტად თქვენი თმის ტიპს შეეფერება.



# French style VOLUME

1960-იანი წლების სექსსიმბოლო, მსახიობი **ბრიჯიტ ბარდო** ყველა დროის ერთ-ერთ ულამაზეს ქალადაა აღიარებული. გარეგნობასა და უნიკალურ სტილთან ერთად, ფრანგი ქალბატონი კიდევ ერთი განსაკუთრებული მიზეზის – მისი ვარცხნილობის გამოა გამორჩეული. ბრიჯიტი თმას როგორც წესი გაშლილს ატარებდა, ხშირად იყენებდა ფერად ლენტებს და თმაში ყვავილებს იმაგრებდა, თუმცა მისი ვარცხნილობა ნებისმიერ სიტუაციაში მაქსიმალური მოცულობითა და განსაკუთრებული ფორმით გამოირჩეოდა. ბრიჯიტ ბარდოს (*როგორც ფრანგული კლასიკური სილამაზის სიმბოლოს*) სტილი შემდგომში უამრავმა ცნობილმა ქალბატონმა მოირგო. ყველაზე გამორჩეულად კი მას კლაუდია შიფერსა და ლარა სტოუნს ამსგავსებენ.

**1.** ბრიჯიტ ბარდოს სტილი თმის სისტემატიურ მოვლას გულისხმობს. **ყოველდღიურად გამოიყენეთ შამპუნი**, რომელიც თქვენს თმას მოცულობასა და ელასტიკურობას შემატებს.

**PHYTO PHYTOVOLUME VOLUMIZING SHAMPOO, GPC**

**2.** თმის ზრდის ბუნებრივი ციკლის აღსადგენად **Revlon-ის თმის პროფესიული მოვლის ხაზის პროდუქციის გამოყენებას გირჩევთ**. მაქსიმალური ეფექტისა და თმის ცვენის სრულიად შეჩერების მხრივ, საუკეთესო შედეგს 4-კვირიანი კურსის შედეგად მიიღებთ.

**INTRAGEN ANTI HAIR LOSS TREATMENT, PROF BEAUTY**

**3.** შაქრის სპრეი მოცულობისა და ბრწყინვალებისათვის, რომელიც სველ თმაზე მხოლოდ ეთჯერადი გამოყენებით იძლევა შედეგს.

**WELLA PROFESSIONALS SUGAR LIFT**

**4.** მტვრევადი ბოლოების სახლის პირობებში სამკურნალოდ, შესაბამისი პროდუქციის გამოყენებას გირჩევთ. არგანის ზეთის ბაზაზე დამზადებული შამპუნი არბილებს თმას, მატებს მოცულობასა და მბზინვარებას.

**MANTOVANI, GCC**

**5. შრატი თმის აღმდგენი და გამაჯანსაღებელი ფუნქციით** ინტენსიურად ებრძვის ცვენას და აუმჯობესებს თმის სტრუქტურას.

**DIPLONA PROFESSIONAL HAIR GROWTH SERUM, PHARMADEPOT**

**6.** შამპუნი, რომელიც აძლიერებს თმას ძირებიდან და მატებს მოცულობას.

**SYSTEM PROFESSIONAL VOLUMIZE SHAMPOO**





# Silk HAIR

ბრიჯიტ ბარდოს მსგავსად, 1970-იანი წლების ესთეტიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ბრიტანელი მსახიობი **ჯეინ ბირკინია**. გრძელი სწორი თმა და კლასიკური ფრანგული უსწორმასწოროდ შეჭრილი Bangs ბირკინის სტილში დღემდე საოცრად მოდური და აქტუალურია. ჯეინის მსგავსი ბუნებრივად სწორი თმის მოვლა საკმაოდ შრომატევადი პროცესია. თქვენი თმა რომ მუდმივად აბრეშუმივით რბილი და მბზინვარე იყოს, აუცილებელია შესაბამისი მკვებავი და თმის მოვლის საშუალებების გამოყენება.






მტვრევადი, გაუხეშებული და მბზინვარებადაკარგული თმის პრობლემა, ყოველდღიური, შინ მოხმარების პროდუქციით შეგიძლიათ საკმაოდ მარტივად გადაჭრათ. შამპუნი, რომელიც თმას სწორ ფორმას აძლევს და მის ხარისხსაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს, მომენტალურ ეფექტს იძლევა.

**PHYTO PHYTOLISSE STRAIGHTENING SHAMPOO, GPC**




ავოკადოს ექსტრაქტზე დამზადებული თმის ნიღაბი და კონდიციონერი კვებავს გამომშრალ ღერებს და მაქსიმალურ მბზინვარებას ანიჭებს თქვენს თმას.

**LONDA PROFESSIONAL SLEEK SMOOTHER**




აბრეშუმივით მბზინვარე და სწორი თმისთვის გამოიყენეთ ნიღაბი, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თმის სტრუქტურას. გაიჩერეთ თმაზე 5 წუთით და კარგად ჩამოიბანეთ.

**PHYTO PHYTOKERATINE EXCEPTIONAL MASK, GPC**



ხვეული თმის ტექსტურის გაუმჯობესებისთვის გამოიყენეთ გამაჯანსაღებელი გელი, რომელიც თმას ბუნებივობასა და მბზინვარებას შემატებს. წაისვით მშრალ ან ნოტიო თმაზე და გაიკეთეთ ჩვეული ვარცხნილობა.

**MOROCCANOIL INTENSE CURL CREAM,**
**PROF BEAUTY**







# Messy CURLS

მართალია მას შემდეგ ბევრჯერ შეიცვალა სტილი და ვარცხნილობა, მაგრამ **ჯულია რობერტსი** ყველასთვის მაინც უწესრიგოდ აჩეჩილ ხვეულ თმასთან ასოცირდება. ჰოლივუდის ვარსკვლავმა, რომელიც 1990-იანი წლების ნამდვილ ICON-ად იქცა, პოპულარობა სწორედ მისი თვალშისაცემი ვარცხნილობითა და განსაკუთრებული ღიმილით მოიპოვა. ჯულიასგან განსხვავებით, ბევრი გოგონა ვერ ახერხებს ხვეული თმის ასე თამამად ტარებას და არც სპეციალური პროდუქციით ანებივრებს საკუთარ თავს. ხვეული თმის ფორმის ფიქსაციისა და სტრუქტურის გასაუმჯობესებლად უამრავი ჯადოსნური პროდუქცია არსებობს, რომელიც იდეალური ვარცხნილობის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

გახადეთ თქვენი თმა უფრო ელასტიკური და მაქსიმალურად ტალღოვანი. გამოკვეთეთ სტრუქტურა შამპუნით, რომელიც სპეციალურად ხვეული თმისთვისაა შექმნილი.

**LONDA PROFESSIONAL**
**CURL DEFINER**
**SHAMPOO**




გამომშრალ და ფორმადაკარგულ ხვეულ თმას შესაბამისი დატენიანება ესაჭიროება. მოცულობის, სტრუქტურის გაუმჯობესებისა და მბზინვარებისთვის გამოიყენეთ მკვებავი შამპუნი.

**PHYTO PHYTOELIXIR INTENSE NUTRITION SHAMPOO, GPC**





HELLO!-ს ცხელი რეცეპტები

COOKERY

# ტკბილი ნოემბერი

წინ ნოემბერია – ყველაზე ტკბილი და ფერადი თვე, რომელსაც ძალიან უხდება ნისლიანი საღამოები და ცხელი სასმელი. ჩაის დალევთ თუ ყავას, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ერთსაც და მეორესაც შესაფერისი დესერტი შეურჩიოთ და ნოემბერი კიდევ უფრო ტკბილი და გემრიელი გახადოთ. ლინდი რედინგი, რომელიც სამეფო ოჯახისა და სხვა ვარსკვლავების სამზარეულოზე ხშირად ზრუნავს, საუკეთესო ტკბილეულის საიდუმლოს გაგიმხელთ და მათ მომზადებაშიც დაგეხმარებათ...

# შოკოლადის ნამცხვარი კენკრით

„შოკოლადის ნამცხვარი ყველას უყვარს. ჩემს ნახელავს წითელი და ლურჯი კენკრა აგვირგვინებს ხოლმე. თქვენ კი შეგიძლიათ ის ხილი გამოიყენოთ, რომელიც უფრო ლამაზად და გემრიელად მოგეჩვენებათ".



**რეცეპტი**

**ინგრედიენტები**
- 150 გრ კაკაოს ფხვნილი
- 275 მლ ადუღებული წყალი
- 300 გრ უმარილო კარაქი
- 825 გრ შაქრის ფხვნილი
- 525 გრ ფქვილი
- 3 ს/კ საფუარი
- 9 ც კვერცხი
- 375 მლ რძე

**კრემისთვის**
- 300 გრ შავი შოკოლადი (დამტვრეული)
- 500 გრ კარაქი
- 500 გრ შაქრის ფხვნილი
- 1/4 ჩ/კ მარილი

**გასაფორმებლად**
- 100 გრ მარწყვი (*გარეცხილი და შუაზე დაჭრილი*)
- 75 გრ ჟოლო
- 50 გრ მოცვი
- 1 ს/კ წვრილად დაჭრილი ლავანდა

**მომზადების წესი**

**1.** გააცხელეთ ღუმელი 170°C-ზე და მასზე ცხიმწასმული ფოლგა განათავსეთ.
**2.** ბისკვიტის მოსამზადებლად დიდ ჯამში ჩაყარეთ კაკაოს ფხვნილი, დაასხით ადუღებული წყალი, დაუმატეთ დარბილებული კარაქი და ათქვიფეთ.
**3.** მეორე ჯამში ჩაყარეთ შაქრის ფხვნილი, ფქვილი, საფუარი და კარგად მოურიეთ.
**4.** კაკაოს ჯამს დაუმატეთ კვერცხი და რძე.
**5.** მიღებული მასა ჩაასხით ფქვილის ჯამში და ურიეთ, ვიდრე რბილი ტექსტურის ცომს არ მიიღებთ.
**6.** ცომი თანაბარი ზომისა და ერთნაირი ფორმის სამ ფოლგაზე გადაანაწილეთ და ღუმელში დაახლოებით ერთი საათით, გამოცხობამდე დატოვეთ. შემდეგ კი ბისკვიტები ბოლომდე გააგრილეთ.
**7.** ჯამში ჩაყარეთ დამტვრეული შოკოლადი და ადუღებული წყლის ზედაპირთან დაიჭირეთ ისე, რომ წყალს არ ეხებოდეს. დაელოდეთ შოკოლადის დადნობას და პერიოდულად კოვზით მოურიეთ.
**8.** შოკოლადი ოდნავ შეაგრილეთ, დაუმატეთ დამდნარი კარაქი და შაქრის ფხვნილი. მოურიეთ ისე, რომ ფაფუკი მასა მიიღოთ.
**9.** შოკოლადის მუსის ნაწილი ნამცხვარზე გადაანაწილეთ ისე, რომ სამივე ბისკვიტი ერთმანეთს მიეკრას. შოკოლადის დარჩენილი მასა კი ზემოდან მოასხით ისე, რომ დესერტი მთლიანად დაიფაროს.

**ნამცხვარი ზემოდან კენკრითა და ლავანდით გააფორმეთ.**

# ზოლიანი ჩიზქეიქი

„ეს დესერტი ნებისმიერ სუფრას აგემრიელებს და ალამაზებს. მის ფერებს ყველაფერში ხალისი და საუცხოო ხიბლი შეაქვს".

**რეცეპტი** 12 ადამიანისთვის

**ინგრედიენტები**
- 600 გრ მარწყვი
- 300 მლ ცივი წყალი
- 100 გრ შაქრის ფხვნილი
- 3 ფურცელი ჟელატინი ჩიზქეიქისთვის
- 250 გრ ყველის კრემი
- 250 გრ მდნარი ყველი Mascarpone
- 100 გრ შაქრის ფხვნილი
- 1 ს/კ ვანილი
- 350 მლ ტკბილი კრემი გასაფორმებლად
- მოცვი (*თქვენთვის სასურველი რაოდენობით*)

**მომზადების წესი**

**1.** დაჭყლეტილი მარწყვი, წყალი და შაქრის ფხვნილი ერთ ჯამში მოათავსეთ და რამდენიმე წუთით ცეცხლზე გააჩერეთ. ამის შემდეგ ჯამს ფოლგა შემოაკარით და ღუმელში 45 წუთით დატოვეთ.
**2.** ცალკე ჯამში ჩააწყვეთ ჟელატინის ფურცლები და დაასხით წყალი ისე, რომ ზედაპირი დაიფაროს. დაელოდეთ როდის იქცევა სითხე ჟელედ, შემდეგ კი ზედმეტი წყლისგან გაათავისუფლეთ.
**3.** გადაიტანეთ ჟელე მარწყვის თბილ წვენში და ურიეთ, ვიდრე ერთიან მასას არ მიიღებთ. მიქსი 12 გამჭვირვალე ჭიქის ფსკერზე გადაანაწილეთ და მაცივარში შედგით.
**4.** ცალკე ჯამში ათქვიფეთ ყველის კრემი, მდნარი ყველი Mascarpone, შაქრის ფხვნილი და ვანილი. ერთიან მასას ნელ-ნელა დაუმატეთ ტკბილი კრემი.
**5.** მიღებული ჩიზქეიქი ჭიქებში განაწილებულ ჟელეს დაუმატეთ და მაცივარში მინიმუმ სამი საათით გააჩერეთ.
**6.** ჭამის წინ, ჭიქებში მოცვი ჩაყარეთ (*სასურველი რაოდენობით*) და გემრიელად მიირთვით.



# წითელი ხავერდის ნამცხვარი



„ეს ის ნამცხვარია, რომელზეც უარს ვერასოდეს იტყვით. წითელისა და თეთრის მკვეთრი კონტრასტი ისეთივე გემრიელია, როგორც გამოიყურება“.

## რეცეპტი

### ინგრედიენტები

- 200 გრ კარაქი
- 500 გრ შაქრის ფხვნილი
- 4 საშუალო ზომის კვერცხი
- 500 გრ ფქვილი
- 2 ს/კ კაკაოს ფხვნილი
- 2 ს/კ სუფრის სოდა
- 1 ს/კ მარილი
- 400 გრ კეფირი
- 2 ს/კ თეთრი ღვინის ძმარი
- 1 ს/კ ვანილი
- წითელი ესენცია

### კრემისთვის

- 250 გრ დარბილებული კარაქი
- 300 გრ შაქრის ფხვნილი
- 250 გრ ყველის კრემი
- გაყინული ჟოლო (თქვენთვის სასურველი რაოდენობით)

### მომზადების წესი

**1.** გააცხელეთ ღუმელი 180°C-ზე და მასზე ცხიმწასმული ფოლგა განათავსეთ.

**2.** დიდ ჯამში ათქვიფეთ კარაქი და შაქრის ფხვნილი. ნელ-ნელა შეურიეთ კვერცხიც.

**3.** ერთმანეთში აურიეთ ფქვილი, კაკაოს ფხვნილი, სუფრის სოდა, მარილი, და ათქვეფილ მასაში გადაიტანეთ. ამის შემდეგ ნელ-ნელა დაამატეთ კეფირი, თეთრი ღვინის ძმარი, ვანილი და წითელი ესენცია.

**4.** მიღებული მასა გაყავით სამ ნაწილად, გადაანაწილეთ მრგვალ ფორმებზე და ღუმელში დაახლოებით 45 წუთით, გამოცხობამდე დატოვეთ.

**5.** გამომცხვარი ბისკვიტები მაგიდაზე დატოვეთ, ვიდრე ბოლომდე არ გაგრილდება.

**6.** კრემის დასამზადებლად ერთმანეთში კარგად ათქვიფეთ კარაქი, შაქრის ფხვნილი და ნელ-ნელა ყველის კრემი დაუმატეთ.

**7.** კრემის ნაწილი წითელ ნამცხვარზე გადაანაწილეთ ისე, რომ სამივე ბისკვიტი ერთმანეთს მიეკრას. დარჩენილი კრემი კი ზემოდან წაუსვით და გვერდებზე გადაანაწილეთ ისე, რომ მთლიანად თეთრად დაიფაროს.

**8.** გასაფორმებლად მოაყარეთ გაყინული ჟოლოს მარცვლები.



# ვანილის ბლანმანჟე

„დესერტი, რომელიც ჩვენს ბავშვობასთან ასოცირდება, საოცრად ამდიდრებს ყველა სადღესასწაულო სუფრას. უკეთესი იქნება, თუ შემაღლებულ ჭურჭელზე მოათავსებთ და თეთრ ბლანმანჟეს ფერადი დეტალებით მორთავთ“.

## რეცეპტი

### ინგრედიენტები

- 300 მლ ტკბილი კრემი
- 1.2 ლ რძე
- 2 ს/კ ვანილი
- 1 ც დარიჩინი
- 120 გრ სიმინდის ფქვილი
- 130 გრ შაქრის ფხვნილი
- მარწყვი
- მოცვი

### მომზადების წესი

**1.** ერთ ჯამში აურიეთ კრემი, რძე, ვანილი, დარიჩინი, და ჭურჭელი ცეცხლზე მოათავსეთ. დაელოდეთ ადუღებას.

**2.** სიმინდის ფქვილს დაამატეთ რძე ისე, რომ თხელი მასა მიიღოთ.

**3.** ადუღებული მიქსიდან ამოიღეთ დარიჩინი. დანარჩენი კი სიმინდის ფქვილისა და რძის ნაზავს შეურიეთ.

**4.** გააჩერეთ ცეცხლზე 3-4 წუთის განმავლობაში.

**5.** ცხელი მასა დიდ ჯამში მოათავსეთ, ზემოდან ფოლგა გადააფარეთ და დაელოდეთ გაგრილებას. შემდეგ კი მაცივარში შედგით და მთელი ღამით დატოვეთ.

**6.** იმისათვის, რომ ბლანმანჟე ჯამიდან უპრობლემოდ ამოიღოთ, 5-10 წამით ცხელ წყალში მოათავსეთ, შემდეგ კი ჯამი გამზადებულ თასზე ამოატრიალეთ.

**7.** ბლანმანჟე სასურველ ჭურჭელზე გადაიტანეთ, მორთეთ ფერადი ხილით და დააგემოვნეთ.

ტექსტი: SARAH HAMILTON-WALKER. ფოტო: TIM WINTER

Semper®

N°1 IN SWEDEN

# ნატურალური და პრემიალური
# ბავშვთა კვება
# შვედეთიდან



## ჩვენ ვინარჩუნებთ საუკეთესოს რაც მოგვცა ბუნებამ

**კომპანია** GPC წარმოგიდგენთ უნიკალური რეცეპტურით და ტექნოლოგიით შემუშავებულ სემპერის მარცვლეულის პროდუქტებს-ფაფებს და ველინგებს.

„**სემპერი**"-ს პროდუქციის შემადგენლობაში შემავალი მარცვლეული იზრდება შვედეთის ეკოლოდიურად სუფთა პროვინციებში. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ პოლარულ სარტყელთან სიახლოვის, გრძელი, ნათელი დღეების დიდი რაოდენობისა და ცივი კლიმატის გამო მარცვლეული იზრდება უფრო ნელა და აგროვებს დიდი რაოდებით სასარგებლო ნივთიერებებს და მიკროელემენტებს. მარცვლეული გადის საგულდაგულო და მრავალსაფეხურებრივ შერჩევას. „**სემპერი**"-ს ფაფების ხარისხზე მოქმედებს არა მხოლოდ ნედლეულის მკაცრი კონტროლი და სათუთად შემუშავებული რეცეპტურა, არამედ ფაფების მომზადების ტექნოლოგიაც. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მარცვლეულის უნიკალური, ბუნებრივი თვისებების შესანარჩუნებლად. „**სემპერი**"-ს ფაფების შემადგენლობაში შემავალი თითოეული მარცვალი უსაფრთხოა და ბავშვებისთვის მაქსიმალურად სასარგებლო,არ შეიცავს შაქარს, გამოირჩევა ახალი რძისა და ნაღების ნატურალური სიტკბოთი.

**ველინგი** – ტრადიციული შვედური პროდუქტია რძისა და მარცვლეულის ნარევი. მისი წარმოშობის ისტორია იწყება ვიკინგების დროიდან (VIII-XIს). ველინგი განკუთვნილია თხევად მდგომარეობაში კვებისთვის ბოთლიდან ან ჭიქიდან ბავშვებისთვის 5 თვის ასაკიდან, ადვილად ანაყრებს და უნარჩუნებს ბავშვს ენერგიას ხანგრძლივი დროით. ველინგი ადვილად შეითვისება და შესანიშნავია დილის კვებისთვის-ხანგრძლივი დანაყრებისა და აქტიური დღისთვის. საღამოს კვებისთვის-მშვიდი, ღრმა ძილისთვის.

„**სემპერი**" ასევე წარმოგინდენთ მარცვლეულისა და სხვადასხვა ხილის კომბინაციებს რბილ შეფუთვებში, რომელიც იდიალურია ბავშვებისთვის დამოუკიდებელი კვების უნარების ჩამოსაყალიბებლად.

„**სემპერი**"
დედისათვის **სანდო**
ბავშვისათვის **სასურველი**

მწარმოებელი: SEMPER AB, Lidkopingsvagen 28, 533 82, Gotene, Sweden
ოფიციალური დისტრიბუტორი: სს „ჯი-პი-სი", სანაპიროს ქუჩა 6
0108 თბილისი, საქართველო

ჯიპისი GPC



*HALF HOUR...*

# კირა ნაითლი

ბრიტანელი ვარსკვლავი **HELLO!**-ს ბოლო ნამუშევრების, მუსიკის, ნიუ-იორკული გადაღებებისა და პარტნიორების შესახებ ესაუბრება

უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კირა მუსიკოს ჯეიმს რაიტონზე გათხოვდა და ბედნიერი ოჯახური ცხოვრება დაიწყო. ნაიტლიმ, რომელსაც მიაჩნია, რომ მუსიკალური სმენა არ აქვს, მეუღლის დახმარებით მაინც შეძლო და ფილმში „დაიწყე თავიდან“ გრეტას პერსონაჟი განასახიერა.

**რამ მიგიყვანათ გრეტას პერსონაჟამდე?**
კ.ნ. ბოლო წლების განმავლობაში მუდამ იმ პერსონაჟებს განვასახიერებდი, რომლებიც კვდებოდნენ ან რაღაც საშინელი ემართებოდათ. ამიტომ, რაიმე პოზიტიურს ვეძებდი. მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკული კომედია ჩემი საყვარელი ჟანრი არ არის, ეს შემთხვევა ცოტა განსხვავებული იყო – უცნაური და ტკბილმწარე.

**რამდენად გაგიჭირდათ მომღერლისა და კომპოზიტორის როლის შესრულება?**
კ.ნ. სცენარს რომ ვკითხულობდი, დიალოგების შემდეგ მუდმივად მხვდებოდა წარწერა „მღერის“, თუმცა ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ვერც გავიაზრე წინ რა მელოდა! მომღერლის როლის შესრულება ძალიან რთული იყო.

**Maroon 5-ის სოლისტი თქვენი შეყვარებულის როლს განასახიერებდა და მისთვის ეს პირველი სამსახიობო გამოცდილება იყო. გამშვიდებდათ ეს ფაქტი?**
კ.ნ. ადამი ყოველთვის ამბობდა, ძალიან ვნერვიულობო, მაგრამ ნერვიულობას ვერასოდეს ვატყობდი. ის საოცრად თავდაჯერებულია. რაც შეეხება მარკ რუფალოს, მასთან მუშაობა სამოთხეს ჰგავს – ბუნებრივობის განსახიერებაა. გადაღებებზე ორივე მათგანი ენერგიითა და პოზიტივით მავსებდა.

**როგორც ვიცით, გიტარის დაკვრას თქვენი მეუღლე გასწავლიდათ. ალბათ, სახალისო იყო...**
კ.ნ. არა, კინაღამ მოვკალი! მსგავსი რამ შეყვარებულს არასოდეს სთხოვოთ. საშინელი იდეაა! დაკვრა კი ვისწავლე, მაგრამ დაკვრასა და სიმღერას ერთდროულად ვერ ვახერხებდი.

**როგორი იყო ნიუ-იორკული გადაღებები?**
კ.ნ. დაუვიწყარი. ჩემი აზრით, ნიუ-იორკი ფილმში დამოუკიდებელი პერსონაჟია – საინტერესო შინაარსითა და წარმოუდგენელი ენერგიით. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ამ ნამუშევარში მონაწილეობა გადავწყვიტე, გარეთ, ქუჩაში დაგეგმილი გადაღებები იყო.

**ისე, რომელ მუსიკას უსმენთ?**
კ.ნ. მუსიკაში საერთოდ ვერ ვერკვევი. არც არაფერს ვუსმენ. ჩემს ტვინში გათიშულია ყველაფერი, რაც მუსიკას უკავშირდება. გარკვეულწილად, ამ მიუზიკლისმაგვარი ფილმით ამიტომაც დავინტერესდი. მუსიკოსზე ვარ გათხოვილი და ჩემი ძმაც ერთ-ერთი ბენდის წევრია. მოკლედ, ჩემ გარშემო სულ მუსიკაა და საყვარელი კომპოზიციების შერჩევისას სიფრთხილე მმართებს. თუ მთვრალი ვარ, მელოდიას საცეკვაოდ ვიყენებ და სულ არ მადარდებს, რომელი შემსრულებელი მღერის ან რა სიმღერაა ჩართული.

**და ქორწილისთვის რომელი სიმღერა შეარჩიეთ?**
კ.ნ. ჩვენი პირველი ცეკვა პოლ მაკარტნის Ram On-ზე დაიდგა, თუმცა ეს ჩემი არჩევანი არ ყოფილა. მუსიკალური გადაწყვეტილებები მეუღლეს მივანდე.

**მუსიკალურ სფეროში საქმიანობაზე არასოდეს გიფიქრიათ?**
კ.ნ. არა, არავითარ შემთხვევაში! ამაზე საშინელს ვერაფერს წარმოვიდგენ. მე და მუსიკა ერთმანეთისგან ძალიან შორს ვართ. H

ტექსტი: MICHELLE JOHNSON. ფოტო: GETTY IMAGES.

HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**რედაქცია** ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, მეგი ჯაში

**სტილის რედაქტორი** ელენე მარგალიტაშვილი

**მოდის რედაქტორი** თათია ლაშაური

**მოდის სტილისტი** თეონა ელიზბარაშვილი

**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი

**ფოტოგრაფი** ბაჩი ტაბატაძე

**მარკეტინგი** მარიამ ზაქარეიშვილი, ჯენი ძოძუაშვილი, ნანუკა კაკაბაძე

**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

**დიზაინერის ასისტენტი** ნინი ოძელაშვილი

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL

**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ

**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO

**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON

**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ

**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia

Twitter.com/Hellomagazinege

**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 032 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; **www.hellomagazine.ge**

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



Diplona®
PROFESSIONAL
სალონური მოვლა
აღმოაჩინე
საკუთარი თმა
Diplona
HAIR SALON
HAIR GROWTH SERUM
VOLUME + ENERGY SHAMPOO
COLOR + SHINE SHAMPOO
COLOR + SHINE CONDITIONER
HYDRO + REPAIR SHAMPOO
HYDRO + REPAIR CONDITIONER
SILICONE-FREE | VEGAN
ფარმადეპო
PHARMADEPOT
დამზადებულია გერმანიაში



CASCADE 360° CONSTRUCTION
სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!
გარემონტებული ბინები 1 კვ.მ. 1000$-დან
3 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 10, 20 ან 30% პირველადი შენატანით
ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ
სრულიად განსხვავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები.
მყუდრო, კომფორტული, დაცული ბინები 56კვ.მ-დან დასრულებული რემონტით, დახვეწილი დიზაინით.
25%-მდე ენერგოეფექტურობა, „პერლიტის“ ბლოკით ნაშენი დათბუნებული კედლები. უმაღლესი ხარისხის „შინდლერის“ ლიფტები.
ეკოლოგიურად სუფთა გარემო, 500კვ.-მდე გამწვანებული ეზო. სკვერი და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის.
+995 322 430 360
+995 551 702 702
info@cascadeconstruction.ge
CASCADE 360